ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №2 (2028) 11.06.2007 • ფასი 30 თეთრი

გვესაუბრება საქართველოს გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი

მე-2-5 გვ.

ბლერის წასვლა დიდი მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკაში

მე-14 გვ.

სარკოზი — საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი

მე-15 გვ.

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

მე-11-14 გვ.



მსოფლიოს ესმის რა არის გლობალური დათბობა

საქართველოს გადარჩენის საინიციატივო ჯგუფისაგან

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი აცხადებს მზაობას, საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი“, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილს ოფიციალურად დაარქვას მეზობელი ქვეყნის (ალანია — ოსეთის) ეთნიკური სახელი, და საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი აღიაროს მეზობელი ქვეყნის ეთნიკური ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის წინაშე დგება ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილის და მეორე ყალბის - გაერთიანების ამოცანა, მაშასადამე, საქართველოსათვის მისი ტერიტორიის ერთი ნაწილის წართმევის ამოცანა, რაც ჩვენ მიგვაჩნია პირდაპირ და დაუფარავ ეროვნულსა და სახელმწიფო ღალატად, საჭიროდ ვრაცხთ გამოვთქვათ ჩვენი პოზიცია დღესდღეობით ცხინვალის რეგიონში /საქართველო/ მიმდინარე - რუსეთის მიერ ინსპირირებული და ორგანიზებული - შეიარაღებული კონფლიქტის მექანიზმებისა და მისი ჩაქრობის გზების შესახებ. წინასწარ მივაწვდით საქართველოს მოქალაქეებს, ქართველებისა და ოსების ჩათვლით, და მსოფლიოს საზოგადოებრიობას რამდენსამე ძირითად ცნობას კონფლიქტის ფაქტორებისა და პირობების შესახებ, რათა ხელი შევუწყოთ იმ პროპაგანდისტული სიცრუის მხილებას, რომელსაც ამ თემასთან დაკავშირებით ავრცელებენ რუსეთის პოლიტიკური წრეები, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საქართველოს პრორუსული მთავრობის დაქვემდებარებაში ან გავლენაში მყოფი საინფორმაციო საშუალებები.

აუცილებელი ცნობები:

I. ტერიტორია და სახელწოდება

მიუხედავად იმისა, რომ ოსური დასახლებები საქართველოში არსებობს, ყველაზე უგვიანესი, XVII—XVIII საუკუნეებიდან და რომ საქართველოში მიღებული იყო და არის პროვინციების სახელდება მათში ისტორიულად მოსახლე ტომთა სახელების მიხედვით (კახეთი — კახთა სამოსახლო, მესხეთი — მესხთა სამოსახლო, სამეგრელო — მეგრელთა სამოსახლო და ა.შ), სახელი „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიაზე არ გაჩენილა საქართველოს პირველ ანექსიამდე რუსეთის მიერ /1801/. ამ სახელწოდებას პირველი ხმარობს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველი და სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კრონინგი 26 მარტს 1802 წელს, ანუ ანექსიიდან რამდენიმე თვის შემდეგ. თავის პატაკში რუსეთის იმპერატორისადმი იგი ჯავის ზონას, ანუ დიდი ლიახვის ხეობის ზემონელს, და პატარა ლიახვის ხეობის ზემონელს, სადაც ოსები სახლობენ ქართველ მოსახლეობასთან შერეულად, უწოდებს „ოსეთს“. ჯავაში ოსური დასახლების ისტორია ცნობილია დოკუმენტურად: ჯავა გაუკაცრიელებულ იქნა, ანუ ჯავის ქართველი მოსახლეობა დახოცილ იქნა „ოსთაგან“, ანუ ოსთა თავდასხმის შედეგად, XVII ს-ის პირველ ნახევარში. ამ ხდომილების ამსახველი დოკუმენტი (ნასყიდობის სიგელი ქვაბულ და ზაალ მაჩაბლების სახელზე) ეხება იმ დროს, როცა ქართველი მოსახლეობა უკვე განადგურებულია მარბიელი რაზმის მიერ, მაგრამ ოსები ჯერ შემოსახლებულები არ არიან, (იხ. Дж. Гвасалиа, Шида Картли и осетинская проблема, კრებული "Осетинский вопрос“, თბ. 1994, გვ. 80-81). სხვაგან ოსების შემოსახლებას ძირითადად (მაგრამ არა ყოველთვის) მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე რუსული ადმინისტრაცია ზედსართავს „ოსური“ („осетинский“) იყენებდა მცირე ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელდებაში, რომლებშიც ოსები ცხოვრობდნენ ქართველებთან შერეულად ან ქართველების გარემოცვაში და უმრავლესობას არ შეადგენდნენ: „осетинский округ", "осетинский участок“ და ა.შ. იხ. В. Итонишвили. Южная Осетия в центральной Грузии“, კრებ. „Осетинской Вопрос“ 1994, გვ. 22).

ყველაზე უფრო ინტენსიურად სახელს „ოსეთი“ და მის ზედსართაულ ფორმას „ოსური“ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილების მიმართ XIX საუკუნეში ხმარობდნენ რუსული საეკლესიო წრეები, მათ შორის „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოება“, რომელთათვისაც, როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული დექართველიზაცია ისევე იყო უპირველესი წარმმართველი მიზანი, როგორც სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციისათვის. (იხ. С. Лекишвили. Когда возник термин "Южная Осетия“ კრებული „Осетинский Вопрос“ თბ. 1994. გვ. 229—248).

საბჭოთა რუსული ოკუპაციის დროს შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიას (ცხინვალის, ჯავის, ზნაურის და ახალგორის (მაშინ ლენინგორის) რაიონები) ისტორიულად სახელი არა აქვს, ვინაიდან იგი არც გეოგრაფიული, არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური ან სხვა რამ სახის ერთეული არ არის და არც ოდესმე ყოფილა: ეს არის რამდენიმე პარალელური მდინარის ხეობათა ზემოწელი, რომლებიც მტკვრისაკენ ჩაედინებიან, და რამდენიმესი, რომელნიც რიონისაკენ ჩაედინებიან, ერთურთისაგან გაყოფილნი მაღალი და, პრაქტიკულად, კომუნიკაციისათვის (მიმოსვლისათვის) დღემდე გამოუყენებელი ქედებით, ასე რომ ერთი ხეობიდან მეორეში გადასვლა დღესაც ხდება ბარში ჩამოსვლით და მეორე ხეობის აყოლით.

საყურადღებოა, რომ გამოთქმაში „სამხრეთ ოსეთი“ ნაგულისხმევი ტერიტორია არც მაშინ, როცა რუსულ სიტყვახმარებაში ეს გამოთქმა შემოდის, არც შემდეგ 1922 წლამდე, როცა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შეიქმნა, არ კონკრეტდება: იგულისხმება საქართველოს ყველა ის ტერიტორია, სადაც ოსები **არიან**, და არა ის, სადაც ისინი მოცემულ არეალში **(სოფელში, თემში, ხეობაში...) უმრავლესობა არიან**. იხილეთ, მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის“ კომუნისტური რაიკომების ჩამონათვალი რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო კომიტეტის ცნობილ მემორანდუმში, რომელზეც ხელს აწერენ, სხვებთან ერთად, კობი-თრუსოს, კახეთის, გუჯარეთის, ქარელის რაიკომები. (ციტ. А. Ментешашвили Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. კრებული „Осетинский вопрос “, თბ. 1994 წ. გვ. 282—283) ეს იმას ნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაში რუსეთის მიერ მართული სეპარატისტები გულისხმობენ საქართველოს მთელ იმ ნაწილს, სადაც არის ოსური იზოლირებული სოფლები და მოსახლეობა, დაწყებული დასავლეთი საქართველოდან და დამთავრებული კახეთის აღმოსავლეთი რაიონებით.



ბლეირი თავისი თანამემამულე მეომრების წინაშე

საქართველოს ტერიტორიის ის ერთადერთი ნაწილი, სადაც ოსებმა იმიგრაციის შედეგად პრაქტიკულად ერთგვაროვანი ოსური მოსახლეობა შექმნეს (დვალეთი), რუსულმა ადმიანისტრაციამ XIX საუკუნეშივე გამოიყვანა თბილისის გუბერნიის შემადგენლობიდან, ამიტომ ის 1918 წელს საქართველოს საზღვრებში აღარ იყო.

II. მოსახლეობა

საქართველოში 1989 წლის აღწერით 164 ათასი ოსი ცხოვრობს. ამ მოსახლეობის ინტეგრირებულობა საქართველოს საზოგადოებაში ტრადიციულად ძალიან დიდია (მაგ. შერეული, ქართულ-ოსური ქორწინებების პროცენტის მიხედვით). ამ რაოდენობიდან მხოლოდ 65 ათასი (აღწერისას ხელოვნურად გაზრდილი მონაცემებით) ცხოვრობს ყოფ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ფარგლებში (30 ათას ქართველთან ერთად). საქართველოს ტერიტორიის არც ერთ წერტილში ეს მოსახლეობა ავტოხთონური არ არის. იმიგრაცია (მშვიდობიანის ჩათვლით) დაწყებულია XVII ს-ში, მაგრამ მისი ძირითადი ტალღები — მთელი ამ რაოდენობის ძირითადი მასა — მოდის 1864 წლის შემდგომ ხანებზე (ესაა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წელი, რომლის შემდეგაც უყმებოდ დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა იწყებს კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან ოსების მასობრივ შემოსახლებას ხიზნებად) და საბჭოთა ხელისუფლების წლებზე, როცა ტარდებოდა ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ხელოვნური დასახლება ოსებით. საქართველოს მთელი ოსური მოსახეობა არის დიასპორა.

III. სოციალური პრობლემები.

პრაქტიკულად საქართველოს მთელი ოსური მოსახელობა XX საუკუნის დამდეგისათვის იყო უმიწაწყლო აგრარული მოსახლეობა. წინა საუკუნის დამლევის რუსული აღწერები მოსახლეობისა უკვე გვიჩვენებს აღმ. საქართველოში მრავალრიცხოვან ოსობას, მაგრამ მათში არც ერთი არაა მიწის მესაკუთრე. ამით შეიქმნა უმწვავესი **აგრარული კონფლიქტი** და უმწვავესი **სიძულვილი** უმიწაწყლო აგრარული მოსახლეობისა (პრაქტიკულად — ოსებისა) მიწის მქონეების (პრაქტიკულად — ქართველების) მიმართ. ამ სიძულვილმა (ისევე, როგორც მისმა გამომყენებელმა ლოზუნგმა „მიწა — მშრომელებს“) შეადგინა ფსიქოლოგიური საფუძველი რუსი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული სამი ოსური „აჯანყებისათვის“ (1918-1920 წლები) დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა ხელოვნურად მისცეს „ნაციონალური“ აჯანყების გარეგნული სახე.

IV. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის „ოსეთად“ გარდაქმნის იურიდიული ფორმა

საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის გადაწყვეტილება (1920 წ) ეკუთვნის „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)“ ცეკას კავკასიის ბიუროს, რომელსაც არანაირი უფლება არ ჰქონდა უცხო სუვერენულ ქვეყანაში (საქართველო იმ დროს დამოუკიდებელი ქვეყანა იყო) ამ უკანასკნელის სახელმწიფო მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა. საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობისა და მეორე ანექსიის (1921 წლის თებერვალი) შემდეგ საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მითითებით და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის კომიტეტის მითითებით საქართველოს მთავრობამ (ცაკ-მა) მიიღო დეკრეტი №2 საქართველოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ (20 აპრილი 1922). თოთხმეტი თვე, რომელიც ამ თარიღს აცილებს საქართველოს ანექსიის თარიღისაგან, მოჰხმარდა ინტენსიურ მუშაობას იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად დაეთრგუნათ ხსენებული ტერიტორიის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობა განზრახული გადაწყვეტილებისათვის და, რაკი იგი ვერ დაითანხმეს, მიეღოთ გადაწყვეტილება მისი ნების ფაქტობრივი უგულებელყოფის შესახებ (პრაქტიკულად, გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ცალსახად უკარნახა ქართულ საბჭოთავე ხელისუფლებას, რომელშიც წინააღმდეგობა ამ დადგენილებისადმი დიდი იყო. А. Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1929 годах, კრებული Осетинский вопрос, თბილისი, 1994, გვ. 249-296).

ავტონომიური ოლქი შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ სახელწოდებით და მასში შეყვანილ იქნა 40 ქართული სოფელი პირწმინდად ქართველი, ავტოხთონური მოსახელობით.

ეს სიახლე განხორციელდა საქართველოში ყოველგვარი რეფერენდუმის ჩაუტარებლად და საქართველოში რაიმე წარმომადგენლობითი არჩეული ხელისუფლების, ანუ დემოკრატიის ყოველგვარი ნიშნების, არარსებობის პირობებში.

საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც მსოფლიოს მიერ ცნობილი იყო ჯერ დე ფაქტო, შემდეგ დე იურე, საქართველოში „ოსეთის“ არსებობა არ უცვნია. პირიქით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი ნოტაში რუსეთისადმი ხაზს უსვამს „В пределах Грузии нет Южной Осетии“ (იხ. მისი 1920 წლის 20 მაისის ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ციტ. А. Ментешашвили ციტ. შრომა გვ. 288).

საქართველოს პირველი რეალურად (დემოკრატიულად) არჩეული (1990 წ 28 X— 11. XI) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — საქართველოს უზენაესი საბჭო — ვალდებული იყო გაეუქმებინა უკანონო (უსაფუძვლო) და მოსახლეობის მხრიდან სანქციის არმქონე ავტონომიური ერთეული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და გააუქმა კიდეც იგი 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით.

1991 წლის 3 მარტს სსრკ-ს პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება საქართველოს ხსენებული 11 დეკემბრის კანონის გაუქმების შესახებ, რისი კანონიერი უფლებაც მას აღარ ჰქონდა, რადგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 29 ივნისის დადგენილებით უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომელიც „აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს“ და „ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით“, მათ შორის ის აქტებიც, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას უფლება მიენიჭებოდა, რომ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საბჭოს აქტები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ.

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ „რესპუბლიკად“ გარდაქმნის აქტი (20 IX 1990), ისევე როგორც შემდგომი არჩევნები ამ რესპუბლიკის „პარლამენტისა“ (9. XII 1990) და 1991 წლის იანვრის „რეფერენდუმი“ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის თაობაზე და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე, კანონსაწინააღმეგოა, ვინაიდან ეწინააღმდეგება საქართველოს ამ დროს არსებულ კონსტიტუციას, და იურიდიული ძალის არმქონეა, ვინაიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოქლის“ მოსახლეობა,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

როგორც ასეთი, არ არის და ვერ იქნება საგარეო თვითგამორკვევის, ანუ სახელმწიფოსაგან ტერიტორიული გამოყოფის (სეცესიის) უფლების სუბიექტი. (იხ. Л. Матарадзе, Юридические аспект грузино-осетинского конфликта, ციტ. კრებული გვ. 322-338).

ამგვარად, დღეს დე იურე საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს, ამიტომ არც საქართველოს ხელისუფლებას, არც სხვა სახელმწიფოების ხელისუფლებებს თავის ოფიციალურ სიტყვახმარებაში არა აქვთ ტერმინის „სამხრეთ ოსეთი" ხმარების უფლება.

V. „ქართულ-ოსური" კონფლიქტის მიმართება სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებთან

დღეს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის, ისევე როგორც საერთოდ ოსური სეპარატიზმის მთავარი ინიციატორი, წამქეზებელი და სულის ჩამდგმელი **რუსეთი** ტრადიციულადვე დაინტერესებულია.

— საქართველოს დასუსტებაში (ყველა პარამეტრში), რათა შესაძლებელი იყოს მისი იმპერიული ძალის კვლავ დაბრუნება საქართველოში, როგორც სამხრეთისაკენ შეტევის ან ზეწოლის (ევენტუალურად) და შუა აზიისაკენ დასავლეთისათვის გზის გადაკეტვის (დღესვე) პლაცდარმზე.

— კავკასიონის სამხრეთით სათავისოდ ბაზის შექმნაში მაგისტრალური გზის „შავი ზღვა — კასპიის ზღვა — შუა აზია" კონტროლირების შესაძლებლობის მოსაპოვებლად (ცხინვალიდან გორამდე, რომელიც სარკინიგზო კვანძიცაა და საავტომობილო გზისაც, 32 კილომეტრია).

ევროპის ზოგი ქვეყანა დაინტერესებულია

— კავკასიაში ოსური მოსახლეობის სახით საყრდენის მოპოვებაში ინდოგერმანული სოლიდარობის იდეოლოგიურ ბაზაზე (ოსები ინდოევროპელნი არიან — ერთადერთი ინდოევროპელი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში).

— გარკვეული ეროვნული ანკლავის გავლენისუნარიანობის გაძლიერებაში საქართველოში ფაქტობრივად ოსური სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნის სახით პრეცედენტის შექმნის გზით.

— იმაში, რომ ეთნიკური სეპარატიზმის ძალის გაძლიერებისაკენ მიმართულმა პრეცედენტმა წონა მოუმატოს იმ ქვეყნების საკუთარ სპეციფიკას ევროპის შიგნით, რომელთაც თავის შიგნით სეპარატისტული ძალები არ ჰყავთ.

არსებობს აგრეთვე გარკვეული ლობის დაინტერესება

— დასუსტებული საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკურ ათვისებაში, ხოლო შემდეგ იქ საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაში და საკუთარი დემოგრაფიული პოზიციების შექმნაში, რათა ალტერნატიული ტერიტორია შეიქმნას, როგორც რეზერვი, იმ შემთხვევისათვის, თუ იქ, სადაც სახელმწიფო აქვს, საშიშროება შეექმნა მეზობლებთან ომების შედეგად.

— „შავი ზღვა — შუა აზია" მომავალი გზის შესაძლებლობათა შემცირებაში, როგორც კონკურენტისა დასავლური დემოკრატიის აღმოსავლური პლაცდარმის როლის ტვირთვაში.

საქართველოსათვის ვერც ერთი ამ მიზანთაგანი იმპერატიული ვერ იქნება. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას თავისი ქვეყნის აწმყო და სამომავლო სასიცოცხლო ინტერესი;

VI. ვინ არიან საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნის გადაწყვეტილებაზე პასუხისგებელი პირები

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დიდი მანძილი აშორებს სრულფასოვანი ლეგიტიმურობის მდგომარეობისაგან. საქართველოს პირველი (1921 წლის ანექსიის შემდეგ) დემოკრატიულად არჩეული, ანუ რეალურად არჩეული ხელისუფლება (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი) 1991—1992 წლების მიჯნაზე დაემხო სამხედრო პუტჩის შედეგად, რომელიც, როგორც დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია საქართველოში, ორგანიზებული იყო რუსეთის მიერ. ამ უკანასკნელის მიერვე, ხუნტისავე ხელით, ხელისუფლებაში მოყვანილ იქნა შევარდნაძე, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, მხილებულია საზოგადოებრიობის თვალში, როგორც რუსეთის აგენტი და რუსული ინტერესების გამტარებელი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. სააკაშვილი და მისი კოლეგები დღევანდელ ხელისუფლებაში — ე.წ. „დემოკრატები" (ჟვანია და სხვანი) — რვა წლის მანძილზე შეადგენდნენ შევარდნაძის ერთგულ გუნდს, რომელიც მორჩილად ატარებდა შევარდნაძის ყველა ანტიქართულ განზრახვას და მონაწილეობდა კორუფციის კულტივირებაში. ეს გუნდი ხელოვნურად ჩაენაცვლა შევარდნაძეს — უსისხლო „ვარდოვანი" „რევოლუციის" სახით დაეუფლა სახელმწიფოს საჭეს შევარდნაძისადმი ხალხის უფართოესი მასების სიძულვილის ტალღაზე. დღევანდელ ხელისუფლებაში პარლამენტი არის პირწმინდად არალეგიტიმური, რადგან იგი არჩეულია ტოტალური გაყალბებით, რომელშიც არანაირად არ აისახა ხმათა მიცემის რეალური რიცხვები. ამგვარად, საქართველოს მმართველი ჯგუფი არ არის უფლებამოსილი, ქვეყნის სახელით დასაკარგავად (დღეს ან მომავალში) დამიოს მისი ტერიტორიები. ამ ხელისუფლების მიერ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნა არის ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი და არალეგიტიმური წყაროდან მომდინარე ნაბიჯი, რის გამოც გარდაუვალია მისი გაუქმება მომავალი რეალური (დემოკრატიულად არჩეული და ერთგული) ხელისუფლების მიერ და მის გადამდგმელთათვის პასუხის მოთხოვნა.

VII. არსებული კონფლიქტი, როგორც პრეცედენტი მსოფლიოსათვის

იმ შემთხვევაში, თუ პრეცედენტის სახით დაკანონდება, რომ დემოგრაფიული დინამიკა (რომელი ეთნიკური ჯგუფი გამრავლდა, რომელი უმცირესობაში დარჩა და ა. შ) განსაზღვრავს მოცემული ტერიტორიის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს, ეს იქნება სტიმულირება ყველა ეთნიკური ჯგუფის შიშისა ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე, პირდაპირი სტიმულირება ეთნიკური წმენდისა და მისი ძირითადი იარაღის — გენოციდისა — მთელ მსოფლიოში.

VIII. ცხვინვალის კონფლიქტი ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით

მსოფლიოში მიღებული ნორმებით, რომლებიც არეგულირებს ადამიანის უფლებების,მათ შორის — მინორიტეტულ ჯგუფთა უფლებების დაცვას, ეთნიკური და ეროვნული თვითგანსაზღვრა (თვითგამორკვევა) არ გულისხმობს ჯგუფის მიერ საკუთარი ჯგუფური ეთნიკური (ეროვნული) თვითდამკვიდრების ძებნას სხვების ეთნიკურსა და პოლიტიკურ ტერიტორიაზე თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულების შექმნის გზით. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობს ტერიტორიული თვითგამორკვევის უფლებით არა მისი სახელის მატარებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა იგი **ადგილობრივი** უმცირესობაა, ანუ როცა იგი, როგორც ეთნოსი, **აქაურია**. ხალხს, რომელსაც დედამიწაზე სამშობლო აქვს, ისიც — სახელმწიფოს ან სხვა პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნის სახით, არა აქვს იმის უფლება, რომ მისმა დიასპორამ სხვა ქვეყანაში პოლიტიკურ-ტერიტორიული თავითგამორკვევა, მით უმეტეს — თავისი ეთნონიმით სახელდებული ტერიოტორიულ-პოლიტიკური თვითგამორკვევა მოითხოვოს. ოსებს აქვთ თავისი სამშობლო — ქ. ვლადიკავკასის გარშემო არსებული დიდი გეოგრაფიული არეალი, რომელიც დღევანდელი ოსი ერის შუა საუკუნეებში ფორმირების ადგილია (ალანთა და ადგილობრივ ოსთა შერწყმით). ოსურ დიასპორას საქართველოში აქვს ცხოვრების, თვითდამკვიდრებისა და განვითარების ყველა უფლება, როგორც ინდივიდთა და ოჯახთა კრებულს, მათ შორის — ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფლებისა და საკუთარი ეთნიკური (ეროვნული) სახის მარადიულყოფის უფლებაც, მაგრამ არა აქვს მოცემული ტერიტორიის რომელიმე ნაწილის თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის შესაქმნელად გამოყენების უფლება, მით უმეტეს — მისი საკუთარი ეთნონიმის მიხედვით სახელდების უფლება.

კურიოზულია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის კომპარტიის გადაწყვეტილების მიღების დროს, რომლითაც „სამხრეთ ოსეთი" შეიქმნა, და საქართველოს მონურად მორჩილი მარიონეტული მთავრობის მიერ მისი დეკრეტად ქცევის დროს „ჩრდილოეთ ოსეთი" არც კი არსებობდა — შექმნეს „სამხრეთ ოსეთი" მაშინ, როცა ნამდვილ ოსეთში სიტყვა „ოსეთი" არ ფიგურირებდა.

IX. პერსპექტივა

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტს აქვს ორი ასპექტი. ერთი (და გადამწყვეტი) არის ის, რომ რუსეთი იბრძვის ამიერკავკასიისათვის, კავკასიონის სამხრეთით საიმედო პლაცდარმის შექმნის მცდელობის სახით. მეორეა ის, რომ ოსი ეთნოსი იბრძვის მიწისათვის და დამატებითი ტერიტორიისათვის საქართველოს ხარჯზე.

ბლეირი ჩინეთის ლიდერთან, აშშ ლიდერთან და საფრანგეთის ახალ ლიდერთან.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში მაცხოვრებელ ოსებში არიან ადამიანები, რომელთა ცნობიერებაში ქართველი ერის გენოციდის დიდი ისტორიული მეხსიერება ცოცხლობს. ოსური ლაშქრობის მიერ ჯავის გაუკაცრიელების ფაქტი (XVII ს.) ზემოთ უკვე ვახსენეთ. უახლესი ისტორიის ფაქტია ქართული სოფლების დარბევა, ულეტა, განადგურება და აყრა 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა საქართველო რუსეთის მიერ მეორედ იქნა ანექსირებული და მის ყველა მტერს, რუსეთის წინაშე უკვე დიდი დამსახურების მქონე ოსური რაზმების ჩათვლით, სამოქმედოდ ხელი გაეხსნა. არსებობს ამ დროს ცხინვალის მიმდებარე რამდენიმე ქართული სოფლის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება გასაბჭოებული საქართველოს მთავრობის სახელზე, სადაც აღწერილია გენოციდის ეს პროცესი' (ის სოფლები — მონასტერი და კიდევ რამდენიმე სხვა — მას შემდეგ **მართლაც** აღარ არსებობენ, როგორც ქართული სოფლები. იქ ახლა მხოლოდ ოსები ცხოვრობენ). იგივე გენოციდი გრძელდება ახლაც. მაგალითად, 90-იან წლებში მოისპო ქ. ცხინვალში ინკორპორირებული წმინდად ქართული სოფლები გუჯაბაური და მამისაანთ უბანი. ზნაურის რაიონში მოისპო 11 ქართული სოფელი: მოსახლეობა აყარეს რუსის ხიშტის საფარს ქვეშ ისეთი მეთოდების გამოყენებით (სხვასთან ერთად), როგორიც იყო, მაგალითად, მოხუცებული ბუზალაძის ქალის დაწვა საკუთარ სახლთან ერთად (ადამიანთა ცოცხლად დაწვას, როგორც მეთოდს, ოსებმა მიმდინარე კონფლიქტში მრავალჯერ მიმართეს. მსურველს შეუძლია ნახოს მათი პატარა ჯგუფის ფერფლის საფლავი გორის რაიონის ს. ტყვიავის ცენტრში). 40 ქართული სოფლიდან, რომელიც ძალადობით შეიყვანეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შემადგენლობაში 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტით, დღეს თითქმის ნახევარი უკვე აღარ არსებობს. ეს გაბედა ოსურმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ ავტონომიურ ოლქში, რომელიც პირწმინდად უკანონო იყო და რომელსაც არც ერთი საათი არ უარსებია დღემდე რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალის მასში დგომის გარეშე. ადვილი წარმოსადგენია, რას გაბედავს იმავე ოსების ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება მსოფლიოში დღეს ტრიუმფალური სვლით მავალი დასავლური დემოკრატიის სანქცია ტერიტორიის სამართავად! ჩვენ არ ვართ ისეთი პესიმისტები, რომ ქართველთა გენოციდის ზემოხსენებული ისტორიული ტენდენცია **ყველა** ოსს მივანეროთ. ეს სულისკვეთება, მით უმეტეს — მისი ქმედებაში რეალიზაციისათვის მზაობა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის, რა თქმა უნდა, ადამიანთა მხოლოდ მცირე პროცენტშია მოცემული მკაფიო სახით. მაგრამ ამ მცირე პროცენტში იგი **არის**. საკმარისია, მას შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური პირობები შეექმნას (მაგალითად, ოსების სასარგებლოდ ქართული ტერიტორიის მიტაცების „კეთილშობილური პატრიოტული ამოცანის" კონტექსტში), რათა ამ ინსტიქტმა სტიქიური ძალით იფეთქოს და უხვი ახალი მოსავალი მოიტანოს.

საქართველოს დღევანდელ ფარულად პრორუსულ ხელისუფლებას მოვლენათა განვითარება სწორედ ამ მიმართულებით მიჰყავს. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომელთა ერთმა ნაწილმა, ეუთოს საქართველოს მისიის სახით, სამწუხაროდ, გამოთქვა ძირფესვიანად არარეალისტური და ასევე ძირფესვიანად ანტიქართული რეკომენდაცია საქართველოში კიდევ ერთხელ „ოსეთის" შექმნის შესახებ, უნდა გაითვალისწინონ, რომ ხსენებული მიმართულების ხელისუფლება საქართველოში მუდამ არ იქნება. მისი არსებობა ისტორიული შემთხვევითობაა, მძიმე რუსულ-აგენტურული მემკვიდრეობით განპირობებული, და, ამდენად, წარმავალია. საქართველოში დემოკრატიული გზით არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში გააუქმებს საქართველოში უკანონო „ოსეთს", რომლის შექმნა ქართველი ერის შეურაცხმყოფელია და სახელმწიფოს ძირის მომთხრელი. დღეს მისი შექმნა იქნება არა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის გამარჯვებით დამთავრება, არამედ ამ ბრძოლის მხოლოდ გადავადება. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მძიმე დამარცხების რისკი ამ ბრძოლაში (რაც, ფაქტობრივად, საქართველოს წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო შეთქმულებასთან ბრძოლაა), არსებობს, მაგრამ იმის ალბათობა, რომ საქართველო წინააღმდეგობის გაუწევლად დასთანხმდეს თავისი ისტორიის ესოდენ სამარცხვინო დამთავრებას, ან საბოლოო დამარცხება განიცადოს, ძალიან მცირეა.

ქართველი ხალხი არ დათმობს ტერიტორიას, არც დაუშვებს (ჯამში) თავისი დღესდღეობით უბოროტესი და უსახიფათოესი მტრის — რუსეთის — ოფიციალურსა და კანონიერ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

გადმობიჯებას კავკასიონის ქედზე. იქნება მუდმივი ბრძოლა ცვალებადი წარმატებით, რომელშიც ქართველი ხალხი ან გაიმარჯვებს და გააგრძელებს თავის მინაზე ცხოვრებას და განვითარებას, ან დამარცხდება და შეუქცევადად დაადგება დედამიწის პირიდან თანდათანობით აღგვის გზას (რადგან კავკასიონზე ზღუდემორღვეული საქართველო გეოპოლიტიკურად არასიცოცხლისუნარიანი ხდება).

შენიშვნები: საკითხის სინათლისთვის საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს წინამდებარე განცხადებას რამდენიმე შენიშვნა დავურთოთ.

1. უკვე მრავალი წელიწადია, რაც რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა ნორმის დარღვევით რუსეთის მოქალაქეობას აძლევს მის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — მოსახლეობას, რათა საბაბი ნახოს თავისი უხეში ჩარევისათვის შეიარაღებული ძალით (თუმცა კანონიერ საბაბად ამისათვის ამ ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების ყოფნა არ კმარა). ამ პრაქტიკაზე ეფექტიანი რეაგირება არ მიუცია არც შევარდნაძის ხელისუფლებას, არც დღევანდელს. ასევე, არ ყოფილა მათგან ამ წლების მანძილზე ოფიციალური განცხადება და შესაბამისი იურიდიული ნაბიჯები იმის გამო, რომ რუსეთი აწარმოებს საბრძოლო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, ანუ ომს საქართველოს წინააღმდეგ, — რომ, მაშასადამე, საქართველოს ომები ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში არის ქართულ-რუსული ომი, რომელიც გრძელდება.

ხსენებული ორი ფაქტის გათვალისინწინება აუცილებელია ყველა იმისათვის, ვისაც ჰსურს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შეფასება მის მიერ გამოცხადებულ კაპიტულაციათა მომავალი საქართველოსათვის სავალდებულოობის ან არასავალდებულოობის თვალსაზრისით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ **ამ** ხელისუფლებათა მიერ განხორციელებული კაპიტულაციები თავისუფალი მომავალი საქართველოსათვის სავალდებულო ვერ იქნება.

2. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სულ 164 ათასი ოსი ცხოვრობს, ამათში 100 ათასი — ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ფარგლებს გარეთ. დღეს ხელისუფლებას (საფიქრებელია, რუსული დავალებით) ამ უკანასკნელი რაოდენობის შემცირების ტენდენცია აქვს, რათა შეინიღბოს ის ფაქტი, რომ ოსი მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის — მის **ეროვნულ** ინტერესებზე ზრუნვა ორიენტირებული უნდა იყოს იმ 100 ათასზე, და არა მარტოოდენ უკანონო ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის და რუსეთთან შეერთების მაძიებელ 60 ათასზე. ამიტომ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ

— ოსური მოსახლეობის **მკვეთრი** შემცირება კონფლიქტის პირველ (მწვავე) სტადიაზე არ მომხდარა. რუსული პროპაგანდა საქართველოდან „ლტოლვილთა“ რიცხვად ასახელებდა 40, 60, 80 და 120 ათას სულს, თუმცა სინამდვილეში მათი რიცხვი, საქართველოს მთავრობასთან არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობების დროებითი კომისიის (თავმჯდომარე ნ. ნათაძე) გამოთვლით, იყო 19 ათასზე ნაკლები. მათი დიდი უმრავლესობა დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს. მართალია, დღეს საქართველოდან არის უზარმაზარი ემიგრაცია სამუშაოს საძებნელად, მათ შორის, ცხადია, ოსებისაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გამოაკლდნენ საქართველოს მოსახლეობას (რადგან იგულისხმება, რომ საშოვარზე გასული ადრე თუ გვიან შინ ბრუნდება)

3. ეუთოს საქართველოს მისიამ (პირველი დამფუძნებელი — დიარმატი, უნგრეთი, შემდეგი თავმჯდომარე — ცვეტკოვი, უკრაინა, შემდეგი თავმჯდომარე — აიფი, გერმანია, შემდეგი თავმჯდომარე — ბოდენი, გერმანია) შეიმუშავა და საქართველოს ხელისუფლებას წარმოუდგინა „რეკომენდაციები“ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, რომელიც თავისი ანტიქართული მიკერძოებით, ულოგიკობით, ფაქტებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და პოლიტიკური აზროვნების არაადექვატურობით, ალბათ, ერთერთი ყველაზე არასასახელო ტექსტია დიპლომატიის პრაქტიკაში და პოლიტიკური აზრის ისტორიაში. მოვიყვანთ შემდგენელთა მსჯელობის რამდენსამე ნიმუშს.

ულოგიკობის მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

ზოგადი წანამძღვრიდან „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა და ეუთოს პრინციპები მოითხოვენ, რომ ვითარების შეფასებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნან ფაქტები, და არა მათი წარმოშობის ისტორია“, რაც თავისთავად მანკიერი პრინციპია (რადგანაც უგულებელყოფს ერის, ქვეყნისა და ადამიანის უფლებასაც, რომ ჰქონდეს ისტორიული მეხსიერება, და გუშინდელი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული უპირატესობების დღეს გამოყენების აღკვეთის უფლებასა და მოვალეობასაც) ორი სხვადასხვა კონკრეტული სუბიექტისათვის ორი სხვადასხვა დასკვნა კეთდება. სახელდობრ, იმ ფაქტიდან, რომ „არსებობს „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ერთეული, რომლის მოსახლეობაშიც ჭარბობენ ოსები“ (თუმცა ეს ერთეული შექმნილია უცხო ოკუპანტის მიერ და არსებობის სულ 70 წლის ისტორია აქვს, ისიც მხოლოდ რუსული რეგულარული ჯარის იქმყოფობის პირობებში), ერთის მხრივ, კეთდება დასკვნა, რომ სიტუაცია არ უნდა შეიცვალოს ოსების პოზიციის საზარალოდ, მეორე მხრივ კი დასკვნა, რომ ოსების ნების შესაბამისად, იგი უნდა შეიცვალოს ქართველების საზარალოდ, — რომ ოსებს უნდა მიეცეთ მრავალი ახალი უპირატესობა ამ ტერიტორიაზე, რომლებიც მანამდე არ ჰქონდათ.

ფაქტების არასწორი კონსტატაციის (სიცრუის) მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისია აცხადებს, რომ ოსების დასახლება საქართველოში მოდის XIV საუკუნიდან. ეს ტყუილია. ამ საუკუნეში იყო ოსების ლაშქრობა საქართველოზე (მონღოლთა ლაშქრობის კონტექსტში), მაგრამ მას დემოგრაფიული შედეგი არ ჰქონია: ოსები განდევნეს ისე, რომ მათი დასახლება არ მომხდარა. ამგვარად, ოსური დასახლების დასაწყისი ამ საუკუნეს არ ეკუთვნის (და რომც ეკუთვნოდეს, ამით მაინც არ ირღვევა ის ფაქტი, რომ ოსები საქართველოს ავტოხთონური მოსახლეობა არ არიან, არამედ ავტოხთონური ქართული მოსახლეობის მყოლ უცხო ტერიტორიაზე მოსული მოსახლეობა (დიასპორა) არიან).

კონფლიქტის დაცხროგის ამოცანისადმი მისიის ამორალური მიდგომის მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისიის რეკომენდაციებში ვკითხულობთ: „კოლექტიურ დონეზე, შეიარაღებულ კონფლიქტს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისა და ოსებისათვის. კონფლიქტის ქართველ მონაწილეთა შორის მეტისმეტად მრავალს ჰქონდა იმის განცდა, რომ დადგა დრო „სამხრეთ ოსეთის“ დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლისა და ისტორიის „შესწორებისა“. ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა იყო უკანასკნელი და ყველაზე მხეცური შედეგი პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ოსების განდევნას და მოსპობას. . . თვეთა მანძილზე ოსები ცხინვალში და მის გარშემო თავისი არსებობისათვის გარდუვალი საფრთხის წინაშე იდგნენ. ამიტომ ქართულ მხარეს ჰმართებს დამაჯერებელი მოქმედება, რათა ოსები დაარწმუნოს, რომ მათ საქართველოში მომავალი აქვთ“. ეს სიტყვები ცილისწამებაა ქართული მხარის მიმართ. ჯერ ერთი, ქ. ცხინვალი მთელი კონფლიქტის მანძილზე ღია იყო მიმოსვლისათვის ჯავისა და წუნარის („ხეთაგუროვოს“) მიმართულებებით, მაშასადამე, მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილება შეეძლო. მეორეც, არც ერთი ქართველის მიერ არ გამოთქმულა დემოგრაფიული სურათის შეცვლის და ისტორიის „შესწორების“ სურვილი, არამედ ფიგურირებდა (და ძალაშია) მხოლოდ იმის სურვილი, რომ რუსი ოკუპანტების მიერ ამ ტერიტორიისათვის მინიჭებული ყალბი სახელი „სამხრეთ ოსეთი“ აღარ აღდგეს. (ამგვარი განზოგადებული ბრალდებების წამოყენებას ფაქტის დამოწმება უნდა, რასაც მისია არ იქმს და ვერ იქმს). მესამეც, მოგონილია (რუსული პროპაგანდის მიერ) ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა ქართველების მიერ. ამის მაჩვენებელია ის, რომ ცხინვალში საარტილერიო ცეცხლით მიყენებული დაზიანება არავის უნახავს. საქართველოში ხელისუფლების ფაქტობრივი აღარარსებობის პირობებში ცხინვალის გარშემო დაეხეტებოდნენ რუსული სამხედრო ქვეგანაყოფის „ღამურას“ მებრძოლები მძიმე ტექნიკით, რომელთა ღია „მიზანიც“ იყო თავისი სამსახურის შეთავაზება მხარეებისათვის, ნამდვილი დავალება კი (რაც ყველასათვის ცხადი იყო) — პროვოკაციების მოწყობა (იმ საარტილერიო „დაბომბვის“ — ფუჭი ჭურვების, „ბალვანკების“ გამოყენებით — სიმულირება და ა. შ.). მოყვანილ ტექსტთან დაკავშირებით მისიის პოზიციის ამორალობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი მალავს ოსების მიერ (რუსების ხიშტებს ამოფარებით) ქართველთა ეთნიკური წმენდის და, მაშასადამე, გენოციდის ფაქტს, აგრეთვე 1989 წელს რუსების მიერ პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტის მანძილზე ცხინვალის რაიონში ორი ქართული სოფლის და ყოფ. ზნაურის რაიონში ყველა ქართული სოფლის (ავნევისა და ნულის გარდა) განადგურების ფაქტს, ისევე როგორც ოსების მიერ ქართველ მოქალაქეთა ცოცხლად დაწვის, ხერხით „დრუუბა“ გადახერხვის, ქვაბში მოხარშვის, დაჩეხვის და მრავალი სხვა სახით წამების მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომლებიც



იტალიის სახელმწიფო და ვატიკანის გავლენა

კათოლიკური ეკლესიის გავლენა იტალიის ყოველდღიურ ცხოვრებაში ძლიერდება. განსაკუთრებით – თანამედროვე შეიოტევებისაგან ტრადიციული ოჯახის დაცვის სფეროში. პაპი ებრძვის იტალიაში სეკულარიზაციის მსოფლიო ტენდენციას, მიაჩნია რა, რომ იტალია კათოლიკური საზოგადოების ეტალონად და სიმაგრედ უნდა რჩებოდეს. ეკლესიის გავლენის ფაქტორია ისიც, რომ არც ერთ პარტიას ან კოალიციას ისეთი უპირატესობა არა აქვს, რომ საკუთარ წევრთა თუნდ მცირე ნაწილს რელიგიური სულისკვეთების უგულებელყოფა შეეძლოს.

*რაა პერსპექტივა? **The Economist** ფიქრობს, რომ იგი ეკლესიის კურსისთვის არც ისე ბრწყინვალეა. საბუთი ისაა, რომ ახალგაზრდა წყვილთა ერთი მეოთხედი უქორწინოა, ხოლო ეკლესიის მოწოდებას ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე ხელის აღების შესახებ დიდი მასა გულგრილად ხვდება (ისეთი ბარბაროსობა, როგორიცაა აბორტი, პოპულარული არ არის).*

მისიის რეკომენდაციათა ავტორების არაადეკვატური პოლიტიკური აზროვნების მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისია მსჯელობს „სამხრეთ ოსეთის“ ოსი მოსახლეობისათვის ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საჭიროების შესახებ, მაგრამ არ თვლის საჭიროდ დააკონკრეტოს, რა განაპირობებს ავტონომიის ამ საჭიროებას. თუ მას განაპირობებს შინაგანი მართვის ეფექტიანობა, მაშინ ამ მიზნის მიღწევისათვის სავსებით საკმარისია რეალიზებული დემოკრატიული თვითმმართველობა ეფექტიანი საარჩევნო სისტემის პირობებში; თუ ამ საჭიროებას განაპირობებს მოქალაქეთა დაცვის საჭიროება დისკრიმინაციისაგან, მაშინ ამ მიზნისათვის საკმარისია საქართველოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის (ამ ზონაში) დემოკრატიულობის და ადამიანის უფლებათა დაცვისადმი ერთგულების ხარისხი, რის მიღწევაც არანორმალურ პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან საქართველო ადამიანის უფლებათა დამცველი ყველა საერთაშორისო დოკუმენტის ხელმომწერი სახელმწიფოა; თუ ავტონომიის შექმნას მისია საჭიროდ თვლის იმის გამო, რომ მოწყობის ეს ფორმა ასახიერებს ერის (ეროვნული ჯგუფის) თვითგამორკვევის უფლებას, მაშინ მან უნდა განსაზღვროს ოსების ამ ინტერესის პრინციპული და პრაქტიკული მიმართება ამავე რეგიონის დანარჩენი, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობის, აგრეთვე მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებთან და ყველა ამ ინტერესთა დაბალანსების ფორმა მოძებნოს. მისია მდუმარე წანამძღვრად იღებს იმას, რომ საქართველოს ერთი ნაწილის მოსახლეობას ტერიტორიული თვითგამორკვევის უფლება **აქვს**, რაც არანაირი სამართლებრივი და უფლებადაცვითი ნორმით არ დასტურდება. მისიის მცდელობა სეპარატისტების და მათდამი თავისი სიმპათიის გამართლებისა უნაყოფო მცდელობაა, ვინაიდან სეპარატისტების სურვილი — „სამხრეთ ოსეთის“ სეცესია (გამოყოფა) საქართველოსაგან და მისი შემდგომი შეერთება რუსეთთან — ცალსახა და ექსპლიციტური მოთხოვნაა როგორც 1918-20 წლების ოსი სეპარატისტებისა, ისე ახლანდელებისა. ხოლო თუ ავტონომიის შექმნის აუცილებლობა (გარდუვალობა) განპირობებულია არა ამა თუ იმ პოზიტიური მიზნით, არამედ მხოლოდ მიზეზით, სახელდობრ, ოსთა გამარჯვებით ქართველებზე და მათთვის თავისი ნების მოხვევით ამის შედეგად, მაშინ მისიას ჰმართებს, ჯერ ერთი, იმის ცოდნა, რომ ამ ტერიტორიის დღესდღეობით საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქციის გარეთ ყოფნა არ არის ოსების გამარჯვება ქართველებზე, არამედ რუსების გამარჯვებაა, რომელთა სამხედრო თანამყოფობის გარეშე (ვიმეორებთ) „სამხრეთ ოსეთს“ ისტორიაში არც ერთი საათი არ უარსებია და ვერც იარსებებს. მისიას ჰმართებს აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ (ვიმეორებთ) პრეცედენტი — ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა მასზე მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა დინამიკის მიმართულებისა და ტემპის მიხედვით — არის ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშის წყარო ყველა დანარჩენის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე — ეთნიკური წმენდის სტიმულირება მთელ მსოფლიოში ევროპის ჩათვლით.

II. საქართველოს გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის პოზიცია

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი აზრი და სულისკვეთება ასახავს ქართველი ერისას საერთოდ, ვაცხადებთ:

1. საქართველოში კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა არის როგორც კანონის, ისე მსოფლიოში დღეს მოქმედი უფლებადაცვითი ნორმების წინააღმდეგ სვლა.

2. იგი არის საქართველოს სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ სვლა და, ამდენად, სახელმწიფოსა და ერის ღალატი.

3. „სამხრეთ ოსეთი“ გაუქმდება დაუყოვნებლივ, როგორც კი საქართველოს სათავეში რეალური, ერის მიერ კორექტული არჩევნების შედეგად ხმამიცემული ხელისუფლება მოვა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

III. დამატება. კონფლიქტის მოგვარების პრინციპული გზა

კონფლიქტის დარეგულირების გზას პირველ ყოვლისა წაეყენება ის მოთხოვნა, რომ იგი იყოს სამართლიანი, ამავე დროს — რეალისტური, რაც შეკავებათა და ბალანსთა (cheks and balances) ადექვატური სისტემის გამოყენებასაც გულისხმობს. ეს გზა შედგება, ერთის მხრივ, დემოკრატიული თვითმმართველობის მექანიზმთა მაქსიმალური განვითარებისაგან, მეორეს მხრივ, ფუნქციური (და არა ტერიტორიული) ავტონომიისაგან საქართველოს მთელი ოსი მოსახლეობისათვის, ისევე როგორც ყველა დანარჩენისათვის ქართველების ჩათვლით (იხ. ლ.მატარაძე, ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტებისა და მისი დარეგულირების შესაძლებლობების შესახებ", კრებული „Осетинский вопрос" გვ. 322-330).

ფუნქციური ავტონომია მდგომარეობს შემდეგში:

მაქსიმალურად ვითარდება ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიული არჩევნების ბაზაზე, რაც უმრავლესობას იმის გარანტიას უქმნის, რომ იგი განახორციელებს თავის ყველა არაკანონსაწინააღმდეგო ინტერესებს ადგილობრივი კომპენტეციების შესაბამისად. ბუნებრივია, რომ იმ ადგილებში, სადაც ოსები უმრავლესობას წარმოადგენენ, გარანტირებული იქნება მათი პრევალირება ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხთა გადაწყვეტაში. ამგვარად, ასეთ ადგილებში ოსების ნეგატიური დისკრიმინაცია (ანუ შევიწროება) ვერ მოხდება. არაოსური მოსახლეობის (ანუ უმცირესობის) უფლებები ამ ადგილებში დაცული იქნება კანონით დადგენილი საშუალებებით, სახელდობრ, იმავე საშუალებებით, რომლითაც დაცული იქნება ოსური თუ ყველა სხვა უმცირესობის უფლებები საქართველოს ყველა სხვა ადგილებში, სადაც ეს სხვანი უმრავლესობას არ წარმოადგენენ.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილებანი და მათი გამიჯვნა ხელისუფლების უფრო მაღალი ორგანოებისაგან, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, აგრეთვე მათი გამიჯვნა ქვემდგომი ორგანოებისაგან დგინდება კანონის მიერ მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი წესით, იმ რეგიონთა ჩათვლით (აფხაზეთის გარდა), სადაც არაქართველი მოსახლეობაა.

ფრონეს, ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობათა ზედაწელების დარაიონება შეიძლება დაზუსტების პროცესში იყოს მანამდე, სანამ არ მოინახება ოპტიმალური ვარიანტი ანუ ისეთი, რომელიც მინიმალურს გახდის ეროვნებათშორის კონფლიქტს ყოფითი საკითხების გამო (თუმცა ეს გადასინჯვა სრულებითაც არაა აუცილებელი). ადგილობრივი მოსახლეობის (ამ შემთხვევაში — ოსურის) ის ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილება არაა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობათა ფარგლებში (მაგალითად, საყოველთაო სწავლება ყველასათვის თავთავის დედაენაზე ანუ საამისოდ თანხების გაღება) უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ კანონის და სხვა არსებული ნორმების საფუძველზე.

სასურველია, რომ უმცირესობათა უფლებები ადგილზე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ, ერთი და იგივე იყოს ყველა იმ უმცირესობისათვის, რომელთა ეთნოსსაც (ეროვნებასაც) მოეპოვება თავისი ეთნიკური დასახლების ტერიტორიულ-პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, რადგანაც უთანაბრობა ამ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს უფლებათა გაფართოებით დაინტერესებას და, მაშასადამე, კონფლიქტებსაც. მაგრამ დასაშვებია, გარემოებებისა და სპეციფიკური ვითარებისდა მიხედვით, გარკვეული ასიმეტრიაც.

2. ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობასთან ერთად ვითარდება ფუნქციური ავტონომია, რომლის ოპტიმალური ფორმაა *ოსური ეროვნული თემი ან სათვისტომო*, რომელიც, მათი სურვილის შემთხვევაში, მოიცავს საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ოსს. თემს შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური, კულტურული და ყველა სახის ინიციატივათა უფლება, რომლებიც მიმართული იქნება ოსთა ეროვნული ვინაობის დაცვა-შენახვისაკენ, ქვეყანაში მათი გავლენის გაზრდისაკენ, ეკონომიკური კეთილდღეობის მომატებისაკენ, კულტურისა და განათლების განვითარებისაკენ და ნებისმიერი სხვა კანონიერი ეროვნულად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევისაკენ. იგი შეიძლება იყოს მუდმივი ბაზა და ფონი, კანონის შესაბამისად, პოლიტიკურ მოძრაობათა შექმნისათვის, რომელთაც ოსებისათვის საინტერესო მიზნები და პროგრამები აქვთ. მას (თემს) შეუძლია, იმ პარტიათა გზით, რომელთაც მხარს დაუჭერს საქართველოს ოსი მოსახლეობა, და სხვა კანონიერი გზებით გავლენა მოახდინოს პარლამენტის არჩევნებზე და მიმართოს თვითორგანიზაციის ყველა სხვა არაკანონსაწინააღმდეგო გზებს სახელმწიფოს, როგორც მთლიანის, მასშტაბით. ამგვარად, ოსებს (ისევე როგორც სხვა ეროვნულ უმცირესობებს) შეუძლიათ იქონიონ გავლენა ცენტრალურ პოლიტიკაზე თავისი რიცხვის პროპორციულად. გარდა ამისა, მათ, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნულ ჯგუფებს (ქართველების ჩათვლით), შესაძლებლობა აქვთ, გავლენისა და კეთილდღეობის ყველა ფორმის მოპოვებას ეცადონ თავისი უნარის პროპორციულადაც.

ეროვნული ვინაობის გარანტირებული შენახვისა და დაცვისათვის — ანუ ისეთისათვის, რომელიც არ მოითხოვს აქტივობას შესაბამისი უმცირესობის წარმომადგენელთა მხრიდან — ოსებისათვის, ისევე როგორც საქართველოს და, ალბათ, მთელი მსოფლიოს ყველა სხვა დიასპორებისათვის, განსაკუთრებული პერსპექტიული და ნაყოფიერი, ალბათ, ეროვნული თვითორგანიზაციის სწორედ ეს მექანიზმი — ეს ცენტრალური მექანიზმი აღმოჩნდება და არა მოცემული ეროვნების ადგილობრივი უმრავლესობების ორგანიზაცია ტერიტორიული ნიშნით. ასევე, ერთიანი ორგანიზაციის ფუნქციაა, მაგალითად, ოპტიმალურ კანდიდატთა მოძებნა პარლამენტში მონაწილეობისათვის, რაციონალურად დაბალანსებული განაცხადების შედგენა ბიუჯეტიდან ამა და ამ თანხების მიღებისათვის მოცემული ჯგუფის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ეროვნული კადრების მომზადება, დედაენაზე განათლების სისტემის დაგეგმვა და ლობირება და ა. შ... ეთნიკური (ეროვნული) შეფერილობის კონფლიქტთა წარმოშობის შემთხვევაში ადგილებზე ეროვნული თვითორგანიზაციის ამ ცენტრალური მექანიზმის არსებობა გააადვილებს ზოგადმნიშვნელადი ანუ მთელი დიასპორის ინტერესთა შესაბამისი გადაწყვეტილებების პოვნას, რითაც გაადვილდება გაღიზიანების, ჯავრის ყრის სურვილის და სხვა დესტრუქციული აფექტების ნეიტრალიზაცია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

საქართველოსათვის ეროვნებათშორისი ურთიერთობების რეგულირების ამგვარი მეთოდის მიზანშეწონილების სასარგებლოდ შეგვიძლია ორი გარემოება დავიმოწმოთ. პირველი: საქართველოში ეროვნული უმცირესობები ტრადიციულად (1801 წლამდე) განიხილებოდნენ, როგორც თვითრეგულირების საკუთარი მექანიზმის მქონე და საკუთარ ლიდერთა მყოლი ერთიანობები, და ეს ლიდერები თავისთავში ასახიერებდნენ მოცემული უმცირესობების უფლება-მოვალეობებს საერთოდ. მეორე: საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში საერთოდ, ეროვნული ვინაობის შენახვას ტრადიციულად ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი უჭირავს ღირებულებათა შკალაზე და ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება ინდივიდის იმ უფლების ღირებულებას, რომ დაცულ იქნას დისკრიმინაციისაგან ეროვნული (ეთნიკური) ნიშნით.

მთლიანად საქართველოს ოსებისათვის თვითორგანიზაციის ზემოხსენებულ საერთო ფორმას შეიძლება ეწოდებოდეს „თემი", „სათვისტომო", „ცენტრი", „კომიტეტი", „საბჭო", „ასოციაცია" ან სხვა რამ სახელი და მისი შექმნისა და პერიოდული განახლების მექანიზმები შეიძლება მდგომარეობდეს რაღაც დემოკრატიულ პროცედურაში მის წევრთა შორის ანუ მასში შესვლის მსურველთა შორის არჩევნებით ან დემოკრატიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სხვა რამ გზით. ასევე, რაღაც მექანიზმი შეიძლება მოიძებნოს იმის განსასაზღვრავად, რა ფორმით მიიღებს ესა თუ ის უმცირესობა მონაწილეობას პარლამენტში მომავალი კონსტიტუციის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში ზემოხსენებულ ოსურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ კანონით დაშვებულ ფარგლებსა და ფორმებში ეკონტაქტოს სამთავრობო, არასამთავრობო და ეროვნებათშორის ორგანიზაციებს საქართველოს გარეთ. უნდა მოიძებნოს მექანიზმი მისი მონაწილეობისათვის ოსებისათვის სპეციფიკურად მნიშვნელოვან ყველა სხვა პროცესებში მმართველობითი ან სათათბირო სტრუქტურების სახით.

საქართველოს ოსური მოსახლეობის მიერ ეროვნული თვითორგანიზაციისა და თვითრეგულირების ზემოხსენებული ფორმის ქონა რეალური განხორციელებაა ოსების მონაწილეობისა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რელაური ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე.

არაკონსტიტუციური (ანუ დროებითი, ერთჯერადი) მოწესრიგების მექანიზმი.

დღევანდელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მექანიზმი, თუ მას განვიხილავთ გარეგანი ფაქტორისაგან განყენებით, მდგომარეობს ზემოხსენებული ოსური ორგანიზაციისათვის (რომელიც მოიცავს მთელი საქართველოს ოსობას) სუბიექტის (ან შუამავლის) ფუნქციის დაკისრებაში ადგილზე მოლაპარაკების დროს. ამ სტრუქტურას შეიძლება ჰქონდეს თავისი რეზიდენციები ცხინვალში და სხვა ნებისმიერ ადგილას, თავისი სიმბოლიკის დემონსტრირების უფლება, მისასვლელი ყველა სახის ინფორმაციასთან, ორმხრივი კონტაქტის რწმუნება ვლადიკავკასის (ჩრდილოეთ ანუ ნამდვილი ოსეთის) ხელისუფლებასთან და ხალხთან (რათა ეჭვის ქვეშ არ დადგეს, რამდენად წმინდაა მისთვის საერთოოსური ინტერესები) და იგი უნდა მონაწილეობდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა:

ა) რაიონების დატოვება და გადასინჯვა

ბ) გზების გაყვანა კონფლიქტის ზონაში

გ) ზერაიონული საკონსულტაციო და მმართველი სტრუქტურების შექმნის მიზანშეწონილება თუ მიზანშეუწონლობა.

დ) მართლწესრიგის დაცვის ფორმები და მათ ორგანოთა დაკომპლექტება.

ე) განათლებისა და კულტურული ცხოვრების რეგულირების ფორმები

ვ) ადმინისტრაციული რეგულირების სხვა ფორმები, შემოსული წინადადებების განხილვის ჩათვლით.

დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან საბოლოო (დარეგულირებულ) მდგომარეობაში გადასვლის ოპტიმალური ტაქტიკა

საქართველოს ერთგულ ხელისუფლებას შეუძლია ეს გადასვლა მოახდინოს უმტკივნეულოდ — პოლიტიკური და ფიზიკური ძალის **ფონზე**, მაგრამ მის **გამოუყენებლად**. მოქმედების ტაქტიკა (რომელსაც, რა თქმა უნდა, დაემატება ესა თუ ის კერძო ნაბიჯები სიტუაციისდა მიხედვით) შემდეგია:

1. საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ რუსეთი აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, და ოფიციალურად მიჰმართავს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს და სასამართლოს ჩათვლით. ამ საფუძველზე ან გაჰყავს რუსეთის შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონიდან (და, საერთოდ, საქართველოდან) ან, თუ რუსები იმიზეზებენ თავისი მოქალაქეების „დაცვის" საჭიროებას (თუმცა ეს მომიზეზება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს), რუსულ პრეტენზიას კანონსაწინააღმდეგოს კვალიფიკაციას აძლევს, ამით რუსების ფიზიკურად ყოფნას ცხინვალის რეგიონში არალეგიტიმურს ხდის, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. (მაგალითად, რუსს ერთმევა უფლება ცეცხლი გაგვიხსნას და ა. შ.)

2. საქართველო აპროტესტებს ამავე ინსტანციების (სასამართლოს ჩათვლით) წინაშე რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის კონფლიქტურ ზონებში რუსეთის მოქალაქეობის მიცემის პოლიტიკას და აცხადებს რუსეთის მოქალაქეებისათვის (გარკვეული ვადის მიცემით) სავიზო რეჟიმს.

3. (პარალერულად). საქართველოს ხელისუფლება აქვეყნებს და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ისევე როგორც ყველა წონიან სპეციალისტს, უგზავნის ცხინვალის რეგიონში საბოლოო სამართლიანი დარეგულირების ფორმულირებას (ზემოთ მოყვანილი პრინციპის „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე" მიხედვით და ფუნქციური ავტონომიის ფორმით) და აცხადებს მზაობას, მადლიერებით მიიღოს რჩევები (მაგრამ, ცხადია, არა განკარგულებები) საკითხში ჩახედულ პირთაგან და ორგანიზაციათაგან. იგივე ტექსტი ქვეყნდება ქართულ და ოსურ ენებზე და ფართოდ ვრცელდება მოსახლეობაში იმავე წინადადებებით. (რჩევის მოცემის შესახებ).

4. გონივრული წინადადებების გათვალისწინებით (თუკი ასეთები შემოვა) საქართველოს პარლამენტი ადგენს ცხინვალის რეგიონში მოწყობის კონკრეტულ ფორმულირებებს და შემოაქვს ეს ფორმულირებები, როგორც კონსტიტუციური ნორმა.

5. საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს როგორც იარაღის ძალით საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის მცდელთა მიმართ, ისე ცხინვალის რეგიონში პიროვნებათა წინააღმდეგ დანაშაულთა ჩამდენების მიმართ. ასევე, რატისტული შეიარაღებული მოქმედების ლიდერები (კოკოითის ჩათვლით) ცხადდებიან ოფიციალურად სახელმწიფო დამნაშავეებად და ძებნილებად. ამით ავტომატურად გამოირიცხებიან რეპრესიის მოსახდენთა სიიდან ისინი, ვინც ამ ჩამონათვალში არ მოხვდება, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დამშვიდებას.

6. (პარალერულად) მიიღება გამკაცრებული კანონმდებლობა იარაღის ძალით საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც ითვალიწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას.

7. იქმნება პოლიციური ძალა, რომელსაც **შეუძლია** როგორც ქართველი დევნილი მოსახლეობის დაბრუნება თავის საცხოვრებელ სახლებში, ისე ძებნილთა დაკავების ოპერაციების განხორციელება და როკის გვირაბის კონტროლს ქვეშ აღება. ოპერაციის მეთვალყურეებად მოიწვევიან საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

8. იქმნება დროებითი ადმინისტრაცია, რომელსაც ეძლევა გაფართოებული უფლებამოსილებები ამ ოპერაციის განსახორციელებლად.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ნაბიჯები მოიცავს ძალის ფაქტორს, თუმცა არ ამოიწურება ამ ფაქტორით. ძალა აუცილებელია, რადგან

— ძალის ფაქტორის გარეშე შეუძლებელია უვნებელყოფა სახელმწიფოს იმ პირდაპირი მტრებისა (რუსეთის აგენტურისა), რომელიც ხელმძღვანელობს კრიმინალურ სეპარატისტებს.

— ძალის საჭიროება დავა მინიმუმზე (თუმცა არა ნოლზე) დღეს ცხინვალის რეგიონში მაცხოვრებელ ადამიანთა დიდი უმრავლესობის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არაპირდაპირ განთავისუფლების შედეგად (იხ. ზემოთ პუნქტი 5)

— საკმარისი ძალის კონცენტრაციის შემთხვევაში, რუსეთის იურიდიული ნეიტრალიზაციის ფონზე, შეიარაღებული წინააღმდეგობა, სავარაუდოა, აღარ შედგება. თუ იგი შედგება, მასში რუსეთი ველარ მიიღებს მონაწილეობას პირდაპირ (ღიად), არამედ იმოქმედებს მხოლოდ არაპირდაპირ, ანუ შეიარაღებულ მოქალაქეთა (კაზაკთა, „მოხალისეთა", ჩრდილოელ ოსთა) შემოგზავნის სახით. ამ არაოფიციალური (და, მაშასადამე შეუდარებლად უფრო სუსტი) წინააღმდეგობის დაძლევისათვის საქართველო მზად უნდა იყოს.

---

[1] იხ. კრებული Осетинский вопрос თბ. 1994. გვ. 296.

წინამდებარე ტექსტი წარედგინება საქართველოს საზოგადოებრიობას, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩათვლით, როგორც ზოგადი საფუძველი მოძრაობისა შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში „სამხრეთ ოსეთის" შექმნის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ხელმომწერ სუბიექტს უფლება ეძლევა თავის ხელმოწერას დაურთოს განსხვავებული აზრი ნებისმიერი მოცულობით.

საქართველოს გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის სახელით

ნ.ნათაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე

მ.ძნელაძე,
ისტ. მეცნ. კანდიდატი

ერთხელ კიდევ

ქართული სოფლის დაკრედიტებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ

ნათელია, რომ საქართველოში დაგროვდა გადასაჭრელი მრავალი პრობლემა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ეკოლოგიური, სასურსათო და სხვ.). მსოფლიო გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აგროსასურსათო სექტორს უჭირავს. თუ ამჟამად დედამიწაზე 850 მლნ-ზე მეტი ადამიანი შიმშილობს, ექსპერტთა შეფასებით უახლოეს ათწლეულში მათი რაოდენობა ერთ მილიარდს გადააჭარბებს. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოსათვის, სადაც აგროსასურსათო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია, მისი განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიის შემუშავება ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, რომლის არქიტექტორები ზესახელმწიფოები არიან, უკლებლივ ყველა სახელმწიფო მონაწილეობს, იმის გამო, რომ სახელწიფოთა უმრავლესობა სხვადასხვა თვალსაზრისით ურთიერთდამოკიდებულია. მას შემდეგ, რაც გამალებულ შეიარაღებაზე ასტრონომიული თანხები დახარჯეს, ბირთვულმა სახელწიფოებმა, რეალური საფრთხეების წინაშე პირისპირ დარჩენილებმა, უარი თქვეს ძალისმიერი მეთოდების აქცენტირებაზე და მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისთვის სამოქალაქო წესრიგის შექმნის ახალი, სრულიად გასხვავებული სქემა შესთავაზეს. შეიარაღების თაობაზე აქამდე არსებული დახურული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდებოდა სხვა სახელწიფოებისათვის, მეტიც, აძლევდა მათ სახელმწიფო ობიექტების ინსპექტირების უფლებას, აკისრებდა უამრავ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს და კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ გზად მოლაპარაკებებს მიიჩნევდა. ბირთვული შეჯიბრი დასრულდა, მაგრამ მსოფლიოში სიმშვიდე ვერ დამყარდა; სსრკ კავშირის დაშლის (ასევე ევროპის სოციალისტური ბანაკის ნგრევის შედეგად გამოწვეულმა მცირე ომებმა თუ ეთნოკონფლიქტებმა უამრავი თავსატეხი გაუჩინეს განვითარებულ ქვეყნებს. საკუთარი სამშობლოდან იძულებით გაძევებულმა ადამიანებმა, ლუკმა პურის მაძიებელმა დაბალი კვალიფიკაციის მუშახელმა, უსახსროდ დარჩენილმა ინტელიგენციამ, სხვადასხვა ჯურის ავანტურისტებმა და, ბოლოს, მესამე სამყაროს მაცხოვრებლებმა ოკეანის გაღმა სცადეს დამკვიდრება. ატანა ემიგრანტების ასეთი ძლიერი ტალღისა, რომელიც ცუნამის უფრო ჰგავდა, ზესახელმწიფოსაც კი გაუჭირდა და, თავად ემიგრანტების ქვეყანამ, უმკაცრესი კანონები მიიღო ემიგრანტების წინააღმდეგ.

„აღთქმული ქვეყნის“ ნაპირებისაკენ დღემდე მიილტვის ახალგაზრდობა სხვადასხვა კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო მედიისა და ინტერნეტის საშუალებით, საზღვრებისაგან დამოუკიდებელ, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს, მზადაა უარი თქვას მშობლიურ ენაზე, რადგანაც საკომუნიკაციოდ სწორედ ინგლისური ენა სჭირდება, და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საათობით „ეჩათავება“ (ჩეთ — ელაპარაკება, ეკონტაქტება) მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ თანატოლს. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, მათ ბევრ რამ აქვთ საერთო. მაგალითად, ორივენი უოლტ დისნეის ანიმაციურ ფილმებზე გაიზარდა. („ჩხიკვთა ქორწილის“, „კომბლეს“, „ნაცარქექიასა“ და ა.შ. ფირები იმდენად მოძველდა, რომ უხარისხობის გამო თანამედროვე აპარატურას აზიანებს, ახალი ქართული მულტიპლიკაციისათვის კი თანხები ვერც სახელმწიფომ და ვერც კერძო სტუდიებმა ვერ გამონახეს); ქართველი მოზარდებისათვის საყვარელი რეპერი ოკეანსგაღმელი თუფაქი და ემინემია. ჰოლივუდის ვარსკვლავებმა დაჩრდილეს ქართველი მსახიობები; ტრადიციული ინსტიტუტები, რომელიც ყოველთვის გამოარჩევდა ქართულ გენს, ნელ-ნელა უფერულდება, და ბოლოს, რეალითი შოუ „ჯეობარი“ არის ქართველი თინეიჯერების საყვარელი გადაცემა და ცხოვრების ახალი წესი, რომელმაც შოკში ჩააგდო მამა-პაპისეულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობები.

ასე აღმოვჩნდით ჩათრეულნი გლობალიზაციის პროცესში, რომელიც ისევე, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენა, შეუქცევადია და უფრო სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის, ვიდრე ყბადაღებული ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც ვითომდა თვალი ჩვენი განვითარებადი ეკონომიკისაკენ უჭირავთ.

უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა მთელი მსოფლიოსათვის დღესდღეობით გლობალური დათბობის საშიშროებაა. გასულ ზაფხულს ტემპერატურის მატებამ მარტო საფრანგეთში ათი ათასი ადამიანი იმსხვერპლა, საშინელმა სიცხემ გაანადგურა ტყის მასივები საქართველოში, თურქეთში, საბერძნეთში, აშშ, რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში. ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მსოფლიო თანამეგობრობა განსაკუთრებული ზომების მიღებას ითხოვს. საქართველოში უკვე საჭიროა ტარდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა მოსალოდნელი გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგები მინიმუნამდე იქნეს დაყვანილი. ეს მოითხოვს გვალვებისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას, მელიორაციული სისტემების მოწესრიგებას, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, გვალვაგამძლე ახალი ჯიშების გამოყვანას და ა.შ. ყველაზე მცირედი, რაც კი შეიძლება ჩვენ ჩვენი ქვეყნისათვის გავაკეთოთ, ტყის ახალი მასივების გაშენებაზე ზრუნვაა.

გლობალიზაციის კიდევ ერთ ფაქტორად შეიძლება აღვიქვათ ნარკომანია. აღარავისათვის არ არის დაფარული, რომ საქართველო კარგა ხანია ნარკოტიკების ტრანზიტ ქვეყნადაა აღიარებული. ადგილობრივ მომხმარებელთა რიცხვმა 200 ათასს გადააჭარბა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომხმარებელს ძირითადად ახალგაზრდობა წარმოადგენს, შედეგები შესაძლოა ქვეყნისათვის სავალალო აღმოჩნდეს.

საქართველოს მაცხოვრებლებს შეეხოთ ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორიც შიდსია. მართალია, ორი წლის განმავლობაში მხოლოდ 1500 მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ მცირე ერისათვის ესეც დამაფიქრებელი მაჩვენებელია. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მეზობელ ქვეყნებში, — რუსეთში, თურქეთსა და უკრაინაში, — ინფიცირებულთა რიცხვმა შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია. ქუთაისში მომხდარმა ფაქტმა, დონორის სისხლისგან მცირეწლოვანი ბავშვის ინფიცირების შემთხვევამ, ცხადყო, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგევართ; შესაძლოა ვირუსის მატარებელმა თავადაც არ იცოდეს საკუთარი ავადმყოფობის შესახებ, ან სულაც მალავდეს მას. შეგახსენებთ, — მსოფლიოში 40მლნ. შიდსით დაავადებულია, აქედან 25 მლნ. გარდაიცვალა. თუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ეკონომიკურ სიდუხჭირესა და შიდსის მკურნალობასთან დაკავშირებულ სოლიდურ თანხებს გავითვალისწინებთ, თვალსაჩინო გახდება, — როგორი უსუსურები ვართ აღნიშნული დაავადების წინაშე.

ვერ ავიცილეთ მსოფლიოში გავრცელებული ისეთი მოვლენა, როგორიცაა ტრეფიკინგი, ადამიანების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, ტერორისტული აქტებისგანაც დაუცველები ვართ. ასე რომ, მსოფლიოში მიმდინარე არცერთმა უარყოფითმა მოვლენამ საქართველო უყურადღებოდ არ დატოვა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ყველა ამ დამღუპველმა სენმა ჩვენს მიწაზე ნოყიერი ნიადაგი იპოვა.

კადიროვი-უმცროსი (მამამისი, რუსეთის მარიონეტი, ტერაქტით დაიღუპა), ყოფილი მებრძოლი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამჟამად რუსეთის მარიონეტი მმართველი ჩეჩნეთში. Iგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, შექმნა პირადად პუტინმა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით პუტინი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ჩეჩნეთმა (ჩეჩნეთის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულმა და რუსი ხალხის თვალში უკიდურესად პოპულრულმა ომმა) შექმნა.

მატერიალური დახმარება (გრანტებისა თუ კრედიტების სოლიდური რაოდენობით შემოსვლა საქართველოში უკვე ათეულ წელზე მეტია) სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და მთლიანად სურათის შეცვლას ვერ ახერხებს; მეტიც, ოდნავადაც კი ვერ აუმჯობესებს. ამის დასტურია სოფლიდან დაძრული მოსახლეობა, რომელიც ქალაქში ეძებს ლუკმა-პურს; ეს მაშინ, როცა მილენიუმის პროგრამა სწორედ სოფლის მეურნეობის დარგების დაფინანსებას ითვალისწინებს. გრანტებზე ხელი კვლავაც შეზღუდულ წრეს მიუწვდება; ინფორმაცია კი კვლავაც დახურულია.

ამას წინათ საზოგადოებრივ რადიოში ჟურნალისტ დ. პაიჭაძის მიერ მომზადებულ გადაცემას ვუსმენდი, რუბრიკით „რეგიონის დროით“. სტუდიაში ერთ-ერთი რაიონის გამგებელი და გამგეობის წევრები იყვნენ მიწვეულნი. ისეთი აღმშენებლობის სურათი დახატეს, მართალი გითხრათ, გული სიამაყით ამევსო. თურმე ნუ იტყვით და ახალგაზრდობა ბირჟაზე აღარ დგას, იმიტომ რომ გამგეობას სკვერი გაუკეთებია, შიგ სკამები ჩაუდგამს და ახლა კი არ დგანან — სხედან. მე კი გავბრიყვდი და ვიფიქრე დაასაქმეს უმუშევრები-თქვა. ჟურნალისტს ისეთი ოპტიმისტური ტონი ჰქონდა, ხოლო გამგებელი აღმშენებლობის ისეთ სურათს ხატავდა, მაინც გულს მომეფონა, თუმცა იდილია რედაქციაში შემოსულმა მოსახლეობის ზარებმა გაფანტა. თურმე ნუ იტყვით და რაიონის ახლო მდებარე ათიოდე სოფელში პური არ ცხვება, ავტობუსი არ დადის, ცნობის ასაღებად ცენტრში უწევთ ჩასვლა ფეხით და იქაც დაკეტილი კაბინეტის წინ უხდებათ ყურყუტი; დამშეულმა, დაუსაქმებელმა ახალგაზრდებმა თბილისს მიაშურეს. ბატონმა გადაცემის ავტორმა, დავით პაიჭაძემ, რომელმაც პირადად მე შევარდნაძის მთავრობის უმძაფრესი კრიტიკით დამამახსოვრა თავი, სოფლის მოსახლეობას, რომელსაც ავტობუსით მგზავრობის თანხაც კი არ გააჩნია, საკუთარი თონეების გახსნა ურჩია...

თუ ნებას მომცემთ ერთ ანეგდოტს მოგიყვებით, რომელიც გადაცემის სათაურმა „რეგიონის დროით“ მომაგონა.

ჭიჭიკიას ეკითხებიან: — რომელი საათია?

— ოცი წუთი აკლია, — პასუხობს,

— რას?

— არ ვიცი, პატარა ისარი დაკარგული მაქვს.

ვფიქრობ, რაიონში კარგა ხანია დრო გაყინულია, რადგან პატარა ისარი დაკარგულია. რაც შეეხება კერძო თონეებს, მცირე, გრძელვადიანი სესხების აღება ხელმისაწვდომი რომ იყოს სოფლის მოსახლეობისათვის, საცხობებსაც გახსნიდნენ, ახალგაზრდებსაც დაასაქმებდნენ და ახლადგახსნილ სკვერსაც მუშაობაში ჩაუთვლიდნენ რაიონის გამგებელს.

თუ დასაქმების პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდა, ადამიანებს ღირსების გრძნობა დაუბრუნდებათ და სტუმარმასპინძლობის ის წესი აღდგება, ქართველ კაცს ათასი ჯურის ვიგინდარაში რომ გამოარჩევდა.

უკეთესად დაგეგმილი არც ქალაქში დასაქმების პრობლემაა. კარგი, ვთქვათ, 50 ათასი კაცი სამი თვის განმავლობაში 150ლ მიიღებს. სამი თვის შემდეგ ამ ხალხს ჭამა არ უნდა? სხვათაშორის გაზეთი „ალია“ რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა გაერკვია, ხელისუფლების მიერ დასაქმებულმა რამდენმა ადამიანმა მოახერხა, სამი თვის დასრულების შემდეგ, სამუშაო ადგილის შენარჩუნება. როგორც გაირკვა არაკვალიფიციური კადრები ვადის ამოწურვისთანავე დაითხოვეს სამსახურიდან.

გულუბრყვილობა იქნება წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყნის ღარიბი მოსახლება პასიურად გააგრძელებს საკუთარი სიდუხჭირის ატანას (საზოგადოების სიმშვიდე ღარიბების მოთმინებაზე დგას). დროთა განმავლობაში კრიმინალური გარჩევები კიდევ უფრო მოიმატებს. ხშირად ახალგაზრდა იმიტომ კი არ ჩადის დანაშაულს, რომ ქურდული სამყაროს „რომანტიკა“ ხიბლავს (თუ „ქურდული გაგება“ მართლა ხიბლავს ვინმეს, მით უარესი მისთვის), არამედ იმიტომ, რომ მშიერია, ჩაუცმელია და გათოშილ სახლში მისვლა ეზარება, რადგან იქ უმუშევარი დედ-მამა და პენსიის მომლოდინე ბებია ელის. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ საღამოს ქართული ტელეარხები მოზარდების მიერ ჩადენილ მკვლელობებს აშუქებენ. შემზარავი კრიმინალის სათავეს ჰოლივუდში გადაღებულ თრილერებში ნუ ეძებთ. ძალადობას, რომელსაც პოლიციელები და (სახელმწიფო) მოხელეები ახალგაზრდობაზე ახორციელებენ, როგორც დასტურდება, უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია მოზარდზე. სწორედ „წარმატებული“ სპეცოპერაციების შედეგების გაშუქებას მოჰყვება თან პროტესტის გრძნობა და იმედიც — თუ იმათ შერჩათ მეც შემრჩება, არავინ დამსჯის. აღნიშნული მოვლენების მიმართ გულგრილი არ დარჩენილა განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, რომელიც, სამწუხაროდ, პრობლემის დაძლევის არაადეკვატურ გზას გვთავაზობს და აი რატომ: თუ სკოლაში ჩატარებული ჩხრეკისას მოზარდს ჯიბეში დანა აღმოაჩნდება, მშობელი ჯარიმის სახით 500ლარს გადაიხდისო. ბატონო კახა, საქართველოში მომუშავე 32 ათასი პედაგოგიდან, რომლის ხელფასია 250 ლარი მაინც? შეძლებული მშობლების შვილებმა კარგა ხანია თავი დააღწიეს საჯარო სკოლებს და ფასიან, პრესტიჟულ სასწავლებლებს მიაშურეს. ასე რომ დანა კი არა, ნაჯახიც რომ ჰქონდეს, 500ლარის ოდენობის ჯარიმას ვერავინ გადაიხდის.

აღნიშნული პრობლემა მარტო განათლების სამინისტროსა და შს მინისტრის გადასაწყვეტი როდია. საქართველოში მცხოვრებ ღარიბსა და უღარიბეს მოსახლეობას უხერხულად მდიდარი მთავრობა ჰყავს, მაძღარს კი მშიერის არ ესმის.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარდგენილია ნობელის მშვიდობის პრემიაზე. ერთი წლის თავზე იგივე წყაროები ირწმუნებოდნენ, რომ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერი — უკრაინის პრეზიდენტიც კანდიდატთა სიაშია. თუმცა 2005-2006 წლებში სულ სხვა ლაურეატები გაიცნო მსოფლიო საზოგადოებამ. ბანგლადეშის მოქალაქე, ეკონომიკის დოქტორი მუჰამედ იუნუსი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. ისტორია კი ასე დაიწყო:

ქ. დაკაში უნივერსიტეტში მომუშავე ეკონომიკის დოქტორი ქალაქის გარეუბანში უღატაკესი მოსახლეობის ყოფას სწავლობდა. გლეხები, რომლებიც მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით ირჩენდნენ თავს, მევახშეების წნეხის ქვეშ ცხოვრობდნენ. კაბალიდან თავის დაღწევას ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, ზოგჯერ ვალი მემკვიდრეობით გადადიოდა. მუჰამედი დაინტერესებულ სტუდენტებთან ერთად სწავლობდა მათ ყოფას, ცხოვრების წესს, ვალის გასტუმრების შესაძლებლობასა და პროცენტებს. მან გამოარჩია განსაკუთრებით მუყაითი გლეხები, ვალი გაუსტუმრა და თავად დაუგეგმა მეურნეობის მართვის უფრო პერსპექტიული გზები. შედეგი ერთი წლის გასვლისთანავე სახეზე იყო. ამით მუჰამედის დახმარება არ ამოწურულა, მისი წარდგენილი ულტიმატუმი ასეთი იყო, გლეხებს შვილებისათვის დაწყებითი განათლება უნდა მიეცათ, სხვა შემთხვევაში დახმარებას ვერ მიიღებდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ეკონომისტი და მისი მოსწავლეები დაკავდნენ უღარიბესი გლეხებით, რომელთაც არა მარტო ეკონომიკურად, არამედ შეძლებისდაგვარად ფიზიკურადაც ეხმარებოდნენ. ხუთი წლის შემდეგ რამდენიმე სოფელს ვეღარ იცნობდით. თავისი ექსპერიმენტით მუჰამედმა „გრამენ ბანკის“ წარმომადგენლები დააინტერესა; მათ სიამოვნებით გასცეს დაბალპროცენტიანი სესხები. ასე გრძელდებოდა 14 წლის განმავლობაში, ასეა დღესაც.

ქართული ანდაზა გვასწავლის, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, მაგრამ ნობელის პრემიის ლაურეატის მაგალითი სულ სხვაზე მიგვანიშნებს; როგორც ჩანს, საქართველოში დადგა დრო სიტყვიდან საქმეზე გადასვლისა. სხვა ალტერნატივა ქვეყანას, რომლის მოსახლეობის 56%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებობისათვის იბრძვის, — არ აქვს!

მდგომარეობიდან გამოსავალი, რასაკვირველია, არსებობს; ესაა, ჩვენის ღრმა რწმენით, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა; კრედიტებთან ხელმისაწვდომობა; წარმოების მასტიმულირებელი, სამართლიანი სისტემის შექმნა; სტაბილური ბაზრისა და კეთილსაიმედო, ეფექტიანი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება; კადრების სწავლებაგადამზადება. თუმცა, სახელწიფოს მხრიდან აქციის სახე მსგავსი ტიპის პროგრამებს არ უნდა ჰქონდეს; მათ ეკონომისტები უნდა წერდნენ და არა „პიარშჩიკები“.

ხელისუფლება მტკინვეულად რეაგირებს ნებისმიერ შენიშვნაზე, არადა სურვილი ხალხს დაეხმაროს ნამდვილად აქვს. ერთჯერადი აქციებით რაგინდ პიარ-კამპანია არ უნდა უძღოდეს მას წინ (იძულებითი წესით ყურძნის შეძენა კერძო ფირმებს ერთხელაც იქნება ყელში ამოუვათ), სოფლად დაგროვილი პრობლემები არ გადაწყდება. 20ლ საწვავი ან 20კგ სასუქი გლეხს მიწას ვერ დაამუშავებინებს, რადგან მას ტრაქტორი არ აქვს, ისევე როგორც სათესლე სიმინდისა თუ ხორბლის შესაძენი თანხა.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელ ღონისძიებებში (ბაზრებთან კავშირი, აგრარული სტრუქტურები, ფინანსებთან ხელმისაწვდომობა და სხვ.), სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის (კოოპერაციული, ურთიერთდახმარების ტიპი) შექმნა უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. მისი საქმიანობა უნდა რეგულირდებოდეს სპეციალური კანონმდებლობით და არა კომერციული ბანკების შესახებ კანონით. მსგავსი სისტემები საუკუნეზე მეტია წარმატებით ფუნქციონირებენ აშშ-ში (ფერმერთა საკრედიტო სისტემა), საფრანგეთში (აგრიკოლი), გერმანიასა და ავსტრიაში (რაიფაზენის კრედიტი), ჰოლანდიაში (რაბობანკი), ბელგიაში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში.

საწვავზე და სასუქზე დახარჯული თანხით თავისუფლად შეიძლებოდა დაგვეფუძნებინა სპეციალური კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა (ურთიერთდახმარების სოლიდარული პასუხისმგებლობის კრედიტი), რომელიც ესოდენ საჭირო ქართველი გლეხობისათვის.

აგროსაკრედიტო სისტემის პროექტი ჯერ კიდევ 1998 წელს იყო მომზადებული და წარდგენილი მთავრობაში; იგი უნდა დაფუძნებულიყო საპარტნიორო ფონდის ბაზაზე, რაც შექმნდა რეალურ პირობას ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის არსებობისათვის; სამწუხაროდ, პროცესი არასწორად წარიმართა და მივიღეთ კომერციული აგრობიზნეს ბანკი, რომელსაც პრაქტიკულად არ გაუმართლებია აბრაზე წარწერილი სახელწოდება „აგრობიზნესბანკი“. დღეს ის გაყიდულია და კერძო პირის ხელშია „სტანდარტ ბანკის“ სახელწოდებით. ქართული სოფელი კი კვლავ დაკრედიტების გარეშეა დარჩენილი და შედეგიც სახეზეა, — ქვეყანაში რეალურად არსებული მწვავე სასურსათო კრიზისი.

ყოველი საკანონდებლო ნორმა მოითხოვს შესაბამისი სპეციალისტების მიერ სრულყოფილ გააზრებას, კანონში ასახვას და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი გარემოს ფორმირებას. აგრარული რეფორმის პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა არ პასუხობს უმთავრესს — საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისა და სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფის ამოცანას. არა და, სასურსათო უშიშროება უნდა აყვანილ იქნეს უპირველესი სახელმწიფო (უმაღლესი ნაციონალური ინტერესი) პრიორიტეტის რანგში (სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების — მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს რაციონალური გამოყენება; სათესი ფართობების სახელმწიფო რეგულირებისა და ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის მათი გადანაწილების ეკონომიკური მექანიზმის დაკანონება; აგროპროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების ზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება; სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო დამკვეთად (კონტრაქტორად), არამედ მყიდველად და განმანაწილებლად).

პაატა კოლუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

გიორგი ნათაძე

უზურპაცია შეუთავსებელია ეროვნულ სიცოცხლესთან

ასე ეღება ბოლო სამყაროს — ბათქით კი არა, წკმუტუნით
თომას ელიოტი

ქართული პოლიტიკის არაერთი მძიმე შედეგი ბოლო საუკუნეებში, სამწუხაროდ, ამტკიცებს, რომ სრულებით აუცილებელი ცნებები „კარგი კაცი“ და „ცუდი კაცი“ ამავე დროს სრულებით უკმარისია ქვეყნის არსებობის შესანარჩუნებლად. საბედისწერო პოლიტიკურ უჰორიზონტობას სხვა მიზეზთა შორის აქვს შემდეგი კონკრეტული მიზეზიც: შუა საუკუნეების ფეოდალურ ვითარებაში შემუშავებული სააზროვნო კატეგორიები აღარ კმარა დემოკრატიისა და ტექნიკური პროგრესის პირობებში. „ახალი დროება“ ინდივიდისაგან მოითხოვს იდეაშესაბამისი მოქმედების უნარს და პოლიტიკოსისგანაც მოითხოვს ამ ინდივიდის ქმედების კანონების ცოდნას. პოლიტიკური პროცესი, ჯამში, არის ერში მოცემული ესენციური (არსობრივი) სტრუქტურის და ერის აზროვნების კატეგორიების (ძირითადი, საყრდენი ცნებების) განსხეულება. ამ აზროვნებაში ჩამორჩენა კატასტროფას ნიშნავს.

მონტენეგრო (სხვანაირად — ჩერნოგორია) იუგოსლავიის დაშლის შედეგად დამოუკიდებლობამოპოვებული თუ დამოუკიდებლობამიღებული ერთერთი სახელმწიფოა. რუკიდან ჩანს, რომ მისი საზღვაო-სატრანსპორტო შესაძლებლობები გამოყენებული შეიძლება იქნეს სერბების მიერაც (რაც მათთვის სასიცოცხლოა) და კოსოვოელი ალბანელების მიერაც (რომელთაც ზღვისკენ სხვა გასასვლელიც აქვთ ალბანეთის გზით). ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მონტენეგროს ხალხის ნებაზე, რომელსაც ენა და გენეტიკა იგივე აქვს, რაც სერბებს. ამიტომ, ახლა გული (როგორც ჩანს) ისევ მათთან მეგობრობისაკენ მიუწევთ.

ქართველი ერის არაერთი პოლიტიკური კატასტროფა განსაზღვრა ერთმა სიტყვამ — „უზურპაციამ“, ანუ ლეგიტიმურად არაკუთვნილის თვითნებურმა მითვისებამ. გიორგი მესამის ეპოქაში მომხდარის — დინასტიური ლეგიტიმურობის დარღვევის (დემნას ეპიზოდი) — შედეგები საქართველოს ისტორიას შორს გასწვდა. უზურპაცია და მისი უარესი სახე — კომპეტენციების უზურპაცია — დღეს ფართოდ არის გაშლილი საქართველოში ხელისუფლების უმაღლეს დონეზე. საქართველოს მარაზმატული მართვის და ამავე დროს პოლიტიკური უკულტურობის ყველაზე მკვეთრი მაგალითი და გამოვლინება არის ის, რომ საკანონმდებლო ფუნქციებით არჩეული პარლამენტები (უკვე მერამდენე მოწვევისა!) კანონების სახელით ეწევიან, ფაქტობრივად, დეკრეტების მიღებას, ანუ იღებენ იმგვარ „კანონებს“, რომლებიც მორგებულნი არიან მხოლოდ ერთჯერად, სადღეისოდ კონკრეტულ ამოცანაზე, ისიც — კორუმპირებული ჯგუფებისაზე და არა სახელმწიფოსაზე. საკანონმდებლო ხელისუფლება პირადი დაინტერესებით ახორციელებს, ფაქტობრივად, აღმასრულებელ ფუნქციას.

კანონი, განსაზღვრებითვე, არის უნივერსალური, უპიროვნო, ზედროული ნორმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია (და, იგულისხმება, ოპტიმალურია) სამართავი ობიექტის, თვით უნივერსუმის ჩათვლით, არსებობა (რასაც,პრინციპულად,გულისხმობს კატეგორიული იმპერატივის კანტისეული პრინციპიც). ის, რასაც საქართველოს პარლამენტი აკეთებს და რაც წეღან ვახსენეთ, ლახავს არა მხოლოდ კანონს, არამედ თვით კანონმდებლობის არსს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერის ისტორიული თვითრეალიზაციისთვის, მისი ესენციური (არსობრივი) თვითდამკვიდრებისათვის არ არსებობს სხვა ფორმა და გზა გარდა შეთანხმებული და ცნობილი ზოგადი (საერთო) ნორმით მოქმედებისა, ანუ კანონიერი მოქმედებისა, ნათელი გახდება, რომ კანონის სისტემატური და პრინციპული დარღვევა, მით უმეტეს — თვით კანონმდებლობის პროცედურის ზემოხსენებული დარღვევა ერისთვის მომაკვდინებელია. ქართველ ერს ეს განსაკუთრებით ეხება. რატომ? იმიტომ, რომ ქართველი ერის ტრადიციული, გენეტურად ჩამოყალიბებული და ისტორიულად განმტკიცებული მენტალიტეტი, ზოგი სხვა ერებისაგან განსხვავებით, ორიენტირებულია არა პრაგმატისტულად (თუმცა თავისი ცხოვრების ამოცანებთან მიმართებაში რეალისტურია), არამედ მორალურადაც (და, უპირატესად — სწორედ მორალურად). ქართულად არსებობა, ტრადიციული მსოფლშეგრძნებით, გულისხმობს არსთან ზიარებას, ანუ იმ უზოგადესი ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად ცხოვრებას, რომლებიც, იგულისხმება, თვით არსის, თვით სამყაროს წყობის პრინციპებია. უგუნური კერძო ნება ამა თუ იმ ინდივიდისა და ჯგუფისა, რომელიც მოკლებულია ზე-პირადი (პირადულზე ამაღლებული) იდეის, ზნეობის, ღირსების დომინანტს, ამგვარად, მიდის ერის ესენციური იდეის წინააღმდეგ, ხოლო ასეთ პირად კერძო ნებათა გაბატონება ქმნის ერის საერთო თვითსპობის (სახელდობრ, საკუთარი უგუნური ქცევით ერის მომავლის სპობის) ცნობილ სინდრომს, რომლის მოწმენიც დღეს ვართ.

ის, რომ საზოგადოებას არ ესმის ძირითადი პოლიტიკური ცნებების მნიშვნელობა, რეალური ცხოვრების დეფექტების ერთერთი სერიოზული მიზეზია. რამდენიმე მაგალითი. დემოკრატია არის არა მხოლოდ სახელმწიფო სისტემა, არამედ აგრეთვე თვით პროცესი განუწყვეტელი არჩევანებისა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს სახელმწიფოებრიობა. სადაც დემოკრატია პროფანირებულია, იქ არ არსებობს სახელმწიფო, არამედ მაფიის განუკითხაობაა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-8 გვერდიდან

(და ეს საქართველოში მით უფრო სამარცხვინოა, რომ საქართველოსთვის ტრადიციულია „ზნეობრივი იერარქია“ – (ზნეობრივი, და არა მხოლოდ ოფიციალურად დადგენილი!). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეს ერთერთი უნიკალური ნაწილი საზოგადოებრივი მარაზმის ძლევის ერთერთი ქმედითი საშუალებაა). კიდევ მაგალითი. სიტყვა „კომუნიზმი“ ნიშნავს სოციალურით შენიღბულ მონათმფლობელობას, რაც ქმედითუნარიანი იყო თავისი სოციალისტური ელემენტის წყალობით. სოციალიზმი გაუქმდა, მონათმფლობელობა დარჩა. შედეგია სწორედ ის სურათი – სრული სპობა – რაც დღეს საქართველოში რეალობაა.

რაც შეეხება ცნებას „კაპიტალიზმი“, მისი შინაარსია ერთი ფრაზა: „საკუთრება წმინდაა“, ანუ ბაცაცობა დასჯადია, არსებობისუნარიანია მხოლოდ პატიოსანი შრომა. ასეთი პრინციპების ფონზე ამ სფეროში ყველანაირი სიტყვიერი დემაგოგიის გარდუვალი შედეგია ის, რომ საზოგადოებაში აღარ მოქმედებს, მივიწყებულია, აზრდაკარგულია სიტყვა „სხვისი“ (ყველა ყველაფრის დატაცებისკენ. მისწრაფვის). უარესიც. აზრდაკარგულია თვით სიტყვა „ფული“, ვინაიდან ფულის (ეროვნული ვალუტის) მდგომარეობაზე პასუხისმგებელია თავისი მთლიანეროვნული სიმდიდრით მთელი საზოგადოება, ერი, და ეს პასუხისმგებლობა ქრება (როგორც ეს დღეს საქართველოშია), როცა ერი არ იცავს და ვერ იცავს თავის ეროვნულ სიმდიდრეს დამტაცებლებისაგან. „დემოკრატია“, რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ, საზოგადოების დიდ ნაწილს „განუკითხაობის“ სინონიმი ჰგონია. სინამდვილეში დემოკრატია არის ერის (დემოსის) მმართველობა და არა ეროვნული უბადრუკობისა – ერის ყველაზე უბადრუკი და უნამუსო ნაწილისა. გამოთქმაში „ხმა ღვთისა – ხმა ერისა“ იგულისხმება არა ხალხის შემადგენელ ინდივიდთა კერძო წვრილმანი ინტერესების სამსახური, არამედ ზოგადეროვნული ესენციური (არსობრივი) იდეის განსხეულება, რაც, როგორც უკვე ვთქვით, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოში კონსტიტუციური და, საერთოდ, კანონიერი ნორმების ზუსტი დაცვის შემთხვევაში, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია, რეალურად, მხოლოდ მაშინ, როცა კანონიერი და, კერძოდ, კონსტიტუციური ნორმები ემთხვევა ერის ზნეობრივ ნორმებს და, უბრალოდ, – ბრალის არმქონე ეროვნულ სინდისს.

როგორც ეროვნული ესენციის (არსის) დომინანტა გარდუვალია მის ყველა პოზიტიურ მიღწევაში, ისე გარდუვალია მის დამარცხებებში ეროვნული ხინჯის განსხეულებაც. აშკარა და დაუფარავი თვითსპობა – ეკონომიკური, ფარმაკოლოგიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური გენოციდი, რომელიც საქართველომ გააჩაღა საკუთარ ქვეყანაში – ამ კანონით აიხსნება. მაგრამ ქართველი ერი იმიტომ არსებობს, რომ ყველა ეპოქაში მოქმედებდა „ჯალალედინის ხიდის“ ფაქტორი, ერის თვითგანწმენდის მექანიზმი.

ეროვნული თვითსპობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი და პარამეტრია ეროვნულისა და ოდენ-ეთნიკურის აღრევა. ამ ცნებათა შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც „პირადსა“ და „პიროვნულს“ შორის. სანამ მოსახლეობა თავისი ცნობიერებით მხოლოდდამხოლოდ ტომია, მოდგმაა, იგი ფაფხურობს მეზობლების წრეში და მოქმედებს მეზობლების „ჯინაზე“, ინსტინქტურად. ერი კი თავს იაზრებს უნივერსუმის მიმართ და კაცობრიობის მიმართ, მათს კონტექსტში. მსოფლიო არენაზე (რომელზეც დღეს უკვე ვართ) მარტოოდენ თავისი „ტოტემის“ მასშტაბით მოაზროვნე ადამიანისთვის მიუწვდომელია დემოკრატიის იდეაც, ძალაუფლება მისთვის პერსონიფიცირებულია მის „ბელადში“. დაახლოებით ამავე მიზეზით აიხსნება ქართული პოლიტიკური პარტიების მარაზმატირებაც – თავისი პარტიული ინტერესების მიღმა ვერგახედვა და ეროვნული ინტერესების დაუნახაობა. ტოტემური აზროვნების ზემოთ (ძალიან დიდი მანძილით) დგას სამხედრო დემოკრატიის (თემობის) დამახასიათებელი აზროვნება (ყველა იცავს თავს და ერთობას). მაგრამ დღეს მისი ფსიქოლოგიური მემკვიდრეობაც უქმია, თუ არ მუშაობს კორექტული კონსტიტუციური პროცედურის მექანიზმები.

ხსენებულ სიმახინჯეთაგან განსხვავებით, ქართული ტრადიციული პოლიტიკური აზროვნების უნიკალური და ფასდაუდებელი ელემენტია ანსამბლურობა – სინთეზური ფორმა, რომელიც თავისუფალია ჯოგური კოლექტივიზმისაგანაც და გადაჭარბებული (ეგოისტურად შეზღუდული) ინდივიდუალიზმისაგანაც. (ხატოვან ილუსტრაციად შეგვიძლია დავასახელოთ მრავალხმოვანი სიმღერა). პოლიტიკური პროცესის ლოგიკა ამ შემთხვევაში არის არა ორმნიშვნელოვანი („ან ერთი, ან მეორე“), არამედ არეოპაგული (საბჭოსებრი). ანსამბლურობის პრინციპით მიდგომა ნაყოფიერია გლობალურ პოლიტიკაშიც, რომელიც დღეს ბირთვული საფრთხის არსებობის პირობებში ვითარდება. ერის მიერ თვითმყოფადობის დათმობა დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ გადადის თვითსპობის – ყველას წინააღმდეგ ყველას ბრძოლის – მდგომარეობაში. მეორეს მხრივ, ერთმანეთთან მხოლოდ დაპირისპირებული ერების საზოგადოებასაც აერსპექტივა არა აქვს. ამიტომ ქართული პოლიტიკური აზროვნების ტრადიციული ელემენტი – ზნეობრიობა, ზნეობრიობაზე ორიენტაცია – აქ-



ბლეერი

ტუალურია საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ამ მსჯელობით კიდევ ერთი ცნების სწორად გაგების ამოცანასაც მივადექით: ეს გახლავთ „სამართლიანობა“ – იმის მუდმივი ცნობიერება საზოგადოებაშიც და მმართველობაშიც, რომ ყოველგვარი პრაქტიკული ინტერესის გარდა არსებობს ადამიანთა და ერთა შორის მართებული, ანუ ზნეობრივად მისაღები ურთიერთობების ნორმები, რომელთა დარღვევაც დაუშვებელია რაგინდარა დიდი პრაქტიკული ამოცანის კონტექსტშიც კი. საპირისპირო მიდგომა – იდეური ფასეულობების გაცვლა პრაგმატულზე – ეს ცინიზმი და ალოგიზმი, რასაც კლეპტოკრატია იყენებს თავის იარაღად მოსახლეობაზე ზემოქმედებისათვის – ეროვნული თვითსპობის ერთერთი მექანიზმია.

ქართული ცნობიერება ზნეობრივ-დომინანტურია, როგორც კი შეირყვნის ეროვნულ სინდისს, იგი საერთოდ კარგავს მოაზრებადი ქმედების უნარს. მაგრამ, ცნობილია, რომ ყოველნაირი უგვანობის ბატონობას ვერ ერევა ნეიტრალური, კომფორმისტული ზნეობა, არამედ მხოლოდ მებრძოლი ქველობა, თავგანწირვა. თუ ამ „მებრძოლ ზნეობას“ დაძლეული აქვს ინდივიდუალობის დიხოტომია („მე თუ ყველა?“), მაშინ იგი გამარჯვებულია. კარმის კანონი დიფერენცირებულადაც მოქმედებს: ყველა ინდივიდი კონკრეტული ხინჯით არის მიბმული დესტრუქციაზე – მას ემუქრება შიში, შური, სიხარბე, უმადურობა და სხვა. ამ ხინჯებთან ბრძოლისუნარიანია მხოლოდ ის ცნობიერება, რომელიც პრინციპებს ითვალისწინებს. საქართველოს შემთხვევაში ერთერთი ასეთი პრინციპია აღმაზევებელი,ნაციონალური ნება, მოკლებული გულუბრყვილობას, ანუ ქართული ტრადიცია, რომელსაც ათვისებული აქვს ეპოქის შესაბამისი პოლიტიკური კატეგორიები. ერთი ამ პრინციპთაგანი არის კანონმდებლობის სწორად წარმართვა და კანონის პატივისცემა, რაც ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ცხოვრების ერთადერთი ადეკვატური ფორმაა. სწორედ ამიტომაა, რომ კორექტული კონსტიტუციური პროცედურა აუცილებელია. გულუბრყვილო უტოპიაა მოლოდინი, რომ ყველა მოქალაქე ილია ჭავჭავაძე გახდება. მაგრამ სრულებით აუცილებელია ელემენტარული კორექტული კანონმდებლობის ქონა (რაც ყველა კულტურულმა ერმა დიდი ხანია გააკეთა) და კანონის შესრულება მოქალაქეთა მიერ.

* * *

უზურპაციის ფენომენი ქართული პოლიტიკური ცნობიერების დღევანდელი არაადეკვატურობის მხოლოდ ერთერთი, თუმცა არსებითი გამოვლინებაა. არის აუარებელი სხვაც. პიროვნებას, რომელიც მოქალაქეა და, მით უმეტეს, პოლიტიკოსია, უნდა შეეძლოს მტრისა და მოყვარის გარჩევა – ვის ებრძვის და რას ებრძვის. ერის ისტორიაც და ინდივიდის ისტორიაც მისი ომების და, საერთოდ, ბრძოლების ისტორიაა. პიროვნებისა და ერის გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ამ ბრძოლის ერთერთი ველია. ამ განვითარების ერთერთი ელემენტია, უბრალოდ, ცოდნა იმისა, რა რას ნიშნავს და რას რა მოსდევს. მსოფლიოში ექვსი მილიარდი სულია და უმრავლესობამ იცის, რას ნიშნავს „დეპუტატი“, „პარლამენტი“, „პრეზიდენტი“, „კონსტიტუცია“ და ა.შ.. ქართული პოლიტიკა დღეს ერთადერთია მსოფლიოში, რომელმაც ამ სიტყვების მნიშვნელობა ვერ ისწავლა. ეს საგანგებოა. ამის მიზეზი ცნობილია (საუკუნოობით სახელმწიფოს არქონა და, აქედან გამომდინარე, პირველყოფილი ტომის დამახასიათებელი ინფანტილური უკრიტიკობა, „სხვის იმედზე“ ყოფნის ჩვევა). მაგრამ ამის ცოდნა საქმეს არ შველის. „კუდრაჭა სიცრუით“, რომლითაც დღეს პოლიტიკოსები პოლიტიკოსობენ, ქვეყანა ფონს ვერ გავა. მსოფლიო არენაზე, სადაც აბსოლუტურად კორექტული აზროვნების გარეშე არსებობა შეუძლებელია, ისიც შეუძლებელია, რომ ჩვენ სისუსტეთა ნაყოფი არ მოვიმკოთ: იქ უკვე ცნობილია, რომ საქართველოს, თუმცა ყველა შესაძლო რესურსი აქვს, ტვინის რესურსი აკლია. ეს ფაქტორი რომ არა, ქართული ეკონომიკის სტაგნირებისთვის დღეს სხვა მიზეზი არ არსებობს. დღევანდელი უკულტურო ცნობიერების პირობებში კეთილშობილური ფეოდალური ტრადიციაც (თავისი შემორჩენილი მენტალური ელემენტების სახით) მახინჯ, კარიკატურულ ფორმებს იღებს. იმაზე, რომ საჭიროა ამ ტრადიციის ტრანსფორმირება თანამედროვე სამეურნეო და პოლიტიკურ სისტემებად, (რაც წარმატებით გააკეთა იაპონიამ), არავინ (ვერავინ) ფიქრობს. მაგრამ ცხოვრება მკაცრია, იგი სისუსტეებს არ გვაპატიებს. რაც უფრო მასშტაბურია მასში პროცესები, მით უფრო დიდია განყენებული, „იდეალისტური“ კატეგორიებით საქმის მოაზრების უნარის საჭიროება მათი მართვისათვის, რადგან უნივერსუმის დონეზე მოაზრებადი (მეტ-ნაკლებად) ემთხვევა არსებულს. ცივილიზაციისთვის აუცილებელია (გარდუვალია) სიცრუით და ბოროტმოქმედებით გონდახშულის მოსპობა, კომუნისტი იქნება ეს თუ ფაშისტი. თუ ნომენკლატურულ საქართველოს შეატყვეს, რომ იგი ჰომო საპიენსის თვისებისა არაა, მსოფლიო ამა თუ იმ ფორმით იმოქმედებს მის დასაკლავად (მოღრუტუნე საზოგადოებას სხვა ბედი არ ელის), რისი ნიშნებიც უკვე არის – მოსახლეობისაგან საქართველოს დაცლის მცდელობა. ნებისმიერი ქვეყნისა და ერისთვის არაადეკვატური, ალოგიკური ქმედება თვითმკვლელობაა.

ჯუჯუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან: მკითხველს შევახსენებთ, რომ „გუშაგი“ არის ჩვენი გაზეთის რუბრიკა, რომელშიც განიხილება საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების წინააღმდეგ წარმოებული შემოტევების მიმართულება, არგუმენტები და მოსალოდნელი შემდგომი გეგმები. ივარაუდება, რომ პრესის და სხვა მასმედიის პუბლიკაციებში, რომლებიც ქართულ ენაზე და საქართველოში ხორციელდება, ამ შემოტევების რეალურ „არაქართველ“ სუბიექტთა ვინაობა და სტრატეგიული ჩანაფიქრი ჩანს. ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია ა.წ. 4 ივნისის 23 საათზე წარმოდგენილი გადაცემა „იმედის“ არხზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ე. ხოფერია (წამყვანი), მოსკოვში „სამხრეთ ოსეთის“ თვითმარქვია „რესპუბლიკის“ წარმომადგენელი მედოევი (პირდაპირი ჩართვით) და საქართველოს პარლამენტის წევრები დ. გამყრელიძე და დ. ბერძენიშვილი.

იმისთვის, რომ ამ გადაცემის აზრი, არგუმენტაციის მიმართულება და გამჭოლი მიზანსახვა გავიგოთ, ალბათ, საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ზოგადი კონტექსტი, ანუ ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის და ყოფილი საბჭოთა სივრცის მიმართ წარმოებული რუსული და დასავლური პოლიტიკის დღევანდელი დღე.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში (ყოველ შემთხვევაში, ოთხმოციანთა დასაწყისში მაინც) ცნობილი იყო გეოსტრატეგიული პროგნოზი, რომ თუ III მსოფლიო ომის დაიწყება, იგი დაიწყება ან ბალკანეთში, ან კავკასიაში. რატომ? იმიტომ, რომ დასავლეთის სტრტატეგიული ამოცანებია

— ევროპაში აგრესიული რუსეთის პოტენციური სტრატეგიული ბაზის მოშლა მაშინდელ იუგოსლავიაში მისი გავლენის გაუვნებლების გზით

— ცენტრალური აზიისკენ დასავლეთისთვის გზის გაკაფვა ჩინეთის მომავალი მრავალმხრივი (ზოგად-სტრატეგიული, დემოგრაფიული, მილიტარული) ექსპანსისაგან თავდაცვის ზღუდის აღმოსავლეთისაკენ (ცენტრალური აზიისა და ჩინეთის საზღვრისაკენ) გადატანის სახით.

სიტყვას „თუ“ ამ პროგნოზის ფორმულირებაში იმის გამოხატვა ეკისრა, რომ ომის დაწყების პირობად იგულისხმებოდა რუსეთის წინააღმდეგობა (შეიარაღებული სტრატეგიული წინააღმდეგობის ჩათვლით) ამ გეგმებისადმი. პროგნოზი მართლდება: იუგოსლავია დაშლილია, რუსეთმა ეს უბრძოლველად დაუშვა. უფრო მეტიც. იგი სულ ბოლო დრომდე მარტოოდენ მოჩვენებითი წინააღმდეგობით უშვებდა საკუთრივ სერბეთისაგან მისი ერთერთი პროვინციის — ამჟამად 90% ალბანელებით დასახლებული კოსოვოს — სეცესიას (გამოყოფას). ამ უკანასკნელი კონსტატაციისას ვემყარები მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალში — ბრიტანულ The Economist-ში გაკვრით მოხსენიებულ ფაქტს, რომ დიდი ძალების მოლაპარაკებაში კოსოვოს შესახებ, რომლებშიც ერთი მხარეა აშშ და ევროპელები, მეორე კი რუსეთი, ეს უკანასკნელი, გარეგნული წინააღმდეგობის მიუხედავად, რეალურად დათმობის პოზიციაზე დგას.

დღეს ვითარება შეცვლილია. ნავთობდოლარებითა და გაზდოლარებით წელმოდგმული რუსეთიი ისევ შეტევით კურსს ირჩევს (ან სიმულაციას ეწევა, რომ ირჩევს) და კოსოვოს თაობაზეც სერბების მხარეზე დგება. პირდაპირი ვეტოთი არ იმუქრება, მართალია, (თუმცა ხსენებული ჟურნალი აღნიშნავს, რომ იმ პირდაპირ მუქარამდე აღარაფერი აკლია), მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმგვარ პოლიტიკას ატარებს, რომ სერბებს მისი მყარი დახმარების იმედი აქვთ. იურიდიული ვითარება შემდეგია: არსებობს დებულება, რომ მილოშევიჩის ხელისუფლების დროს სერბებმა კოსოვოს ალბანურ მოსახლეობას სასიცოცხლო საფრთხე შეუქმნეს („გენოციდის“ ტიპისა) და რომ კოსოვოს, თავისი ალბანური უმრავლესობის სახით, სერბეთის სახელმწიფოსაგან (რომელშიც იგი აქამდე შედიოდა ავტონომიის სტატუსით) გამოყოფა ჰსურს. ამ ორი გარემოების საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ კოსოვოელი ალბანელების ეს სურვილი მართებულია (უფრო მეტიც — კითხვის ქვეშ დგება ისიც კი, რომ კოსოვოს ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც კომპაქტური სერბული მოსახლეობაა, არ შევიდეს იმ ტერიტორიაში, რომელიც სერბეთს ერთმევა) და იგეგმება გაეროს გადაწყვეტილება კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მიცემის შესახებ (სწორედ ეს გადაწყვეტილება გახლავთ ის, რის ვეტოირებასაც (ვეტოს დადებას) მოელიან რუსეთის მხრიდან).

პროგნოზია, რომ, თუ ეს მოხდა, მაშინ კოსოვოს წარმომადგენლობითი უმაღლესი ორგანო მაინც გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და აშშ, ხოლო მის შემდეგ — ევროპის სხვა ქვეყნებიც (რომელთაგან ზოგი იმთავითვე მომხრეა კოსოვოს სეცესიისა, ზოგი კი ამაზე „დაითანხმეს“ cajoled იხ. The Economist), ცნობენ ამ ახალ სახელმწიფოს. მაგრამ ამ პროგნოზს ის დაბრკოლება აქვს, რომ, თუ კოსოვოს სეცესია მოხდება გაეროს გადაწყვეტილების გარეშე, მაშინ გაეროს წამომადგენელი კოსოვოში (დღეს კოსოვო გაეროს იურისდიქციაშია) ვალდებული იქნება და, ამგვარად, იძულებულიც იქნება გააუქმოს ხსენებული სეცესიის აქტი, რის გამოც დასავლელთა მიერ კოსოვოს ცნობა გაძნელდება (იქნება tricky იხ. იგივე ჟურნალი). ეს ის იურიდიული სიძნელეებია, რომლებიც იხსენიება. მაგრამ არის ასეთებიც, რომლებიც არ იხსენიება. მაგალითად, რა არის იურიდიული საფუძველი იმისა, რომ გაეროს სერბეთის სახელმწიფოს დანაწევრების უფლება ჰქონდეს (მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ სერბეთმა ამას წინათ თავის კონსტიტუციაში დააფიქსირა, რომ კოსოვო მისი განუყოფელი ნაწილია)? ამ საფუძველს ის შეადგენს, რომ სერბეთმა თავის ალბანელ მოსახლეობას გენოციდი მოუხდინა, რის გამოც სეცესია აუცილებელი გახდა მისი სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის. მაგრამ თუ ასეა, მაშინ იბადება ერთი შეპასუხება (objection) და ერთი კითხვა. შეპასუხებაა: დღეს ალბანელები დაცულნი არიან გაეროს ეგიდით, ამგვარად, მათთვის უშუალო საფრთხე არ არსებობს და სიტუაცია დაუყოვნებლივ გადაწყვეტილებას არ მოითხოვს. კითხვაა: რომელმა სასამართლო პროცესმა დაადგინა ალბანელი მოსახლეობის გენოციდის ფაქტი? და რომელი კოდექსი განსაზღვრავს, რომ გენოციდის მცდელობა მოცემული სახელმწიფოს რაგინდარა კრიმინალური ხელისუფლების მხრიდან იწვევს სანქციას ამ სახელმწიფოსთვის ამა და ამ ტერიტორიის წართმევის სახით (და არა სხვა რამ სახით. ვთქვათ, რომაული ჯარის წესისამებრ მისი მამაკაცი მოსახლეობის დეციმაციის სახით?) აქ აღარას ვამბობთ უფრო ზოგად კითხვაზე: თუ ნორმად იქნა მიღებული, რომ რომელიმე ქვეყნის რომელსამე ტერიტორიაზე მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების დინამიკა (ვინ უმრავლესობა გახდა, ვინ უმცირესობა და ა.შ.) განსაზღვრავს ამ ტერიტორიის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს, მაშინ როგორ მოუაროს კაცობრიობამ იმ გარდუვალ შედეგს, რომ ყველა ეთნიკურ ჯგუფს ექნება ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის (გამრავლების) შიში, რაც გამოიწვევს პროფილაქტიკური ეთნიკური წმენდისა და მისი ყველაზე გავრცელებული იარაღის — გენოციდის ცდუნებას მთელ მსოფლიოში?

აი, ამ რთული პოლიტიკური და იურიდიული სიტუაციის ფონზე აგრესიული რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — რუსეთისა, რომელიც აფსუა („აფხაზი“) და ოსი სეპარატისტების (რეალურად კი — ირიდენტების) ხელით და საკუთარი შეიარაღებული („მემშვიდობე“ და სხვა) ძალების მონაწილეობით აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, მისი ტერიტორიების ოკუპაციის ჩათვლით — აკეთებს განცხადებას, რომლის თანახმადაც, თუ გაერო დასტურს მისცემს კოსოვოს სეცესიას სერბეთისაგან (რაც პრინციპულად განსხვავდება იუგოსლავიის შემადგენლობიდან მისი ყოფილი რესპუბლიკების სეცესიისგან იმიტომ, რომ ისინი ავტონომიური ერთეულები არ იყვნენ, არამედ უფრო მაღალ სტატუსს ფლობდნენ, რის გამოც კონსტიტუციური უფლება ჰქონდათ ერთიმეორისაგან გაყრისა, კოსოვო კი ავტონომიაა და ამგვარი უფლება არა აქვს), მაშინ რუსეთს ხელები გახსნილი ექნება, რათა დღესდღეობით მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — სეცესია ცნოს. ანუ: რუსეთი ინარჩუნებს იმის საშუალებას, რომ საქართველოს სეპარატისტული კრიმინალური რეჟიმები კოკოითისა და ბალაფშისა, მათი „სახელმწიფოებითურთ“, ცნოს იმის პასუხადაც, რომ გაერომ კოსოვოს გამოყოფა ცნო, და იმის პასუხადაც, რომ, მართალია, გაერომ არ ცნო, მაგრამ ამერიკელებმა და ევროპელებმა ცნეს. რუსეთის ეს უდავოდ გაძლიერებული აგრესიული პოზიცია საქართველოს რეალურ საფრთხეს უქმნის (რომელიც საქართველოს ჭკუამოკლე პოლიტიკურ ბიუროკრატიას გაცნობიერებული აქვს) იმ მხრივ, რომ იგი შესაძლებელს ხდის (თეორიულად მაინც) ამერიკელებისა და რუსების მორიგ გარიგებას იმ პირობებით, რომ რუსები დათმობენ ბალკანეთს მთლიანად (ანუ გადაუდგებიან თავის ერთადერთ შესაძლო მოკავშირეს სერბეთს და მის ტერიტორიულ ინტერესებს გაწირავენ) — ანუ ბალკანეთში მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყება, სამაგიეროდ, ამერიკელები დათმობენ და აღიარებენ რუსების რაღაცა პრიორიტეტულ უფლებებს საქართველოს ორ სეპარატისტულ ტერიტორიაზე (რისთვისაც, ალბათ, განზრახულია რუსეთის ფარულად მომსახურე სააკაშვილის დიალოგი პუტინთან რამდენიმე დღის შემდეგ), რის შედეგადაც III მსოფლიო ომი ამ ეტაპზე არც კავკასიაში დაიწყება, ანუ დასავლეთის გზა ცენტრალური აზიისაკენ ჩაკეტილი დარჩება და დასავლეთი (დროებით მაინც) — სტრატეგიულად წაგებული.

არის თუ არა ამერიკელების ეს დათმობა რუსეთისადმი რეალურად შესაძლებელი? უნდა ვივარაუდოთ, რომ არა, ვინაიდან დასავლეთის დაინტერესება შუა აზიისაკენ გამავალი გზით პირველხარისხოვანი გეოსტრატეგიული ინტერესია III მსოფლიო ომის კვირაძალში. მაგრამ ეს პერსპექტივა არარეალურია მხოლოდ პრინციპში, და არა კონკრეტულ დეტალებთან, ვთქვათ, ვადებთან მიმართებაში. სახელდობრ, არაა პრაქტიკულად გამორიცხული (სამწუხაროდ), რომ დასავლეთმა (აშშ-მა) რაღაცა დროით გადადონ შუა აზიაში დასავლური დემოკრატიის დამკვიდრების ამოცანა (ანუ შუა აზია ჩინეთ-რუსეთ-ისლამის ბლოკს დროებით დაუთმონ) იმ იმედით, რომ უახლოეს დროში, — მას შემდეგ, რაც ბალკანეთში საკმარისად გამაგრდებიან (ვთქვათ, კოსოვოს ახალშობილ „სახელმწიფოში“ და ალბანეთში მკვიდრ სტრატეგიულ ბაზას შეიქმნიან, ასევე — ნატოში გაწევრიანებულ ბულგარეთსა და რუმინეთში) — შუა აზიისკენ წინსვლას განაახლებენ. ასეთი დათმობა ბალკანეთის ფრონტზე ამერიკელებისათვის ზედმეტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კავკასიის ფრონტის დაცვას რუსეთის ექსპანსიისაგან (კერძოდ, აფზახეთისა და ცხინვალის რეგიონის დაცვას) ისინი შეძლებდნენ საქართველოსავე მყარი პოზიციის გამოყენების წყალობით, რაც ამ დაცვისათვის სავსებით საკმარისია. სახელდობრ, ამ დაცვისთვის საკმარისია საქართველოს ხმამაღლა გაცხადებული პოზიცია, რომ რუსეთმა ჩაატარა და ატარებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ ამ ტერიტორიებზე, საქართველოს სათანადო ოფიციალური მიმართვა გაეროსადმი და სასამართლოსადმი, საქართველოს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული და დოკუმენტირებული ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა მსოფლიოსთვის, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, თავისი ქართველი მოსახლეობითურთ, საქართველოს განუყოფელი ეთნიკური ტერიტორიაა ისტორიის ყველა ეტაპზე, რომ ქართველობა აქ ავტოხთონური მოსახლეობაა, რომ რუსეთის ეგიდით სეპარატისტთა მიერ ჩატარებულია ეთნიკური წმენდა და გენოციდი, რომ საერთაშორისოდ მიღებული არცერთი უფლებადაცვითი დოკუმენტი არ ითვალისწინებს ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის შექმნას უმცირესობისათვის (თუმცა ეს დაშვებულია), მით უმეტეს, არ ითვალისწინებს ასეთის შექმნას დიასპორისათვის (როგორიცაა ოსური მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში) და ა.შ. საქართველოს ტერიტორიის დაცვის ეს ღონისძიებები კიდევ უფრო ქმედითი იქნება, თუ მათ ახლავს საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული და, როგორც მორალური და პოლიტიკური, ისე ყველა სხვა თვალსაზრისით, როგორც იტყვიან, წყალგაუვალი ფორმულირება აფხაზეთის, როგორც მთელის, სტატუსისა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობების განსაზღვრისა აფხაზეთში, ოსების (ისევე, როგორც საქართველოში მოსახლე ყველა სხვა ეროვნული და ეთნიკური ჯგუფისა) ინტერესთა (მათ შორის — ეროვნულ ინტერესთა) დაცვის ფორმებისა საქართველოს სახელმწიფოში (ფუნქციური ავტონომიის პრინციპით) და, საერთოდ, საქართველოს არაქართველი მაცხოვრებლების უმტკივნეულო და სრული ინტეგრირებისა ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში ასიმილაციის გარეშე, და თუ ეს ფორმულირებები მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ, როგორც კონსტიტუციური ნორმა. მაგრამ პრობლემის არსი და უბედურება ის გახლავთ, რომ საქართველოს ფარულად პრორუსული (რუსეთის მიერ მართული) დღევანდელი ხელისუფლება არ არის ამ ნაბიჯთა გადამდგმელი, რომლებიც მშვიდობიანად მოკვეთს რუსეთის საცეცებს კავკასიონის გადმოღმა და საერთოდ საქართველოს საზღვრების შიგნით. ამიტომ — და მხოლოდ ამიტომ — არის რეალური იმის საშიშროება, რომ დასავლეთმა თავისთვის სასურველი დარეგულირება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეძებოს კავკასიაში თავისი ინტერესების დათმობის — თუნდ დროებითი დათმობის — გზით და საქართველოს ისტოიულმასშტაბიანი ინტერესების, როგორც ხურდა ფულის, გაწირვის ხარჯზე.

სამწუხაროდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დასავლეთის პოლიტიკა ამ მიმართულებით ძალიან შორსაა სიბრძნისაგან და, მით უმეტეს, სამართლიანობისაგან. სამართლიანობას ამ სიტყვის ყველაზე ფორმალიზებული, მეცნიერულად მკაცრი აზრით იგი დაშორებულია იმ მხრივ, რომ მცირე სახელმწიფოთა და ერთა ბედს იგი განსაზღვრავს (ცდილობს, რომ განსაზღვროს) მოცემული კონკრეტული მომენტისთვის (ad hoc) მოაზრებული ნორმებით, და არა წინასწარ, მეტ-ნაკლებად კანონური ფორმით შემუშავებული და ზოგადმნიშვნელადი (universally valid, allgemeingultig), ანუ ყველა შესაძლო გათვალიწინებადი შემთხვევისათვის მიყენებადი ნორმების მიხედვით. სიბრძნეს კი ეს პოლიტიკა იმით ჰღალატობს, რომ ვერ ითვალისწინებს თავის პოტენციურ მოკავშირეთა და ევენტუალურ ნეიტრალურად დამრჩენთა ადამიანური ბუნების ფაქტორს, პირველ ყოვლისა ქართველი ერისას, რომლისთვისაც თავისი უდავოდ კუთვნილი ეროვნული ტერიტორიის შენარჩუნება უმაღლესი ღირებულებაა მის თვალსაწიერში არსებულ და, საერთოდ, კაცობრიობის თვალსაწიერში არსებულ ღირებულებათა შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მტერი და მოყვარე ვერ მოისმენდა, მაგალითად, მათგან უკანონო გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებას. მოწონებას არ იმსახურებს რეალისტური სიბრძნის თვალსაზრისით (თუმცა ეს ჩვენი საქმე არ არის), კოსოვოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გეგმაც: საზოგადოებაში, რომლის მოსახლეობაშიც არ მოქმედებს არც პრინციპი „ყველანი ერთი და იმავე მტრის წინაალმდეგ და ამოცანათა ერთი და იმავე ჩამონათვალის სასარგებლოდ“, არც პრინციპი „ყველა ყველას წინაალმდეგ“, არამედ მოქმედებს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

პრინციპი „ერთი ჯგუფი ადამიანებისა მათი მეორე ჯგუფის წინააღმდეგ“, გამორიცხულია სამომავლოდ არა მხოლოდ ჰარმონია ან მშვიდობა, არამედ სოციალური, პოლიტიკური და, საერთოდ, შრომითი კრეატიულობის ყველა ნასახიც კი.

ასეთ ვითარებაში ქართულ-ოსური მიმდინარე კონფლიქტის თემაზე საუბრის მოწყობის ინიციატორს დიდი პროფესიული, პოლიტიკური და ზოგადმოქალაქეობრივი მოთხოვნები წაეყენება. სახელდობრ, თუ სალაპარაკოდ იწვევთ პოლიტიკოსს, მისთვის უნდა გაამზადოთ ისეთი კითხვები, რომელთა ღია პასუხისთვის იგი თვითონ განწყობილი არ არის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, მას ეს კითხვები უკვე პასუხგაცემული ექნება საკუთარ პრესკონფერენციებზე. წამყვანმა ეკა ხოფერიამ ეს მოთხოვნა ვერ დაიცვა. მან მოიწვია მედოვევი (თავისი იურიდიული როლით ამ წუთში — სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღით მებრძოლი ანუ კრიმინალი) და „კარდ ბლანშის“ მიმცემი კითხვით მას, უბრალოდ, პრესკონფერენციის თავისუფალი ასპარეზი გაუხსნა. მედოვევის „მონათხრობი“ იმაზე, ვინ გადაკეტა წყალსადენი, როგორ და რატომ, სხვა ვერა იქნება რა, თუ არ ერთმხრივი (და, მაშასადამე, ყალბი) ინფორმაცია ისეთი მაყურებლის თვალწინ, რომელსაც ფაქტებთან დამოუკიდებელი მისასვლელი არა აქვს (წამყვანს მისთვის იმის შეხსენებაც კი დაავიწყდა, რომ წყალი დაღმა დის და არა აღმა). წამყვანს აკლდა წამყვანისთვის ყოვლად სავალდებულო მახასიათებელიც, — ინფორმირებულობა განსახილველი თემის სფეროში. ამიტომ მან მდუმარედ შეიწყნარა („გადაყლაპა“) მედოვევის აშკარა სიცრუე და ცილისწამება, რომ 1992-93 წლებში „ცხინვალი ყველა იარაღიდან იბომბებოდა“, რაც ემთხვევა, სამწუხაროდ, საქართველოში ეუთოს მისიის მიერ შემუშავებულ ცილისმწამებლურ ანტიქართულ „რეკომენდაციებს“, მაგრამ არა ფაქტებს. იქ ნათქვამია, რომ ცხინვალს ქართველებმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს, თუმცა სინამდვილეში ცხინვალში საარტილერიო ჭურვით მიყენებული დაზიანება არავის უნახავს, ხოლო გასროლები („ბალვანკებით“ და არა ჭურვებით) ადვილად შეეძლოთ მოეხდინათ მოვლენათა სხვა მოქმედ პირებსაც — სახელდობრ, „ლამურად“ წოდებულ რუსულ ქვედანაყოფს, ლაგოდეხში დისლოცირებულს, რომლის მებრძოლებიც თავისი მძიმე ტექნიკით განუწყვეტლივ „კურსირებდნენ“ კონფლიქტის ზონაში და მხარეებს თავის „სამსახურს“ სთავაზობდნენ ვითომცდა გასამრჯელოს ეშხით, სინამდვილეში კი, ცხადია, თავისი სარდლობის ბრძანებით.

გადაცემის დანარჩენი ორი მონაწილე, დ. ბერძენიშვილი და დ,. გამყრელიძე — პარლამენტარები, მაშასადამე, თავისი დანიშნულებით დღეს პოლიტიკოსები არიან, მაგრამ მათში ვერც ერთი ვერ მიხვდა, რომ როცა მათ თვალწინ და მათი მონაწილეობით ყალბდება ისტორია და, მაშასადამე, რეგიონის პოლიტიკური სურათიც მათი ქვეყნის საზარალოდ, ისინი ვალდებულნი არიან, ეს გაყალბება აღკვეთონ არგუმენტის ძალით. მედოვევი ამბობდა (და რამდენჯერმე გაიმეორა): „ვინ გაყო ორი ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და სამხრეთ ოსეთი ერთი ქვეყანააო“. მაგრამ ვერც ერთმა ამ ორ „პოლიტიკოსთაგანმა“ ვერ მოიაზრა მისი აგრესიული სიყალბის გაბათილება მაყურებლის თვალში ორადორი შენიშვნით: პირველი: კითხვის დასმით, „თუ ცხინვალი ოსეთია, მაშინ მის რეგიონში ქართველი მოსახლეობა და ქართული ტოპონიმები საიდან გაჩნდა, ანუ ქართველები აქ როდის მოვიდნენ და თავისი ტოპონიმები როდის მოიტანესო“ (რაზედაც ოს სეპარატისტებს, ცხადია, არანაირი პასუხი არა აქვთ). მეორე: მათ უნდა ეთქვათ (თუკი თვითონ ამდენი იციან, რაშიც დარწმუნებული არა ვარ) შემდეგი: „როდისაა ოსი მოსახლეობის მასა შემოსული ცხინვალის რეგიონში, ცნობილია (ესაა XIX საუკუნის მეორე ნახევარი და საბჭოთა ხელისუფლების წლები) და ასევე ცნობილია, ვინ და როდის გამოიგონა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ (ეს რუსული ადმინისტრაციის შეთხზული და საბჭოთა რუსეთის მიერ ოფიციალურად შემოღებული ტერმინი გახლავთ).“ ასევე ვალდებულნი იყვნენ ისინი ეთქვათ, რომ ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის არსებობა არ არის აუცილებელი საქართველოს ოსური მოსახლეობის ყოველმხრივი (მათ შორის — ეროვნული) განვითარების და მისი ყველა (მათ შორის — ეროვნული) ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. აგრეთვე, ეთქვათ, რომ ეთნიკური ნიშნით პოლიტიკური ტერიტორიული ერთეულის შექმნა იმის გამო, რომ მოცემული ტერიტორიის დემოგრაფიული ევოლუცია ამ მოსახლეობის სასარგებლოდ წარიმართა, არის ნელი მოქმედების ბომბის ჩადება კაცობრიობის სხეულში, სახელდობრ, მომავალი ეთნიკური წმენდებისა და გენოციდების თესლის ჩაგდება მომავალ ისტორიაში (იხ. ზემოთ). ბერძენიშვილმა ამ დანაშაულებრივ დუმილს ერთი წინადადებაც დაუმატა, რომელიც ვითარებში ჩაუხედავთათვის უწყინარ დემაგოგიად ჟღერს, ჩახედულთათვის კი უფრო მძიმე დიაგნოზის საფუძველია. მან თქვა, ოსებისაგან განსხვავებით აფხაზებს საქართველოში სახელმწიფოებრიობა ეკუთვნითო. ამ ფრაზის საიდუმლო იმაში გახლ;ავთ, რომ ბერძენიშვილი, როგორც საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი, ერთი იმათგანია, ვინც თავის ქართულ გვარებს აჭირავებს (გვარებს და არა ინტელექტს, იმიტომ, რომ მათი ინტელექტი თავისი სიმწირის გამო პოლიტიკაში მუშტარს ვერ პოვებს) იმგვარი პოზიციების ხელმოსაწერად, რომლებიც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოა და, ამგვარად, თუ მათი რეალიზაციაა განსაზღვრული, „ზრდილობისათვის“ ქართველების თანხმობას მოითხოვს. ერთი ასეთი დოკუმენტთაგანია ე.წ. ბოდენის დოკუმენტი — ანტიქართული „გეგმა“ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისა, რომლის ძალითაც აფხაზეთი კი შედის საქართველოს შემადგენლობაში „კონსტიტუციური შეთანხმების“ შედეგად, მაგრამ მაშინვე გადის, როგორც კი ამის სურვილი გაუჩნდება. ბოდენის ამ „გეგმის“ გაშლას წარმოადგენს მარტოოდენ ქართული გვარებით ხელმოწერილი პროექტი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისა, რომელიც მატერიალურად გამოიკვება ლონდონში დაბინავებული სამმილიონ (რამდენადაც ვიცი) ფუნტიანი ფონდით „შერიგების რესურსი“, პოლიტიკურად კი დამყარებულია ან იმის შეკვეთაზე, ვინც დღეს საქართველოს ყველაზე აგრესიული მტერია (ეს, ალბათ, რუსეთია), ან [illegible] — ვისაც დღეს აფხაზეთის სიმფერეთა შეძენის ყველაზე დაუდგრომელი სურვილი ტანჯავს. ამ პროექტით (ზაქარეიშვილი, კუბლაშვილი, ბაქრაძე, ხაინდრავა) აფხაზეთი არის „სუვერენული (ანუ გარეთკენ დამოუკიდებელი და შიგნითკენ უზენაესი) სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში“, რომელსაც, როგორც ვიცით (იხ. პუბლიკაციები „24 საათში“ და სხვაგან), ნებისმიერ წუთს საქართველოსთან მაკავშირებელი „ხელშეკრულების“ დარღვევა შეუძლია, საქართველოში ყოფნის მანძილზე კი აქვს იმიგრაციის ერთპიროვნული რეგულირების უფლება (მაშასადამე, აფხაზეთში ქართველთა დასახლების არდაშვების და არაქართველთა შეუზღუდველი დასახლების უფლება), რასაც სხვა მრავალრიცხოვანი, პირწმინდად ფაშისტური და კომუნისტური ფსიქიკის მკაფიო ნიშნები ახლავს. საბედნიეროდ, ეს ავტორები და მათი ამფსონები — ანუ „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ შემადგენლობა, რომელიც დღეს საქართველოს წინააღმდეგ მომუშავე „გრანტიჭამია“ საზოგადოების ერთერთი მოწინავე რაზმია, — კამათის (პოლემიკის) უუნარონი არიან. ისინი, მაგალითად, ვერ პასუხობენ კრიტიკას ყველაზე გამანადგურებლის ჩათვლით, რომელიც მათ უბადრუკ „პროექტს“ მოხვდა პრესაში, მაგრამ მათი გრანტები ძალაშია, მათი „შერიგების ფონდი“ ძალაშია და ამიტომ მათგან კიდევ ბევრი სიგლახეა მოსალოდნელი მომავალში.

ნ. ნათაძე

აღმოსავლური ხაფანგი

დღეისთვის საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება ერაყის სამხედრო კამპანიაში, რაც იქ მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის ზრდის. ამიტომ ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და მათი პერსპექტივების ანალიზი საქართველოსათვის განსაკუთრებით საჭიროა.

დავიწყოთ იმით, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ყველა მისი ბოროტმოქმედების მიუხედავად, საერო და სეკულარული რეჟიმი იყო. იგი არა მარტო თავად არ ყოფილა ფუნდამენტალისტური, არამედ სასტიკად ებრძოდა ისლამურ ფუნდამენტალიზმს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონში (გავიხსენოთ მისი დაპირისპირება ირანთან). იგი ახშობდა შიიტების, ქურთებისა და კომუნისტების წინააღმდეგობას, რითაც ობიექტურად დასავლეთის ინტერესებს ახორციელებდა. მართალია, ამერიკელებს მისი დამხობა არ გასჭირვებიათ (რადგანაც საგარეო საფრთხის წინაშე ჰუსეინმა მოსახლეობის კონსოლიდაცია ვერ შეძლო), მაგრამ ყველა ის ძალა, რომელსაც მანამდე ჰუსეინის რეჟიმი თრგუნავდა ერაყში, დაბრუნდა და თვითდამკვიდრებისათვის დაიწყო ბრძოლა. მართალია, მათთვის საძულველი რეჟიმის დამხობა მისწრება იყო, მაგრამ ამის გამო ისინი ამერიკისადმი ლოიალურები არ გახდნენ და იარაღი მის წინააღმდეგ მიმართეს. თავად ამერიკამ ვერც მასობრივი განადგურების იარაღი იპოვა ერაყში, ვერც ტერორისტებთან ჰუსეინის კავშირი დაამტკიცა და ტერორიზმიც ამ ქვეყანაში სწორედ ამერიკელების შეჭრის შემდეგ გაძლიერდა (რადგანაც მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფორმა მიიღო). დემოკრატიის ნაცვლად ქვეყანაში დამყარდა ქაოსი, ხოლო შეერთებული შტატები პარტიზანული ომის ჭაობში აღმოჩნდა ჩაფლული.

რას ნიშნავს ამერიკისთვის პარტიზანული ომი? ფაქტია, რომ ვერც ერთი განვითარებადი ქვეყანა ფრონტულ ომში მას სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი რეალური გზა ქალაქების დათმობა, ძალების გადარჩენა და პარტიზანული ომის გაჩაღებაა. ეს ამერიკულ არმიას მნიშვნელოვან დანაკარგებს აყენებს და მის დემორალიზაციას ახდენს. ართულებს შეერთებული შტატების როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ ვითარებას და მის ეკონომიკას ასუსტებს (განსაკუთრებით მაშინ, როცა კონფლიქტი ნავთობით მდიდარ რეგიონებში ჩაღდება, რაც ნავთობის ფასს ზრდის. ეს კი ამერიკის, როგორც მთავარი ნავთობმომხმარებლის ეკონომიკაზე მძიმედ მოქმედებს).

სადღეისოდ, თავად ამერიკელი სამხედრო ექსპერტები აღიარებენ, რომ ძალისმიერი მეთოდებით ერაყის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, ანუ პარტიზანულ ომში ყველაზე ძლიერმა ზესახელმწიფომ მარცხი განიცადა. იგი ვერ ახერხებს ერაყის ტერიტორიის კონტროლს, ხოლო ჩრდილოამერიკული რეჟიმი ბაღდადში მხოლოდ ამერიკულ ხიშტებზეა დამყარებული. ქაოსთან ერთად ამ ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება ისლამური ფუნდამენტალიზმი, ხოლო შეერთებული შტატების მოსახლეობის უმრავლესობა ამ ომის წინააღმდეგია, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ მსოფლიოზე. თავად ბუშის ადმინისტრაცია, ვისთვისაც ამ ომში წარმატება პრესტიჟის საქმეა, უკანასკნელი ძალებით იცავს ამერიკელი სამხედროების ერაყში ყოფნას. თუმცა ამ წარუმატებელმა ომმა მისი რეიტინგი ქვეყნის შიგნით საკმაოდ დასცა და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა მარცხი თითქმის გარდუვალია. ამასთან, ერაყში ამერიკას თითქმის ყველა მოკავშირე, მათ შორის ინგლისი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიისპირეთი და უკრაინა ტოვებს.

თითქმის ანალოგიური სიტუაციაა ავღანეთში. მართალია, იქაც მმართველი რეჟიმის შეცვლა ამერიკელებმა სწრაფად და წარმატებით განახორციელეს, მაგრამ თალიბებმა მოახერხეს ძირითადი ძალები გადაერჩინათ და პარტიზანული ომი გააჩაღეს. ხოლო ის, თუ პარტიზანული ომი ავღანეთში რას ნიშნავს, რუსებს და ინგლისელებს უკეთ მოეხსენებათ.

ამდენად, თუ სიტუაციას ობიექტურად შევაფასებთ, დღეს აღმოსავლეთში შეერეთებული შტატები ერთდროულად ორ ქვეყანაში — ერაყსა და ავღანეთში წარუმატებლობისათვის განწირული პარტიზანული ომის ჭაობშია ჩაფლული, სადაც ნელ-ნელა მარტო რჩება. ხოლო თუ ამას ირანთან ომი დაემატა, მისი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდება.

ვის აძლევს ხელს ამერიკასა და მუსულმანურ ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირება? უპირველეს ყოვლისა — რუსეთს. რაც უფრო ღრმად ჩაეფლობა შეერთებული შტატები აღმოსავლურ ჭაობში, მით უფრო მეტი გასაქანი ექნება რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში. რაც უფრო დაიძაბება ამერიკის ურთიერთობა დანარჩენ მსოფლიოსთან, მით უფრო გაიზრდება რუსეთის ევრაზიული ამბიციები; რაც უფრო გაიზრდება ნავთობზე ფასი, მით უფრო განმტკიცდება რუსეთის, როგორც ნავთობექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკა. ამიტომ დღეს სწორედ რუსეთი ციური მანანასავით ელოდება ამერიკა-ირანის ომს. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მსოფლიოში ნავთობზე ფასს, რის პირობებშიც დავოსის ეკონომიკური ფორუმის ექსპერტები საბჭოთა კავშირის აღდგენასაც კი ვარაუდობენ. ხოლო ამერიკას ეს მოუტანს ეკონომიკურ კრიზისსა და მისივე მოკავშირეებთან დაპირისპირებას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ერთი შეკითხვა არ დაისვას: ნუთუ თავად შეერთებული შტატების ხელისუფლებაში ვერ ხვდებიან ამას? შეუძლებელია ესოდენ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც უამრავი ექსპერტი და კვლევითი ცენტრია, ამას ვერ ხვდებოდნენ. მაგრამ ის ხალხი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, სულ სხვა მოტივაციით ხელმძღვანელობს. ლაპარაკია სიონისტური ლობის გავლენაზე, რომელიც შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით ძლიერია და რომლის ინტერესებშიც ე.წ. „ანტიტერორისტული ომის“ საბაბით დასავლეთის ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირება შედის. ამით იგი ცდილობს არაბული და სხვა მუსულმანური ქვეყნების შებოჭვას და ახლო აღმოსავლეთში ისრაელის პოზიციების განმტკიცებას. გარდა ამისა, არაერთ ტრანსნაციონალურ კომპანიას სურვილი აქვს კონტროლი დაამყაროს რაც შეიძლება მეტ ნავთობის საბადოზე. ამდენად, საერთაშორისო სიონიზმისა და რუსული იმპერიალიზმის ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვევა.

რა პერსპექტივები აქვს აღნიშნულ კონფლიქტში მონაწილეობით საქართველოს? იგი ერთვება ომში, სადაც მასზე გაცილებით ძლიერი ქვეყანა წარუმატებლობისთვისაა განწირული. ამით მუსულმანურ ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, ისლამურ ტერორიზმს იპირისპირებს, რითაც საფრთხეს უქმნის არა მარტო კონფლიქტის ზონაში გაგზავნილ სამხედროებს, არამედ საკუთრივ საქართველოს მოსახლეობას. ირანთან ომისა და იქ ამერიკის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, საეჭვოა მან საქართველოს დასაცავად მოიცალოს. მისგან მიტოვებულ ქვეყანაზე კი ჯერ მუსულმანები იძიებენ შურს, ხოლო შემდეგ რუსეთი. ანუ მცირედი ცვლილებით განმეორდება ის, რაც XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოს ისტორიაში მოხდა: რეგიონში რუსეთის შემოყვანისა და მხარდაჭერისათვის მას მთელი ისლამური სამყარო დაუპირისპირდა, ხოლო მისმა „მთავარმა მოკავშირემ“ კრიტიკულ მომენტში იგი მიატოვა, რათა მაჰმადიანების მიერ დანგრეული ქვეყანა თავად იოლად გადაეყლაპა. მამლუქობასა და დონკიხოტობას იქნებ ასეთ უპერსპექტივო ომებში ჩაურევლობა და საკუთარ მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარება სჯობია?

ალექსანდრე კაკულია
09.06.2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ბარონი. სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა



დასავლეთში ჩამოყალიბდა სტერეოტიპული წარმოდგენა КГБ-ზე როგორც მსოფლიოში ყველაზე ავბედით საიდუმლო პოლიციაზე. გენერალ მაიორი ოლეგ კალუგინი — წარსულში აშშ-ში საბჭოთა დაზვერვის ერთერთი ხელმძღვანელი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის უფროსი — 1990 წელს წერდა: „... არ არსებობს ცხოვრების არცერთი სფერო, რომელშიც სუკ-ის ხელი არ ურევია... ყველაფერი, რასაც ახლა სუკ-ის ფერიცვალებაზე ლაპარაკობენ, ჩემი აზრით, წმინდა წყლის კამუფლაჟია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სუკ-ის საქმიანობას საფუძვლად კვლავ სტალინური მეთოდი უდევს...“

სუკ-ის, ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სტრუქტურა და კონკრეტული საქმიანობა ცხრაკლიტულში მოქცეული საიდუმლო იყო სსრკ-ს მოქალაქეთათვის. დღესაც ბევრმა ყოფილმა საბჭოელმა არ იცის მათ შესახებ. დასავლეთის ქვეყნების მკითხველები კი არ იყვნენ მოკლებული ასეთ ინფორმაციებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წვრილმანებიც კი გაეგოთ საბჭოთა საიდუმლო სამსახურის მოღვაწეობის შესახებ, გასცნობოდნენ სკანდალურ ისტორიებს.

დასავლეთის ქვეყნებში არაერთი პუბლიკაცია და წიგნი დაიბეჭდა როგორც უცხოელი ავტორების, ასევე ყოფილი საბჭოთა მზვერავების ავტორობით. სპეციალისტების აზრით, ჯ. ბარონის წიგნი „КГБ“ ყველაზე უფრო სერიოზული და მართალი ნაშრომია ამ თემაზე შექმნილთა შორის. ვიწყებთ ამ წიგნიდან ზოგიერთი თავის პუბლიკაციას.

ჩვენი წყაროა ლიტვაში გამომავალი გაზეთი „Согласие“, №10–17, 1990.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერი

სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველო (უნომრო)

სასაზღვრო ჯარების სამმართველოში შედის არმიისა და ფლოტის რჩეული ნაწილი — სუკ-ის დაახლოებით 300000 თანამშრომელი. ეს ჯარები შეიარაღებულია ყველაზე თანამედროვე იარაღით, არტილერიისა და ჯავშანსატანკო ძალების ჩათვლით; მათი ხომალდები ხშირად საბჭოთა ტერიტორიული წყლების საზღვრებიდან შორს იმყოფება. ლენინის მიერ 1918 წელს შექმნილი სამმართველო ყოველთვის ცდილობდა ჩაემწყვდია საბჭოთა მოსახლეობა სსრკ-ს საზღვრებში. იგი იცავს და ბადრაგობს სასაზღვრო ძაღლების, სათვალთვალო კოშკების, ელექტრონული სენსორების და დაუსახლებელი სასაზღვრო მიწების გამოყენებით. 1972 წელს საბჭოთა ახალგაზრდული ჟურნალის „იუნოსტ“-ის კორესპონდენტმა აღწერა, როგორ ასწავლიან მესაზღვრეებს საზღვრის გადაკვეთის მსურველთა დაჭერას. „სტადიონზე — წერდა იგი, — აღნიშნული იყო „საზღვარი“. სპეციალურ ბამბის კოსტუმში გამოწყობილი „ბოროტმოქმედი“ გაემართა მისკენ. მოშორებით გამოყოფილ ადგილზე მყოფ მაყურებლებს სუნთქვა შეეკრათ. გაისმა მოკლე ბრძანება და ძაღლები ეცნენ „მტერს“. იგი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ ძაღლებმა წააქციეს. საერთო აპლოდისმენტები“.

სასაზღვრო ჯარების სამმართველოს თანამშრომლები მსახურობდნენ მრჩევლებად ჰანოიში ვიეტნამის ომის დროს. მისმა რაზმებმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ მწვანე არშიით სამხედრო ფორმაზე, მოიგერიეს ჩინელების დარტყმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

შეიარაღებული ძალების სამმართველო (მესამე სამმართველო)

ამ მნიშვნელოვანი სამმართველოს ორგანიზაცია და ფუნქციები აღწერილი იყო პირველ თავში.

ტექნიკური ოპერაციების სამმართველო (უნომრო)

ეს სამმართველო შეიმუშავებს და აწარმოებს სუკ-ის ოპერაციებში გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების დიდ ნაწილს, გარდა კავშირგაბმულობის დანადგარებისა. მისი მეცნიერები და ლაბორატორიები, უდავოდ, პირველ ადგილზე არიან მსოფლიოში ადამიანის მწყობრიდან გამომყვანი ქიმიური პრეპარატების აღმოჩენით: შხამებით, რომელთაც არა აქვთ შხამსაწინააღმდეგო საშუალებები; ყოველგვარი ინსტრუმენტებით, რომელთა გამოყენებით მკვლელობისას სიკვდილის მიზეზი ბუნებრივი ჩანს. ტექნიკური ოპერაციების სამმართველოს ლაბორატორიაში იქნა დამზადებული იპრიტის ეგზოტიკური სინჯი, რომლისგანაც ასეთი ტანჯვა განიცადა გერმანელმა ტექნიკოსმა ჰორსტ შვირკმანმა.

სამმართველოს თანამშრომლებს დროდადრო გზავნიან საზღვარგარეთ, რომ ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ რეზიდენტებს. იგივე თანამშრომლები სინჯავენ საბჭოთა ფოსტას და ამზადებენ ყალბ დოკუმენტებს საიდუმლო ოპერაციებისათვის თვით საბჭოთა კავშირში.

ადმინისტრაციული სამმართველო (უნომრო)

ამ სამმართველოს მოვალეობაში შედის სუკ-ის მეურნეობისადმი თვალყურის დევნება. მისი ფუნქციები ძალიან ფართოა: კაბინეტების მოწყობიდან დაწყებული ქვეყნის შიგნით შესასრულებელი ოპერაციების აღჭურვით დამთავრებული. იგი უკეთებს ორგანიზებას სუკ-ის თანამშრომელთა მივლინებებს, განაგებს მაღაზიებს, კურორტებს და ბინების კომპლექსებს. მას არავითარი გავლენა არა აქვს ოპერაციების ფინანსირებაზე.

კადრების სამმართველო (უნომრო)

კადრების სამმართველო წარმოადგენს სუკ-ის ცენტრალურ ნერვულ კვანძს, რის გამოც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ახალი თანამშრომლების გადაბირებით და გადაყვანით განყოფილებიდან განყოფილებაში სამმართველო ცდილობს დააკმაყოფილოს სუკ-ის ყველა მოთხოვნა ადამიანურ რესურსებზე. სამმართველოს მოწონების გარეშე შეუძლებელია სამუშაოდ მიღებულ იქნას ერთი კაციც კი; გადაწყდეს, თანამშრომლებიდან ვინ წავიდეს საზღვარგარეთ, ვინ დააწინაურონ. იგი განაგებს ასევე სუკ-ის სკოლების სასწავლო გეგმების შედგენას ინდივიდუალური სპეციალიზირებული კურსების გამოკლებით, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს არალეგალური აგენტების სამმართველო და ოპერატიული განყოფილება.

სუკ-ის ჩინოვნიკის სამუშაო მაგიდა

ახალგაზრდების გადაბირებისას მომავალ თანამშრომლებად სამმართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ რეკომენდაციებს და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, წარმოშობასაც. ხშირ შემთხვევაში სუკ-ი გადაბირებს ბავშვებს ახალი სოციალური კლასიდან და არა მუშათა ან კოლმეურნეთა ოჯახებიდან. გადაბირებულების დიდი ნაწილი სუკ-ის თანამშრომელთა მეგობრების შვილები არიან. სუკ-ის თანამშრომლის ნათესავს ყოველთვის უზრუნველყოფილი აქვს მიღება სუკ-ში სამუშაოდ, თუ მას რაიმე აშკარად გამოხატული ნაკლი არა აქვს. სამუშაოდ იშვიათად იღებენ შუამდგომლობის გარეშე: ზოგჯერ შემტყობინებლებს დაბალი კლასებიდანაც ეძლევათ უფლება გახდნენ სუკ-ის ოფიცრები.

ოპერატიული სამმართველო (მეშვიდე სამმართველო)

სუკ-ის ყველა თანამშრომელსა და აგენტს ასწავლიან თვალთვალის თეორიას: როგორ ხდება ეს, როგორ უნდა ამოიცნონ იგი და როგორ აიცილონ თავიდან — ეს არის მათი ძირითადი სწავლების ნაწილი. გარდა ინსტრუქტორებისა, გამომძიებლებისა, ექსპერტებისა და ტექნიკოსებისა, სამმართველოში მუშაობს დაახლოებით 3500 კაცი და ქალი, რომელთა სამუდამო პროფესია ადამიანების თვალთვალია.

სამმართველო სრულიად ლოგიკურად გაყოფილია 12 განყოფილებად. 1 განყოფილება უთვალთვალებს შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის მოქალაქეებს. მე-2 განყოფილება ადრე უთვალთვალებდა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებს, ახლა კი — რჩეულ უცხოელ ჟურნალისტებს, სტუდენტებს და კომერსანტებს. მე-3 და მე-4 განყოფილებები ინაწილებენ თვალყურის დევნებას არაამერიკელებზე. მე-5 განყოფილებას ექვემდებარებიან ყარაულ-მილიციონერები, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ადგილი ყველა უცხოეთის ქვეყნის საელჩოსთან, რათა აღკვეთონ მონახულებები საბჭოთა მოქალაქეთა მხრიდან. მე-6 განყოფილების მოვალეობაა დაჰკითხოს ის საბჭოთა მოქალაქეები, რომელთა მიღებას სამუშაოზე სუკ-ი აპირებს. ეს განყოფილება შეიმუშავებს სათვალთვალო ხელსაწყოებს და თვალყურს ადევნებს მათ გამართულობას, დაწყებული ინფრაწითელი ფოტოაპარატიანი მანქანებით და დამთავრებული სატელევიზიო კინოკამერებით და ორმაგი სარკეებით. მე-9 განყოფილების თანამშრომლები პატრულირებენ იმ ქუჩებზე, რომლითაც პარტიისა და მთავრობის წევრები დადიან სამსახურში და ბრუნდებიან უკან.

ყველაზე დიდია მე-10 განყოფილება. იგი თვალყურს ადევნებს იმ ობიექტებს მოსკოვში, რომელთაც ათვალიერებენ როგორც უცხოელები, ისე გამოჩენილი საბჭოთა მოქალაქეები. განყოფილებაში მსახურობს 400-მდე შტატიანი თანამშრომელი და ჯაშუშების დიდი გუნდი, რომლებიც მუშაობენ არასრული სამუშაო დღე და უმეტესად არიან სუკ-ის პენსიაზე წასული თანამშრომლები. მათ მოვალეობას შეადგენს პარკების, მუზეუმების, თეატრების, მაღაზიების, საპარიკმახეროების, სტადიონების, აეროპორტების და სარკინიგზო სადგურების თვალთვალი. მე-10 განყოფილებას აქვს განსაკუთრებული ტაქსოპარკი და ინტურისტის ფარეხი, რაც საშუალებას აძლევს სუკ-ს თვალყური ადევნოს ნებისმიერ ადამიანს, რომელმაც გამოიძახა ტაქსი ან დაიქირავა მანქანა. განყოფილების მოვალეობაში შედის, აგრეთვე, შანტაჟისათვის გამოსადეგი ცნობების შეგროვება, რომლებსაც სასტუმროებში განთავსებული თანამშრომლები მოიპოვებენ. სუკ-ის თანამშრომლები ამისათვის იყენებენ ფოტოგრაფიულ და ელექტრონულ მოწობილობებს.

მე-11 განყოფილება შეიმუშავებს და მოიპოვებს სანიღბავ კოსტუმებს, პარიკებს, ულვაშებს, ტანსაცმელს და თვალთვალის დროს გამოსაყენებელ სხვა ნივთებს.

მე-12 განყოფილების სამსახურში იმყოფება 12 ექსპერტი, სათვალთვალოდ შექმნილი რამდენიმე მობილური ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ განსაკუთრებით ფაქიზ ოპერაციებში, როგორიცაა, მაგალითად, უცხოელი მაღალი რანგის ჩინოსანის გაბმა მახეში ან ოლიგარქიის მაღალი რანგის წევრის თვალთვალი.

კავშირგაბმულობის სამმართველო (მერვე სამმართველო)

ეს სამმართველო ცდილობს ფარულად მოისმინოს და გაშიფროს საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობები. ამისათვის იგი იყენებს კოსმოსურ თანამგზავრებს, ელექტრონული დანადგარით „ტრაულერებს“ ან ანტენის ხარაჩოებს, რომლებიც დამონტაჟებულია საბჭოთა საელჩოების სახურავებზე მთელს მსოფლიოში. ამ სამმართველოს სპეციალისტებმა გამოიყენეს დანადგარები და დოკუმენტები, რომლებიც 1968 წელს ჩრდილოეთ კორეელებმა მიიტაცეს ხომალდიდან „პუებლო“. უცხოეთის ქვეყნების შეტყობინებების ხელში ჩაგდების გარდა, სამმართველო ამზადებს შიფრებს, რომლები-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

თაც სარგებლობს სუკ-ის ყველა განყოფილება; უგზავნის ცნობებს ეთერის საშუალებით საზღვარგარეთ მყოფ სუკ-ის თანამშრომლებს და მუშაობს საბჭოთა კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარებაზე.

დაცვის სამმართველო (მეცხრე სამმართველო)

ყველაზე მკაცრად და გულდასმით მოწმდებიან ამ სამმართველოს თანამშრომლები. ისინი ერთადერთი ადამიანები არიან საბჭოთა კავშირში, რომელთაც უფლება აქვთ თან იქონიონ იარაღი პარტიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ყოფნისას და რომელთაც ეს უკანასკნელნი თავის სიცოცხლეს ანდობენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ სამმართველოს თანამშრომლებს იყენებენ პარტიის ხელმძღვანელი პირებისა და მათი ოჯახების მცველებად როგორც მოსკოვში, ისე პერიფერიაში; ისინი იცავენ აგრეთვე კრემლს და ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო დაწესებულებას მთელს ქვეყანაში.

სამმართველოს მუშაობის ეფექტურობის დასამტკიცებლად ის ფაქტი გამოდგება, რომ, დაწყებული 1918 წლიდან, როცა მოხდა თავდასხმა ლენინზე, არ ყოფილა თავდასხმის არც ერთი შემთხვევა და არ დაუჭრიათ პარტიის არც ერთი ხელმძღვანელი პირი სერგეი კიროვის მკვლელობის გამოკლებით, რომელიც განხორციელდა 1934 წელს თვითმმართველი ოლიგარქიის ბრძანებით. 1969 წლის 22 იანვარს იყო მცდელობა ესროლათ ბრეჟნევისათვის. თავდამსხმელმა სხვა ადამიანს ესროლა, ბრეჟნევი კი უვნებელი გადარჩა.

გარდა მთავარი სამმართველოებისა და უბრალოდ სამმართველოებისა, სუკ-ს კიდევ 6 დამოუკიდებელი განყოფილება აქვს.

განსაკუთრებული გამოძიების განყოფილება

ამ განყოფილების ექსპერტები სწავლობენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების ოპერაციებს, რომ მიიღონ თავისთვის სასარგებლო გაკვეთილები. დასკვნები იბეჭდება ზესაიდუმლო ჟურნალში, რომელიც განსაკუთრებული შეზღუდული ტირაჟით იბეჭდება.

სამთავრობო კავშირის განყოფილება

ამ განყოფილების კავშირგაბმულობის სამსახურის თანამშრომლები ემსახურებიან სატელეფონო და რადიოსისტემებს, რომლებითაც სარგებლობენ ყველა საბჭოთა სამთავრობო დაწესებულებაში.

ფიზიკური უსაფრთხოების განყოფილება

ამ განყოფილებას ეკუთვნიან გუშაგები, დღედაღამ რომ პატრულირებენ სუკ-ის დაწესებულებებს. ისინი უწყობენ დაკითხვას და სთხოვენ თითოეულ თანამშრომელს მისი რანგის მიუხედავად წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი ყოველთვის, როცა იგი შედის ან გამოდის შენობიდან, მაშინაც კი, თუ მათ კარგად იცნობს გუშაგი. სამუშაო დღის ბოლოს ისინი ჩამოივლიან თითოეულ დაწესებულებას, რომ შეამოწმონ, კარგადაა თუ არა ყველა ფანჯარა დაკეტილი, შენახულია თუ არა ყველა ქაღალდი, დალუქულია თუ არა ყველა სეიფი. სუკ-ში განასხვავებენ უსაფრთხოების ორ სახეს: საიდუმლო და ზესაიდუმლო უსაფრთხოებას. პრაქტიკულად ყველა ქაღალდი და დოკუმენტი საიდუმლოდ ითვლება, მიუხედავად იმისა, არის მათზე ასეთი გრიფი თუ არა.

ფინანსური განყოფილება

ფინანსური განყოფილება

II მთავარი სამმართველო

განყოფილებები (სულ 12)

პოლიტიკური უშიშროების სამსახური

სამრეწველო უშიშროების სამმართველო

ტექნიკური დახმარების ჯგუფი

დასაქმებულია საგადასახადო უწყისებით, საოპერაციო ფონდების ანაზღაურებით და დაანგარიშებით და ფულის გადაყვანით უცხოურ ვალუტაში. სუკ-ი, თუმცა კი დიდ ხარჯებს სწევს გარეგნულად პროდუქტიულ ოპერაციებზე, მაგრამ ფულს არ ანიავებს. ხშირად, როცა ცდილობს აცდუნოს ახალწვეული, სუკ-ი მას უხდის გაცილებით მეტს, ვიდრე ღირს მის მიერ გაწეული სამსახური. მაგრამ როგორც კი დამთავრდება გადაბირების პროცესი, აგენტს ნაწილ-ნაწილ უხდიან გასამრჯელოს, რომლის სიდიდე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზეა დამოკიდებული. სუკ-ის აგენტებიდან ცოტა ვინმე თუ გამდიდრებულა ამ ფულებით. გამომძიებლებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ მოკლე და ზუსტი ანგარიში მათი ხარჯების შესახებ, თუმცა ხელმოწერებს აგენტებისგან უკვე დიდი ხანია არ ითხოვენ. სუკ-ი ამჯობინებს ოპერაციები აწარმოოს ამერიკული დოლარებით, და თანამშრომლებს უხსნიან, რამდენად მოხერხებულია „AMERICAN EXPRESS BANK“-ის ჩეკის წიგნაკებით სარგებლობა.

სრულიად უცნობია სუკ-ის ბიუჯეტის მოცულობები. სუკ-ის ათასობით თანამშრომელი ხელფასს იღებს იმ ქარხნებიდან, საწარმოებიდან და სამთავრობო დაწესებულებებიდან, სადაც მათ გზავნიან. სუკ-ი სარგებლობს თავისუფალი გადაზიდვებით, ტრანსპორტირებით და სხვა მრავალრიცხოვანი მომსახურებით, რომელთაც მათ საბჭოთა არმია და სხვა სამთავრობო დარგები უწევენ. ნამდვილად შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირში არავინ იცის, რა უჯდება სუკ-ი ხალხს.

საარქივო და სარეგისტრაციო განყოფილება

სუკ-ის ყველა საქაღალდე და ანგარიში, რომლებიც მიმდინარე ოპერაციებთანაა დაკავშირებული, იმყოფება იმ განყოფილებებში, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი მათ შესრულებაზე. განყოფილების განკარგულებაშია საერთო ინდექსი, რომელშიც აღწერილია თითოეული საქაღალდის შინაარსი მოკლედ და მისი ადგილმდებარეობა. არქივებში არის გამოძიებებისა და ოპერაციების ანგარიშები, საგანგებო კომიტეტის დროიდან მოყოლებული.

სუკ-ის კარტოთეკებში არის დოსიეები ყველა აგენტსა და შემტყობინებელზე, ცნობილ დეზერტირებსა და ეჭვმიტანილებზე, ყოფილ პატიმრებზე, საბჭოთა მოქალაქეებზე, რომელთაც საზღვარგარეთ უმოგზაურია ან იქ ჰყავს ნათესავი, უცხოელებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან და აგრეთვე საპატიმროსა და სასამართლოს რეგისტრაცია. კარტოთეკაში არის წვრილმანი დამნაშავეების სია, რომელთა შესახებ სუკ-მა გადაწყვიტა, არ გამოეძიოს დანაშაულზე. იმედოვნებს, რაიმე დროს მათ შანტაჟირებით გამოიყენებს შემტყობინებლებად. 1954 წლის რეორგანიზაციის დროიდან დაწყებული, მილიცია აწარმოებს ბიოგრაფიულ რეესტრს, რომელშიც მითითებულია საცხოვრებელი ადგილი, შრომითი ბიოგრაფია და სხვა მონაცემები თითოეული საბჭოთა მოქალაქის შესახებ. ბუნებრივია, რომ ეს მონაცემები იმყოფება სუკ-ის მუდმივ განკარგულებაში. როგორც სუკ-ი, ისე მილიცია მუდმივად ცდილობენ თავისი კარტოთეკების მოდერნიზებას და დოსიეების წარმოებისთვის იყენებენ საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს.

თავისი ჩამოყალიბების დასაწყისიდან 1954 წელს სუკ-მა განიცადა ბევრი ორიგანიზაციული ცვლილება. მოსალოდნელია კიდევ მეტი. თუმცა სუკ-ის ამოცანა და თანამედროვე ორგანიზების მეთოდები შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა კავშირი გარდაიქმნება ნამდვილად რადიკალურად.

თავი VIII

დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხერხი

მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი ე.წ. დეზინფორმაციის გამოყენებით ავრცელებდა ხმებს გრანდიოზული მასშტაბებით, რაც გათვლილი იყო იმაზე, რომ შეცდომაში შეეყვანა, შეეშფოთებინა და მოეტყუებინა საზოგადოებრივი აზრი საზღვარგარეთ.

რუსები დეზინფორმაციას განმარტავენ, როგორც „ყალბი და პროვოკაციული ინფორმაციის გავრცელებას“. მაგრამ სუკ-ის მიერ გამოყენებული დეზინფორმაცია სინამდვილეში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს მათი განმარტებიდან ჩანს. „ყალბი და შეთხზული დოკუმენტების, წერილების, ხელნაწერებისა და ფოტოსურათების გამრავლებას; აგენტების მიერ ცდომილებაში შემყვანი ამბების და ყალბი ინფორმაციის გავრცელებას; საბჭოთა კავშირში ჩამოსული ადამიანების გაბრიყვებას, ასევე ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენის მიზნით მოხდენილ ფიზიკურ ძალადობას. ყველა ეს მეთოდი სხვადასხვაგვარად გამოიყენება საზღვარგარეთის მთავრობების პოლიტიკურ კურსზე ზემოქმედების მოსახდენად, ხალხებს შორის ურთიერთობათა გაუარსებისათვის, ერების ნდობის შესარყევად მათი ხელმძღვანელებისა და დაწესებულებების მიმართ, ცალკეული ადამიანებისა და მთელი ჯგუფების დისკრედიტაციისათვის, საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ განწყობილი, ცრუ წარმოდგენის შესაქმნელად უცხოელებში საბჭოთა ზრახვებთან და პირობებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის შიგნით; ზოგჯერ კი, უბრალოდ, მხოლოდ იმისათვის, რომ მიჩქმალონ სუკ-ის წარუმატებლობა და უხეში შეცდომები.

დეზინფორმაციული ოპერაციები იმით განსხვავდება ჩვეულებრივი პროპაგანდისაგან, რომ მათი ნამდვილი წყაროები საიდუმლოდაა შენახული. ამასთან ისინი მოიცავენ საიდუმლო მოქმედებათა რაიმე ფორმას. ამ მიზეზით საბჭოთა ხელმძღვანელი პირები ყოველთვის ავალებდნენ თავის საიდუმლო აპარატს, ეტვირთა მთავარი პასუხისმგებლობა დეზინფორმაციისათვის.

სუკ-ის 1959 წლის რეორგანიზაციამდე, საგანგებო კომიტეტის მემკვიდრე ორგანიზაციებიდან ყველას ჰქონდა „დეზინფორმაციული კაბინეტი“. 1959 წელს შეიქმნა დეზინფორმაციის დიდი განყოფილება, რომელიც ცნობილი იყო როგორც „განყოფილება D“ და ეკუთვნოდა პირველ მთავარ სამმართველოს. პირველი მისი უფროსი იყო გენერალი ივანე ივანეს ძე აგაიანცი. მას თავი განმარტოებულად ეჭირა. იყო მაღალი, შეჭაღარავებული, ულვაშების წვრილი ზოლით. ასკეტური და მუდამ დაღვრემილი აგაიანცი თავის თავში აერთებდა ფაქიზ ხასიათს და მიდრეკილებას პროფესიული შეუბრალებლობისადმი. მან შეკრიბა დაახლოებით 50 ოფიცრიანი შტატი სუკ-ის ცენტრიდან და გამალაგა 15-20 თანამშრომელი სუკ-ის ჯგუფილ რეზიდენციაში, ევროპაში, აღმოსავლეთ ბერლინში. დამატებით, მას ჰქონდა უფლება ესარგებლა მეცნიერების, ტექნიკური და სამხედრო სპეციალისტების მომსახურებით მაშინ, როცა მას ეს დასჭირდებოდა. აგაიანცის სიკვდილის შემდეგ, 1968 წელს, კიდევ ერთი რეორგანიზაციის შედეგად „დეზინფორმაციის განყოფილება გარდაიქმნა „განყოფილება A“-დ, რომელსაც დასჭირდა უფრო მაღალი მდგომარეობა უცხოეთის განყოფილების იერარქიაში და, მაშასადამე, მეტი თანამშრომელიც.

დროდადრო დეზინფორმაციის განყოფილების თანამშრომლები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. აგაიანცმა 1963 წელს შეაღწია შვეიცარიაში, ხოლო 1965 წელს — პაკისტანში. 1965 წელს იგი იყო ინდონეზიაში; დროის გარკვეული შუალედების შემდეგ სტუმრობდა აღმოსავლეთ ევროპას, სადაც აკონტროლებდა სატელიტი ქვეყნების დეზინფორმაციული განყოფილებების მუშაობას. 1966 წელს მისი მოადგილე ჩასული იყო ბონში, სადაც ეძებდა მასალას ცილისწამებისათვის დასავლეთ-გერმანელ პოლიტიკურ ლიდერებზე. დეზინფორმაციის განყოფილების მეორე თანამშრომელმა, იური ივანეს ძე ლიუდინმა, რომელიც იმალებოდა იური ივანეს ძე მოდინის სახელით, 10 თვე გაატარა ნიუ დელიში ყალბი საბუთების მზადებაში. ეს საბუთები სუკ-მა გამოიყენა 1967 წელს, რათა ზეგავლენა მოეხდინა არჩევნებზე ინდოეთში. დეზინფორმაციის დარგში რამდენიმე ოფიცერი, როგორიცაა, მაგალითად, გაეროსთან არსებული საბჭოთა დელეგაციის პირველი მდივანი, ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ჩუკჩინი, იმყოფებიან საზღვარგარეთ მუდმივად. მაგრამ დიდი ნაწილი სამუშაოსი საზღვარგარეთ სრულდება A-განყოფილებისათვის პირველი მთავარი სამმართველოს გეოგრაფიული ქვეგანყოფილებების ოფიცრებით და აგენტებით. A-განყოფილებას შეუძლია, აგრეთვე, ისარგებლოს B განყოფილების დივერსანტების მომსახურებით და საბჭოთა დიპლომატებით, რომელთაგან დროდადრო ითხოვენ ხმების გავრცელებას განზრახ ან წინასწარ განუზრახველად.

A განყოფილება ასრულებს დეზინფორმაციის ოპერაციებს უცხოელების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში, რაც კეთდება როგორც მისი თანამშრომლების საშუალებით, ისე მეორე მთავარი სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებების მიერ.

პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, რელიგიის მსახურნი, რომელთა აზრსაც აქვს დიდი წონა საკუთარ ქვეყნებში, სსრკ-ში ჩამოსვლისას, ჩვეულებრივ, ხდებიან სპეცსამსახურის მოქმედების ობიექტები. სუკ-ი ცდილობს, რომ უცხოელს მისცეს შესაძლებლობა მხოლოდ იმის დანახვისა, რაც მისი კონტროლის ქვეშაა. იმავდროულად ცდილობს დაარწმუნოს იგი იმაში, თითქოს მას თავისუფლად შეუძლია დაინ-

გაგრძელება მე-13 გვერდზე

მე-12 გვერდიდან

ახოს ყველაფერი, რაც მას უნდა. სუკ-ი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს უცხოელის აზრზე; აიძულებს, იმავე დროს, ამ უკანასკნელმა იფიქროს, რომ ეს აზრი მისი საკუთარია. სუკ-ი ძალიან ხშირად აღწევს წარმატებას ამაში იმის წყალობით, რომ შეუძლია აკონტროლოს საბჭოთა გარემოცვა. საარქივო მასალებს შეუძლიათ ბევრი რამ მოგვითხრონ ამ მანიპულაციების სახელგანთქმულ მსხვერპლთა შესახებ.

გაცხარებული შიმშილის დროს, რომელმაც რობერტ კონკვესტის გათვლებით ხუთიდან ექვს მილიონამდე სიცოცხლე შეიწირა 1932-33 წლებში, ბრიტანელი სოფლის მეურნეობის ექსპერტი სერ ჯონ მაინარდი ექსკურსიაზე წავიდა უკრაინაში გიდების თანხლებით სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განყოფილებიდან. როცა დაბრუნდა ლონდონში, მაინარდმა დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ შიმშილი სსრკ-ში არ არსებობს. შესაძლებელია, ზოგიერთი ცალკეული ნაკლოვანება კვების საქმეში იყოს, ამბობდა იგი, მაგრამ ნამდვილად არაა იქ არავითარი ფართოდ გავრცელებული შიმშილი. ზუსტად ასევე, ბერნარდ შოუც დაბრუნდა ექსკურსიიდან, სადაც სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად იყო, და განაცხადა, რომ სსრ კავშირში შიმშილის ლანდიც კი არ არის. და მართლაც, სასტუმროებში, სადაც იგი ჩერდებოდა, საჭმელი ნამდვილად უხვად იყო.

ყველაზე სასტიკი სტალინური საკონცენტრაციო ბანაკებიდან იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის ფორპოსტის ბანაკები, სახელწოდებით „დალსტროი". ისინი განლაგებულნი იყვნენ ოქროსშემცველ რაიონში ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირში, კოლიმაზე. წელიწადის მეტ დროს აქ უჭირავს ტემპერატურა 20-40 გრადუსამდე ნულის ქვემოთ და ქირურგები მუდმივად დაკავებული იყვნენ ცუდად ჩაცმული ტუსაღების მოყინული კიდურების ამპუტაციით. მეცნიერები, მხატვრები, მასწავლებლები და სხვა ინტელიგენტები, აგრეთვე პარტიული მუშაკები, რომლებიც შეადგენდნენ პოლიტიკური პატიმრების უმრავლესობას, არ იყვნენ მიჩვეულნი იმ მძიმე ფიზიკურ შრომას — 12 საათს დღეღამეში, რასაც მათგან ითხოვდნენ. თუ ვერ შეძლებდნენ დღიური ნორმის შესრულებას, მათ, დასჯის მიზნით, უმცირებდნენ ისედაც მცირე ულუფას. ნაკლები საკვების მიღებით ისინი კიდევ უფრო სუსტდებოდნენ და არ შეეძლოთ არც მუშაობა, არც თავის დაცვა სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან, რომლებიც ძარცვავდნენ და აწამებდნენ მათ. ჩვეულებრივი ამბავი იყო პატიმრების ცემა ხელკეტებით, მრავალი ათასი პატიმარი დახვრეტილი იქნა. საშუალო წლიური სიკვდილიანობა მაღაროებში შეადგენდა 30%-ს და კონკვესტი ასკვნის, რომ მხოლოდ 1937-დან 1941 წლამდე გარდაიცვალა მილიონამდე დალსტროელი პატიმარი.

1944 წელს მაგადანში დალსტროის ბანაკის პატიმრებს დასდეს განსაკუთრებული პატივი ორი ცნობილი ამერიკელის უჩვეულო ვიზიტით. ესენი იყვნენ ჰენრი ა. უოლესი — აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი და პროფესორი ოუენ ლატიმორი — სამხედრო ინფორმაციის სამინისტროს წარმომადგენელი. როგორც კარგ მასპინძელს შეეფერება, დალსტროი შეუდგა განსაკუთრებულ სამზადისს სტუმრების მისაღებად. ერთი ღამის განმავლობაში შსსკ თანამშრომლებმა დაანგრიეს ყველა სათვალთვალო კოშკი მაგადანის ირგვლივ. გამოიყენეს მოსახლეობის კერძო მარაგები, შეაგროვეს რუსული საქონელი და შეავსეს მაღაზიებში ცარიელი თაროები. მაღაზიებში მომსახურე პერსონალად შსსკ-ის და ქალაქის სამოქალაქო ადმინისტრაცია გამოიყენეს, ღონემიხდილი პატიმარი ქალები, რომელთაც საღორეებში ამუშავებდნენ ახლომდებარე მეურნეობებში, შეცვალეს შსსკ-ს მაგადანის განყოფილებაში მომუშავე ყველაზე წარმოსაჩენი ქალებით. შახტებში გამოჩდნენ ძლიერი, ჯანმრთელი ახალგაზრდები, რომლებმაც შეცვალეს დაუძლურებული პატიმარი კაცები. სამი დღის განმავლობაში, ვიდრე ამერიკელები ათვალიერებდნენ ბანაკს, ყველა პატიმარი გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჰყავდათ სტუმრებისაგან შორს და, პირველად და უკანასკნელად, მათ აყურებინებდნენ კინოფილმებს, რომ არ მოეწყოთ არეულობა.

სუკის სადაგი დღე

შემდეგში ლატიმორმა და უოლესმა გამოაქვეყნეს ანგარიშები მაგადანისა და მისი შემოგარენის მონახულების შესახებ. 1944 წელს სტატიაში („ახალი გზა აზიაში" გვ. 641-676), რომელიც მოთავსებული იყო დეკემბრის ნომერში ყოველთვიური ჟურნალის „National Geographic", ლატიმორი აცხადებდა: „ალბათ, ჯერ არასოდეს ყოფილა ახალი მიწების დასახლება უფრო მოწესრიგებული, ვიდრე ეს საბჭოებმა გააკეთეს რუსეთის შორეულ ჩრდილოეთში. ასევე მაგადანი არის დალსტროის გამოჩენილი საწარმოს ნაწილი, რომელიც დიდი გაჭირვებით შეიძლება შევადაროთ ფირმების — „ჰადსონ-ბეი"-ს და „ტვა"-ს კომბინაციას.. იგი აშენებს და მოქმედებაში შეჰყავს პორტები, გზატკეცილები და რკინიგზები, ოქროს მომპოვებელი შახტები, ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტებს, ჰყავს ჩინებული ორკესტრი და კარგი საოპერეტო დასი მაგადანში".

...როგორც ერთმა ამერიკელმა შენიშნა, საზოგადოების მაღალი კლასის გართობები ბუნებრივადაა ჰარმონიაში ოქროსთან, ისევე როგორც, ძლიერ აღმასრულებელ ხელმძღვანელობასთან.

კატორღული სამუშაოების კომპლექსის უფროსის, შსსკ-ის გენერალ-ლეიტენანტ ივანე თევდორეს ძე ნაკიშოვის შესახებ საუბრისას ლატიმორი წერს: სულ ახლახანს ბ-ნი ნაკიშოვი, დალსტროის უფროსი, დაჯილდოებული იქნა თავისი გამორჩეული მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით. ორივენი, ისა და მისი მეუღლე, ავლენდნენ დიდ ინტერესს ხელოვნებისა და მუსიკის მიმართ, აქვთ აგრეთვე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ჩვენ გაგვაკვირვა იმან, რომ აღმოვაჩინეთ დანაშაულობების, ლოთობისა და წარსული დროის ოქროს ციებ-ცხელების გაუთავებელი ჩხუბის ნაცვლად განიერი სათბურები, სადაც მოჰყავთ პომიდორი, კიტრი, ნესვიც კი, რათა მმაკი მეშახტეები საკმარისად იღებდნენ ვიტამინებს.

V ნაწილი

თავის წიგნში „საბჭოთა აზიის მისია" უოლესი წერდა: „კოლიმელი მეშახტეები არიან ახოვანი, კუნთმაგარი ახალგაზრდა კაცები, შორეულ აღმოსავლეთში რომ ჩამოვიდნენ რუსეთის ევროპული ნაწილიდან... მეშახტეებმა მთხოვეს გადავცე მათი სოლიდარობა შეერთებული შტატების ხალხს. მათი პროფკავშირების ხელმძღვანელი — ნ.ი. ადაჟინი უთვლის საუკეთესო სურვილებს სიდნეი ჰილმანს და ფილიპ მარეის... ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ციმბირის ჩრდილოეთ ნაწილში რუსები ანვითარებენ ქალაქური ცხოვრების ისეთ წესს, რომელიც ზოგადად შეიძლება შევადაროთ ჩვენი ჩრდილო-დასავლეთ შტატებისა და ალასკის ცხოვრებას..."

„ძველი რუსეთის მეშახტეებთან შედარებით, კომბინეზონებში გამოწყობილ კოლიმელ კაცებს შეუძლიათ დახარჯონ გაცილებით მეტი ოდენობის მანეთები... სრულიად ნათელია, რომ ამჟამინდელი ცხოვრების არსი და მნიშვნელობა ციმბირში არაფრით არ შეედრება გადასახლებულთა წარსული დღეების ცხოვრებას..." იური ნოსენკო აცხადებს, რომ როცა იგი ეხმარებოდა მოსკოვში ამერიკელების წინააღმდეგ ოპერაციების ჩატარებაში, კპ ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად არაორაზროვნად უბრძანა სუკ-ს, გაეძლიერებინა ზეწოლა სტუმრად მყოფი უცხოელების აზრის ჩამოყალიბებაზე. ამ მისიის შესრულებაში მოცემულ ეტაპზე დიდ დახმარებას უწევს სუკ-ს მის ხელთ არსებული შესაძლებლობები: ფარულად აკონტროლოს ობიექტი და შემოსაზღვროს საცხოვრებელი ადგილი, აკონტროლოს მოგზაურობები და შეხვედრები მოსახლეობასთან. მხოლოდ სუკ-ი ზრუნავს იმაზე, რომ უცხოელის საუბარი შედგეს განსაზღვრულ ჩინოვნიკებთან; წყვეტს, რა უნდა ნახოს მან და რა — არა, რითაც სასურველი მიმართულებით წარმართავს უცხოელის შთაბეჭდილებების ფორმირებას რთული ოპერაციების ჩატარების გარეშე. გავლენიანი უცხოელები, საბჭოთა კავშირს სუკ-ის მიერ თავსმოხვეული (პირდაპირ ან ირიბად) ყალბი შთაბეჭდილებებით რომ სტოვებენ, ზოგჯერ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე თავიანთ ქვეყნებში. ცალკეულ შემთხვევებში ხერხდებოდა თვალყურის მიდევნება ყალბი ინფორმაციის ზემოქმედების შედეგებზე, რომელსაც გადასცემდნენ პატიოსანი, მაგრამ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები. მოვიყვანთ მაგალითებს.

მწვავე საბინაო კრიზისი და საბინაო პირობების მინიმალურ ნორმებთან შეუსაბამობა წარმოადგენს, მართლაც, იმ ერთადერთ პრობლემას საბჭოთა სინამდვილეში, რომელიც ცდილობს ამოვარდეს გაჩუმების და ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან მიჩქმალვის ჩარჩოებიდან. ეს ზოგადი მდგომარეობა არ წარმოადგენს საიდუმლოს, რამდენადაც შეუძლებელია მისი დამალვა. ლეგაისის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ დ. ბარი აღნიშნავს: „საცოდავი მდგომარეობა შედარებით ახალი საცხოვრებელი სახლებისაც კი წარმოადგენს მუდმივი საჩივრების ობიექტს საბჭოთა პრესაში".

მიუხედავად ამისა, 1968 წლის 7 მაისს აშშ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ჰოვარდ ჯ. სამუელსმა განაცხადა თავისი გამოსვლის შესავალ ნაწილში: „საბჭოთა კავშირმა ბევრად გაუსწრო შეერთებულ შტატებს თავისი ხალხის მწვავე საბინაო მოთხოვნების გადაჭრაში და. სავსებით შესაძლებელია, რომ ის გახდეს პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც მოსპობს ჯურღმულების სიმახინჯეს". საინტერესოა ვიცოდეთ, რა იცოდა ისეთი სამუელსმა საბჭოთა საბინაო საკითხების შესახებ, რაც არ იყო ცნობილი კოსიგინისთვის, ბრეჟნევისა და საბჭოთა პრესისთვის?

ვაჭრობის სამინისტროში გაიგზავნა შეკითხვა თომას ლანგმანის მისამართით, რომელიც წარსულში სამუელსის თანაშემწე-მდივანი იყო. ტორია ზემოთმოყვანილი სიტყვებისა. მან აცნობა პასუხად, რომ ყველა მოხსენება საბჭოთა საბინაო საკითხის შესახებ დიდწილად ეყრდნობოდა ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სტანდარტების განყოფილების დირექტორის — ა. ალან ბეიტსის მონაცემებს. ბეიტსის აღმოჩენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლანგმანზე. გასაგებია, რომ რუსული საცხოვრებელი სახლების ხარისხი ბევრად ცუდია, ვიდრე ჩვენისა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მათ გადაწყვიტეს იქ მცხოვრებ ადამიანებზე ზრუნვის პრობლემა", — უთხრა მან ჟურნალისტებს, რომლებმაც მისგან ინტერვიუ აიღეს. „სააბაზანო ოთახები, შესაძლებელია, არც ისე მოდურია, მაგრამ ისინი იყენებენ სამრეწველო ტექნოლოგიას მაშინ, როცა ჩვენ ამას არ ვაკეთებთ. ჩვენ ის უნდა ვაკეთოთ, რასაც რუსები აკეთებენ". ლანგმანმა ბეიტსი დაახასიათა, როგორც „დიდი მკვლევარი რუსულ საბინაო საკითხებში". ეს მართლაც ასეა.

1969 წლის აპრილში შეერთებული შტატების კონგრესის გაერთიანებულმა ეკონომიკურმა კომისიამ საბჭოთა საბინაო საკითხის შესახებ გამოაქვეყნა მოკლე მოხსენება ბეიტსის ტრაქტატთან ერთად. იგი ასე იწყებოდა: „საბჭოთა კავშირი არის პირველი და, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც გადაწყვიტა დაბალი ღირებულების, მაგრამ მისაღები საბინაო პირობების შექმნის პრობლემები თავისი უზარმაზარი რაოდენობის მოქალაქეთა მასისათვის.

რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, შეიძლება 10 წლის შემდეგაც, ყველა სცნობს მთელს მსოფლიოში, რომ სხვა დიდ ქვეყნებს შორის სსრკ-ს მოსახლეობას აქვს ყველაზე უკეთესი ბინები. უდიდესი იქნება ასეთი მდგომარეობის პოლიტიკური მნიშვნელობა. შეერთებული შტატები გაწამდება გამანადგურებელი შედარებებისაგან".

ასხამდა რა ხოტბას საბჭოთა კავშირს „უმაგალითო პიონერობის ცხოვრებაში გატარებისთვის ადამიანთა მასების მოტივაციისა და ორგანიზაციის დარგში", ბეიტსი აღნიშნავს, რომ საბჭოთა დამპროექტებლები, ამერიკელებისგან განსხვავებით, არ ხარჯავენ ფართს „მფლანგველ მოწყობილობებზე სპორტული ვარჯიშებისთვის, გასართობი სახლებისათვის ან კიდევ, პირადი პრესტიჟისთვის". იგი განმარტავდა, „ურბანიზაციის საბჭოთა იდეალს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლება კაცობრიობის ცნობიერების ახალ საფეხურზე". დასკვნებში ბეიტსი წერს, რომ „ყველა ურბანიზებული ერი, ალბათ, შეერთებული შტატების ჩათვლით, იძულებული გახდება საბოლოო ჯაჭში შეეჯიბროს „საბჭოთა საბინაო პოლიტიკას და პრაქტიკას".

მაგრამ ბეიტსი არსად მთელს თავის ტრაქტატში არ მიუთითებს არც ერთ დამოუკიდებელ წყაროზე და არ მოჰყავს ობიექტური ცნობები საბჭოთა თუ რომელიმე სხვა მასალებიდან მისი განსაცვიფრებელი აღმოჩენების სასარგებლოდ.

მე-13 გვერდიდან

ხალხი, ვინც მისგან ინტერვიუებს იღებდა, ეკითხებოდა მას, რა საფუძველი ჰქონდა ასეთი უნიკალური დასკვნებისათვის? იგი პასუხობდა, რომ 1959 წლიდან მოყოლებული, იგი მუდმივად დადის საბჭოთა კავშირში. „ჩემი განცხადებები საბჭოთა საბინაო საკითხებზე ემყარება ჩემს პირად დაკვირვებებს — პასუხობდა იგი — მე მოვიარე მთელი მსოფლიო; ნებისმიერ სხვა ამერიკელზე მეტი ვნახე, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. არა, მე ვერ დავეთანხმები ვერანაირ სამთავრობო ანგარიშს ან ცნობებს; ჩემი განცხადებები ემყარება პირად დაკვირვებებს. ჩემი დასაბუთებანი გაერთიანებული ეკონომიკური კომისიის წინაშე? ისევ და ისევ ვიმეორებ, იგი ემყარება ჩემს პირად დაკვირვებებს“. ბეიტსმა უარი თქვა მოეყვანა დამამტკიცებელი დასაბუთება მისი თუნდაც ერთი ექსტრავაგანტური მტკიცებისათვის. „მე ვიყავი ასზე მეტ ქალაქსა და სოფელში საბჭოთა კავშირში და მე ვიცი, იქ რა ხდება. ჩემი კავშირები? მე უბრალოდ არ მაქვს დრო ჩამოვთვალო ის მრავალი ათეული მაღალი რანგის ავტორიტეტული პირი, რომლებთანაც მე მქონია საუბარი. როგორც უნდა იყოს, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე ჩემს ინფორმაციას ვაგროვებ ქარხნების დათვალიერებისას, მუშებთან გასაუბრებით. მე უფრო მეტად მიმუშავია ამ საქმეში, ვიდრე ნებისმიერ სხვა ამერიკელს“. თუმცა ბეიტსი აღიარებს იმასაც, რომ მას არ შეუძლია რუსულად არც ლაპარაკი, არც კითხვა.

თავი XIII

ბნელი ბირთვი

1971 წლის 27 სექტემბერს, ორშაბათ დღეს, სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა მოულოდნელად შეწყვიტა თავისი ტურნე აღმოსავლეთ ევროპაში და ნაჩქარევად დაბრუნდა შინ, საბჭოთა კავშირში. თვითმფრინავი ის იყო დაეშვა მიწაზე, რომ ბრეჟნევი მაშინვე გაემართა მაღალი თანამდებობის პირებისათვის განკუთვნილი დასვენების ოთახისკენ, სადაც მას ელოდნენ სუკ-ის თავმჯდომარე იური ანდროპოვი და პოლიტბიუროს წევრები. ამ გადაუდებელი თათბირის შედეგი იყო დიდი ხნის წინ დაგეგმილი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის — ინდირა განდის საპატივცემოდ სახელმწიფო მიღების მოულოდნელად გადადება, რამაც საერთო დაბნეულობა გამოიწვია.

მანამდე სამი დღით ადრე დიდმა ბრიტანეთმა გამოაძევა საბჭოთა დაზვერვის 105 თანამშრომელი, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სახელმწიფო მოხელეთა დისკრედიტაციასა და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოპარვის სრულიად თავხედურ კამპანიაში. არასდროს ადრე არც ერთ ერს არ უმოქმედია ამდენად პირდაპირ და ეფექტურად სუკ-ის წინააღმდეგ. პირწმინდად იქნა განადგურებული ძირგამომთხრელი საქმიანობის მთელი ბაზა. მაგრამ პოლიტბიუროსთვის კიდევ უფრო მეტი განგაშის მიზეზი გახდა განცხადება, რომელიც ახლდა თან გამოძევებას, მასში რუსებს ატყობინებდნენ, რომ ინგლისელებმა თავისი დაცვის ქვეშ აიყვანეს ოლეგ ადოლფის ძე ლიალინი, კაცი, რომელიც იყო სუკ-ის ყველაზე ბნელი ძალის — ზესაიდუმლო განყოფილების წარმომადგენელი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით განყოფილება „ნ“ და განაგებდა საბოტაჟებს და მკვლელობებს მთელს მსოფლიოში. სუკ-მა აცნობა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომ დეზერტირს შეეძლო ემხილებინა „ნ“ განყოფილების თანამშრომლები და მათი ოპერაციები სხვა ქვეყნებში. პოლიტბიურო შიშობდა, რომ, თუ სხვა ქვეყნებიც გაიგებდნენ თავის რიგებში საბჭოთა დივერსანტი-პროფესიონალების შესახებ, მიბაძავდნენ დიდი ბრიტანეთის მაგალითს.

მალე აეროპორტში გამართული პოლიტბიუროს საგანგებო სხდომის შემდეგ, „ნ“ განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ დასავლეთ ნახევარსფეროში, ევროპაში, აზიაში და აფრიკაში, მიიღეს ბრძანება — მიეტოვებინათ თავიანთი პოსტები.

„ნ“ განყოფილების სხვადასხვა თანამშრომელთა ახლა უკვე მხილებულმა ოპერაციებმა ნათელი მოჰფინეს ბევრ რამეს. ისინი უჩვენებდნენ, რომ „ნ“ განყოფილება აქტიურად მუშაობდა ყველა კონტინენტზე, შეისწავლიდა განადგურების მიზნით როგორც ეკონომიკურ, ისე ადამიანურ სამიზნეებს. უცხოეთის მთავრობების მიერ ასეთი ოპერაციების თუნდაც ნაწილობრივი გამომზეურებები მიუთითებდა იმაზე, რომ კრემლს საბოტაჟის ოპერაციების გამოყენება განზრახული ჰქონდა არა მხოლოდ ომის შემთხვევისთვის, არამედ განსაზღვრულ მშვიდობიან პირობებშიც. რამდენად საშიშიც არ უნდა ყოფილიყო ეს ოპერაციები, უფრო საგანგაშო იყო არსი, რომელსაც ისინი გამოსახავდნენ. არსებობამ და მუდმივმა გამოყენებამ ისეთი იარაღისა, როგორიც იყო ბ“ განყოფილება, გამოაჩინა, რომ საბჭოთა კავშირი იყო ფარული ძალადობის პრინციპის მიმდევარი.

საბჭოთა კავშირი დღემდე სოლიდარული დარჩა ლენინის მითითებებისა იმის შესახებ, რომ ყველაფერი, რაც ემსახურება კომუნიზმის მოახლოებას, არის ზნეობრივი. კლავდა და იპარავდა უცხოელებს ჯერ კიდევ 1926 წლიდან მოყოლებული, როცა სტალინი საბოლოოდ გამაგრდა თავის ძალაუფლებაში. იმ წელს გაერთიანებული მთავარი პოლიტსამმართველოს (ОГПУ) აგენტებმა პარიზში დაცხრილეს უკრაინელი ლიდერი სიმონ პეტლიურა. დღისით, მზისით, მოსკოვის ქუჩაზე მოიტაცეს ესტონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ადო ბერკი, მიუხედავად მისი დიპლომატიური ხელშეუხებლობისა. მის შესახებ მეტად აღარ სმენიათ. 1930 წლის 26 იანვარს მთავარმა პოლიტსამმართველომ პარიზში ხელში ჩაიგდო თეთრგვარდიელთა ლიდერი ალექსანდრე კუტეპოვი, ხოლო 1932 წლის 22 მაისს ჰამბურგში დახვრიტა ყოფილი კომუნისტური კურიერი ჰანს ვისენგირი. ასევე ანადგურებდნენ საბჭოთა დაზვერვის თანამშრომლებს, რომლებიც თავს დაიტეხდნენ თავისი უფროსების რისხვას. 1934 წელს ნიუ-იორკში მოკლული იქნა ვალენტინ მარკონი — გაერთიანებული მთავარი პოლიტსამმართველოს მეთაური შეერთებულ შტატებში. ხოლო ორი წლის შემდეგ მაკაოში იგივე ბედი ხვდა წილად მთავარ პოლიტსამმართველოს აგენტს ჟან კრემეტს.

იმისათვის, რომ ტერორისტული საქმიანობა ეწარმოებინა მეტი ეფექტურობით და უფრო ფართო მასშტაბებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (НКВД) 1936 წელს შექმნა განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველო, რომელსაც რუსებმა დროთა განმავლობაში შეარქვეს „სველი საქმეების“ განყოფილება. თავიდან სამმართველო თავისი საქმიანობის კონცენტრაციას ახდენდა მეამბოხე უცხოელი კომუნისტების ლიკვიდაციაზე, როგორებიც იყვნენ ტროცკისტები და თვით ტროცკი. 1937 წლის მსხვერპლთა შორის იყვნენ: დიმიტრი ნავაშინი, მოკლული პარიზში; ჟიულ სტიუარტ პოინტცი, რომელიც გაქრა ნიუ-იორკში; იგნას რეისი, მოკლული ლოზანაში; პარიზში გატაცებული ევგენი მილერი; ესპანეთში მოკლულები — ანრი მულენი, კურტ ლანდაუ, კამილო ბერნარი და ანდრე ნინი. სრულიად შესაძლებელია, რომ იგივე განყოფილება იყო პასუხისმგებელი ჟოზე რობლეს, მარკ რეინის, ერვილა ვოლფის და ჰანს ფრონდის გაქრობაზე იმავე წელს ესპანეთში. 1938 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტებმა ბელგიაში გიტაცეს და მოკლეს გიორგი

ეუტიუსოვი — გაერთიანებული მთავარი პოლიტსამმართველოს ყოფილი თანამშრომელი, მათივე მეშვეობით აფეთქდა როტერდამში უკრაინელების ლიდერი ივან კონოვალენკო. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ მოკლეს პარიზში ტროცკის ვაჟის (ლეონ სედოვის) თანამებრძოლი რუდოლფო კლემენტი. 1938 წლის 16 ივლისს კლემენტის თავმოჭილი გვამი აღმოჩენილ იქნა მდინარე სენაში.

მასალა მოამზადა
რუსუდან დუნდუამ

გაგრძელება იქნება

როგორ განსჯის ინგლისური ისტორია ბლეირს?

ბლეირი მიდის ავანსცენიდან (იგი რჩება მხოლოდ პარლამენტის წევრად). მის წასვლას, The Economist-ის თქმით, ბრიტანელებმა ამ ცოტა ხნის წინ ერთი პანღურიც

ასე შეჰხაროდნენ ბრიტანელები ბლეირს ერთ დროს.

შეაშველეს, როცა ამ ბოლო ადგილობრივ არჩევნებში ხმა მისცეს კონსერვატორებს, შოტლანდიელსა და უელსელ ნაციონალისტებს, — ვისაც გინდათ სხვას, მაგრამ არა ბლეირის პარტიას, ლეიბორისტებს. ბლეირის შეფასებაში, საბოლოოდ, მისი პლუსები და მინუსები განაწილდება, ალბათ (ჟურნალის აზრით), შემდეგნაირად:

პლუსებია: განუხრელი ეკონომიკური ზრდა მისი მმართველობის ათი წლის მანძილზე, ბრიტანეთში სტუდენტების პროცენტის მომატება (თუმცა გამოცდების თამასამ აქა-იქ დაიწია), ეკონომიკური კონტრასტის ზრდის შეჩერება. ამ გაზომვადი პლუსების გარდა არის არაგაზომვადიც: ბლეირმა ინგლისი „უფრო კოსმოპოლიტური და უფრო შემწყნარებლური გახადა“. გატარდა ადამიანის უფლებათა აქტი, აღიარებულ იქნა „სამოქალაქო პარტნერობა“ ჰომოსექსუალებისათვის, გაფართოვდა თვითმმართველობა შოტლანდიისთვის, უელსისთვის და ჩრდილო ირლანდიისთვის. უზარმაზარი პლუსია მშვიდობის დამყარება ოლსტერში. კლასობრივი კუთვნილობა ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე ნიშნავდა ადრე. გაიზარდა ინგლისის ღიაობის ხარისხი. ფართო იმიგრაციამ (პირველ ყოვლისა, ევროპის ნაკომუნისტარი ქვეყნებიდან) სტიმული მისცა ეკონომიკას, მაგრამ არ გამოუწვევია სიძულვილი.

გლობალიზაციის მიღებით გაიზარდა ლონდონის აქტივობა და დინამიზმი. გაიზარდა საზოგადოების ყურადღება მსოფლიო დათბობისა და აფრიკის შიმშილობის პრობლემისადმი. ბლეირის მთავრობამ დიდი როლი ითამაშა „გენოციდის ჩამტარებელი“ მილოშევიჩის დამხობაში. გარდა ამისა, დიდი გამარჯვება მოიპოვა ბლეირმა პრემიერად დადგომამდეც, როცა

გლობალური დათბობა ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულებს გაადნობს. ყველა მსოფლიო ძალის ლიდერს ამ წყალდიდობიდან ამოტივტივების პრობლემა ელის.

თავისი პარტია ცენტრიზმს მიუახლოვა და ამით მისი არჩევადობის ხარისხი გაიზარდა. ამ პლუსებს აქა-იქ ხარვეზები აქვს, მაგრამ, ჟურნალის აზრით, იგი მაინც ინგლისს უკეთესს ტოვებს, ვიდრე მიიღო.

მინუსებში ყველაზე ფართოდ ცნობილია ერაყი. მაგრამ აქაც, თუმცა თავიდან შეცდა ომის დაწყებისათვის მხარის დაჭერით, ბლეირმა შემდეგ მაინც უკეთესი გადაწყვეტილება მიიღო: მან ამერიკელები მარტო არ მიატოვა, რადგან მაშინ საქმე კიდევ უარესად წავიდოდა. მთავარი მიზეზი მარცხისა არის, ჟურნალის აზრით, ბუშის სიჯიუტე, რომელიც მასზე უფრო მცოდნეს არ უსმენს. ბლეირის ბრალია ისიც, რომ საკმარისად არ იაქტიურა გუანტანამოს ციხის გაუქმების, პალესტინის სახელმწიფოს შექმნის, რამსფელდის მოხსნის საკითხებში. ჯამში, ჟურნალის აზრით, ყველაზე დიდი მინუსი ბლეირის მმართველობისა მაინც ის არის, რომ მან, ფაქტობრივად, თავისი მმართველობის პირველი ვადა გააცდინა ინგლისის შინაგანი მართვის მოწესრიგებისა, მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებში — გააცდინა იმიტომ, რომ „მოუმზადებელი იყო“, ანუ კვალიფიკაცია და მიხვედრილობა არ ეყო. ჯამში, ჟურნალის აზრით, იგი დიდ პრემიერთა რიცხვში, რასაკვირველია, არ შევა, მაგრამ მაინც უკეთესად შეფასდება მომავალში, ვიდრე მისი დღევანდელი თანამემამულენი აფასებენ. მის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ არც მისი მემკვიდრე ლეიბორისტი ბრაუნი, არც მათი კონსერვატორი მეტოქე კამერონი ბევრი არაფრის შეცვლას არ ფიქრობენ ხელისუფლების კურსში იმასთან შედარებით, რაც ბლეირმა დააწესა.

რას იზამს საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი?

სარკოზიმ, The Economist-ის აზრით, ზედმეტი დაპირებები გასცა თავისი საარჩევნო კამპანიის დროს, როცა, მაგალითად, ამომრჩეველს უფრო აქტიური („ინტერვენციონალისტური") ინდუსტრიული პოლიტიკა და ახალი პროტექციონიზმი აღუთქვა (ნუ დაგვავიწყდება, რომ ფრანგული ინდუსტრია კარგად ვერ გრძნობს თავს თავის შინაურ ბაზარზე, რის ფაქტორთა შორისაც, სხვა ყოველივესთან ერთად, ჩინური კონკურენციაც ფიგურირებს. რედ.). მთავარი ამოცანა, რომელიც სარკოზის წინაშე დგას და რომელსაც იგი უახლოეს დროში შეეჯახება, არის ეკონომიკური კანონმდებლობის რეფორმა, სახელდობრ, შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია, ანუ იმგვარი პირობების შექმნა, როცა დამქირავებელს უფრო თავისუფლად შეეძლება თავისი დაქირავებულისაგან შრომის ნაყოფიერების ზრდის მოთხოვნა სხვა დაქირავებულით მისი შეცვლის შიშით (დღეს ეს ოპერაცია ფრანგ მეწარმეს უაღრესად გაძნელებული აქვს). სარკოზი, მოსალოდნელია, მნიშვნელოვნად გაიმაგრებს პოზიციას საპარლამენტო არჩევნების შედეგად, რომელიც მის პარტიას მანდატთა რაოდენობას გაუდიდებს, მაგრამ მისი პრობლემა, ჟურნალის თქმით, პარლამენტი კი არაა, არამედ ქუჩაა, სახელდობრ, ისაა, თუ როგორ გაიტანს იგი თავისი პარლამენტის მიღებულ ახალ ეკონომიკურ კანონებს გარეთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ შრომის კანონმდებლობის რეფორმირების ხსენებულმა გეგმამ ამ ცოტა ხნის წინ უდიდესი პროტესტი გამოიწვია საფრანგეთის ქუჩებში და მთავრობამ უკან დაიხია, ისევე, როგორც შირაკმა დაიხია უკან, ამავე თემასთან დაკავშირებით, თავისი პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე. ამ პრობლემას ის ქმნის, რომ საფრანგეთში ძალიან ბევრნი არიან ისეთი პირები და ორგანიზაციები, რომელთათვისაც ხელსაყრელია და მოსაწონია საფრანგეთის დღევანდელი „ზედმეტად პროტეჟირებული" სისტემა — პროფკავშირები, პენსიონერები და სხვანი. სარკოზის საქმე სწორედ ამათთან ექნება (მკითხველს შევახსენებთ, რომ ანალოგიური რეფორმა — დამქირავებელთა უფლებების გაზრდა დაქირავებულთა მიმართ და ამ გზით შრომის ნაყოფიერების სტიმულირება — ამ ცოტა ხნის წინ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით გატარებულ იქნა გერმანიაში იმ მოტივით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია კარგავდა თავის ლიდერულ როლს შრომის ნაყოფიერების მეტოქეობაში სხვა ევროპელებთან. რედ.).

სარკოზი — ნაპოლეონის პერსპექტივით?

მეორე დიდი გამოცდა საფრანგეთის ახალი პრეზიდენტისათვის იქნება ევროსაბჭოსთან ურთიერთობა. სარკოზი უტევს ევროპის ცენტრალურ ბანკსაც და ევროკავშირსაც, რომელსაც იგი საფრანგეთისათვის ფრიად საძულველი მოვლენის — გლობალიზაციის — „ტროულ ცხენად" თვლის. ევროკავშირი, ჟურნალის აზრით, არაფერს დათმობს თავისი მიღებული ნორმების და წესების არსენალიდან, რისთვისაც მას ის საბუთი აქვს, რომ საფრანგეთის პრობლემები, რომელთაც საუბარი ეხება, მისი საშინაო პრობლემებია, მისივე საშინაო სიტუაციიდან მომდინარე, და ამიტომ საფრანგეთმა მათ თავისი საკუთარი რესურსებითა და რეფორმებით უნდა მოუაროს. ევროპასთანვეა დაკავშირებული სარკოზის მესამე პრობლემაც: ევროპის კონსტიტუცია. მისი მიღების პროცესი უკვე ორი წელიწადია პარალიზებულია მას შემდეგ, რაც ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა მას რეფერენდუმში უარი უთხრეს. სარკოზის გეგმაა კონსტიტუციის ნაცვლად „გაწყალწყალებული" კონსტიტუციური ხელშეკრულების მიღება, რაც შესაძლებელია რეფერენდუმის გარეშეც. ჟურნალი რაცხს, რომ ეს ძნელი იქნება, რადგან საფრანგეთის წინააღმდეგობები ინგლისელებთან, პოლონელებთან და სხვებთან არც ამ ხელშეკრულების სახით იქნება ადვილი დასაძლევი. ამიტომ უმჯობესია, ევროპელებმა თავი ანებონ ურთიერთპაექრობას და მიჰხედონ „ევროპის ადგილს მსოფლიოში, მისი არამდგრადი მეზობლობიდან დაწყებული".

სარკოზის, ჟურნალის სიტყვით, აქვს „კარგი იდეები", სახელდობრ, მას უნდა „ხმელთაშუა ზღვის კავშირის" შექმნა, რაც გაზრდის ევროპის ძაფებს ახლო აღმოსავლეთთან და ჩრდილო აფრიკასთან, და მას უნდა უფრო მკაცრი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. აქვს „ცუდი იდეაც", სახელდობრ, არ უნდა, რომ თურქეთი ოდესმე გახდეს ევროკავშირის წევრი. მაგრამ ეს ბოლო იდეა ძალიან ქმედუნარიანი არ არის, რადგან მოლაპარაკებები ევროკავშირში თურქეთის წევრობის შესახებ უამისოდაც არ განახლდება ათ წელზე უფრო ადრე, მანამდე კი ბევრი წყალი ჩაივლის და თურქეთშიც ბევრი რამ შეიცვლება. ჯამში, ჟურნალი მოელის, რომ სარკოზი იქნება ბევრად უფრო „კონგენიალური" (სულისკვეთების მოზიარე) ამერიკელების, ინგლისელების, გერმანელების მიმართ, ვიდრე იყო შირაკი. მის პლუსად ასახელებენ მის „პროამერიკულსა და პროისრაელურ ინსტინქტს".

თურქეთის პრეზიდენტობის კანდიდატს — საგარეო საქმეთა მინისტრის გულის — მეუღლე პრინციპულად ატარებს თავსაფარს — მუსლიმანი ქალის რელიგიურობის აუცილებელ ატრიბუტს. ეს დაბრკოლება, როგორც ჩანს, გადაულახავია გულის პრეზიდენტობისათვის ოფიციალურად სეკულარულ სახელმწიფოში.

ანგელა მერკელი - ევროპის ახალი ვარსკვლავი და ახალი «რკინის ლედი»

ჟურნალი NEWSWEEK ათავსებს ვრცელ წერილს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელზე, რომელსაც იგი ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად მზარდ და პერსპექტიულ ფიგურად რაცხს. რამ განაპირობა ამ ქალბატონის რეიტინგის (70%) და მისი გავლენის ესოდენ სწრაფი ზრდა მას შემდეგ, რაც თანამდებობაზე დადგომიდან ერთი თვის თავზე (2005) თავისი პირველი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — „საკუთარი კუნთების ძალით" გაიტანა „საბიუჯეტო კომპრომისი", რომელიც ევროკავშირისთვის საჭირო იყო ჰაერვით, მაგრამ პრობლემატურად იყო გამხდარი? პირველ ყოვლისა, მიზეზია, გერმანიის ძალიან სწრაფი ეკონომიკური წინსვლა. გერმანია დღეს მსოფლიოს ყველაზე დიდი ექსპორტერია და მსოფლიოში III ადგილზეა ეკონომიკის მოცულობით (აშშ-სა და იაპონიის შემდეგ). გერმანია თანდათანობით ხელთ იღებს ევროპაში ლიდერის როლს საფრანგეთთან ერთად და ამაში დიდი როლი ეკუთვნის მერკელს, რომელმაც საფრანგეთთან დაახლოებას დიდი ღვაწლი დასდო (ამ ერთობაში, ჟურნალის სიტყვით, წამყვანი ძალაა დღეს ბერლინი და არა პარიზი). შესაბამისად, მერკელის წონაც ევროპაში სწრაფად იზრდება. მერკელმა შესამჩნევად გააგრილა ურთიერთობები რუსეთთან, რომელთანაც მის წინამორბედს შროდერს თვალშისაცემად თბილი კავშირი ჰქონდა (შროდერი ამბობდა, პუტინი სულით და ხორცით დემოკრატიაო, მერკელი კი ამბობს, ჩვენ, უბრალოდ, რუსეთთან არა გვაქვს იმდენი საერთო ღირებულებები, რამდენიც ამერიკასთან გვაქვსო). ამერიკელებთან სიახლოვის ხარისხი მან თვალსაჩინოდ გაზარდა — იმდენად გაზარდა, რომ ახლა ლამისაა გერმანია ჩაენაცვლოს ინგლისს, როგორც ამერიკელების პირველ მეგობარსა და მოკავშირეს ევროპაში. გერმანელების თვალში ეს პოლიტიკა პოპულარულია იმის წყალობითაც, რომ იქ სრულებით არაპოპულარული ბუში უკვე წარმავალი ფიგურაა, და იმის წყალობითაც, რომ ამერიკელებისთვის ყველაზე წამგებიან პოლიტიკურ თემას — ერაყის უიღბლო ომს — თანდათანობით წონა აკლდება. მაგრამ მთავარი გერმანულ-ამერიკული ურთიერთობების ახალ ხვეულში მაინც არის ის, რომ გერმანია მერკელის ხელით ამერიკასთან ახალ ეკონომიკურ კავშირს ეძებს. კონტურებში ჩანს უკვე ამერიკულ-ევროპული საერთო ბაზრის შექმნა, ანუ მათ შორის არსებული ბარიერების შემდგომი მოშლა, რითაც უფრო დიდ სივრცეზე განხორციელდება იმგვარი ეკონომიკური მოგება, როგორიც ევროპის ქვეყნებმა ერთმანეთს შორის ბარიერების მოხსნით ნახეს გასულ წლებში. მერკელის ამერიკული პოლიტიკა ხასიათდება იმითაც, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს „ვიზიონერულ" მომენტებს, რომელსაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა ბლეირი, როგორიცაა, მაგალითად, აბსტრაქტული „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" — და ყურადღებას აღნიშნული ტიპის რეალური ეკონომიკური ნაბიჯებისკენ აქცევს. მერკელი დიდ ყურადღებასა და სიმპათიას უთმობს გლობალიზაციის პროცესს, რაც მისთვის ძირითადად ამერიკულ-ევროპულ ეკონომიკურ დაახლოებაში მდგომარეობს. ამ დაახლოებას მის თვალში არა მხოლოდ პრაგმატული ხასიათი და საფუძველი აქვს. იგი ფიქრობს, რომ ის, რაც ამერიკელებს და ევროპელებს ასხვავებს ერთმანეთისაგან, შეუდარებლად ნაკლებია იმ განსხვავებებზე, რაც არსებობს, ერთის მხრივ, ამათ და მეორეს მხრივ მსოფლიოს ყველა სხვა ნაწილებს შორის.

აღსანიშნავია, რომ იმ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც გერმანიამ გაატარა მერკელამდე ცოტა ხნით ადრე — სახელდობრ, დამქირავებლის უფლებების ზრდას დაქირავებულის უფლებების შემცირების ხარჯზე, რასაც მოსახლეობამ მხარი დაუჭირა დაქირავებულთა ჩათვლით, რადგან ამას მოითხოვდა გერმანული ეკონომიკის ზრდის შეჩერების საშიშროება (ჩვენმა გაზეთმა მკითხველს ამის შესახებ ერთხელ მოუთხრო. რედ.) ჟურნალი „ზომიერს" უწოდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც ლაპარაკია განვითარების ტემპებზე ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში, აქ სულ სხვა ციფრები იგულისხმება, ვიდრე აზიის სახელმწიფოებზე საუბრის დროს. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკური აღმავლობა, ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა ამ წლისთვის დაგეგმილია 2,4%-ით, რასაც დიდად აღემატება ჩინეთის მონაცემები.

მერკელს დღეს ბლეიერსაც ადარებენ, ამ უკანასკნელის დინამიზმისა და ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში დიდი აქტიურობის გამო, და მარგარეტ თეჩერსაც. ჟურნალი მას მისი როლის შემდგომ აღმავლობას უწინასწარმეტყველებს. გერმანია ევროპის ლიდერობისკენ მიდის და შესაბამისად იზრდება მისი ლიდერის როლიც. საინტერესოა, რომ მერკელის წარმატების ფაქტორად ჟურნალი იმასაც ასახელებს, რომ მას შედარებით მძიმე პოლიტიკური ბიოგრაფია აქვს — იგი გაზრდილია აღმოსავლეთ გერმანიაში, და როცა ბერლინის კედელი ააშენეს, იგი იყო შვიდი წლის. ამიტომაც „მან იცის, რამდენად ამაღლება შეუძლიათ ადამიანებს და რამდენად — დაცემა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE ECONOMIST-ის პროგნოზი და რეკომენდაცია ან უკვე ჩატარებული სამიტისთვის

ვნახავთ, რამდენად გამართლდება იგი

ამა წლის 2 ივნისის ნომერში ჟურნალი ათავსებს პატარა მოწინავეს, სადაც მსჯელობს ერთი კვირის შემდეგ ჩასატარებელი „დიდი რვეულის“ (8) ლიდერთა შეხვედრის მანძილზე დასავლეთის მიერ რუსეთთან სალაპარაკო პოზიციისა და კილოს არჩევანის შესახებ. წერილის სათაურია „სიმართლე უთხარ ძალას“. სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეს, ჟურნალი ჩამოთვლის რუსეთის ცუდი ყოფაქცევის ნიმუშებს მარტოოდენ გასული ორი კვირის მანძილზე. ჩამონათვალი საინტერესოა თავისი პუნქტებითაც და მათ შორის დაცული იერარქიითაც.

პირველ ადგილზეა ქუჩის დემონასტრაციის დარბევა, მეორეზე — ენერგეტიკული ფირმის თავზე შავი ღრუბლების გროვება, რომელშიც ინგლისურ „ბიპის“ წილი აქვს, შემდეგ — „კიბერ-ომი“ პატარა მეზობლის წინააღმდეგ (იგულისხმება ესტონეთი), შემდეგ — ახალი რაკეტის გამოცდა, რომელმაც; ასე იგულისხმება, ამერიკული დაცვის სისტემები უნდა დაძლიოს, რომელთა გაფართოების გამო კრემლი ახლა დიდ რისხვას აფრქვევს. თქმულიდან გამომდინარე, ჟურნალი საჭიროდ თვლის, რომ დასავლეთმა თავისი ამ „ძლრენი“ პარტნერის — პუტინის რუსეთის — მიმართ თავისი თანმიმდევრული პოლიტიკა განსაზღვროს, რაც მოახლოვებულ სამიტზეც უნდა გამოჩნდეს.

რუსეთის ახლებური ქცევა, ჟურნალის აზრით, წარმოდგება რუსეთის სიძლიერიდან და ამავე დროს სისუსტიდან. მისი სიძლიერის წყაროა ნავთობის ფასების ზრდა და რუსეთის მიერ ნავთობისა და გაზის ერთობლივად ყველაზე დიდი რეზერვის ფლობა მსოფლიოში (ნავთობით ყველაზე მდიდარია საუდის არაბეთი. რედ.). ამ ფულმა რუსეთს თითქმის მთელი მისი საგარეო ვალი დაუფარა და პუტუნის უფრო და უფრო თავდაჯერებულ დიპლომატიას ფრთები შეასხა. ამავე დროს, მან აწია რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე და პუტინს პოპულარობა აუწია. „გასული შვიდი წელი, გარკვეული აზრით, ყველაზე ნაკლებ ცუდი პერიოდია რუსეთის ისტორიაში“.

პუტინის პოპულარობის სასარგებლოდ, ჟურნალის აზრით, მოქმედებს ისიც, რომ მან გაანეიტრალა მედია, დაიქვემდებარა პარლამენტი და არჩევნების პროცესი. ასეთი მოქმედება რუსეთში ძალის ნიშნად ითვლება, მაგრამ ამავე დროს, რუსეთში პუტინის მიერ აგებული სისტემა კორუმპირებულია და არასტაბილური („იხ. შიდაბრძოლა კრემლში და „პარანოიკული“ დათრგუნვა დისიდენტობის, უთანხმოების) პუტინის ვადის გასვლის მოახლოებასთან დაკავშირებით“). ეკონომიკა „მეტისმეტად დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე და სახიფათოდ არათანაბარია“. „გაითვალისწინეთ დემოგრაფიული კატასტროფაც და მოუსვენრობაც ჩრდილო კავკასიაში და დაინახავთ, რომ სურათი თანდათანობით ბნელი ხდება“. ამიტომ ჟურნალი ფიქრობს, რომ დიდი ნაბიჯებით მავალ, მაგრამ მერყევ რუსეთს დასავლეთის მხრიდან უფრო ფაქიზი პოლიტიკა სჭირდება, ვიდრე პირდაპირი დაპირისპირება საბჭოთა პერიოდისა, ან, პირიქით, 90-იანი წლებისებრი „საჩუქრები და რჩევები“ (რომლებიც ყოველთვის საქმეს არ შველოდა) ელცინის ხელისუფლებისათვის. დასავლეთის ლიდერთა უმრავლესობა ამ ბოლო წლებში ლამობდა, უფრო, პუტინის განებივრებას და დაწყნარებას, ვიდრე მასთან დაპირისპირებას“, რისთვისაც ჟურნალი შემდეგ მიზეზებს ასახელებს: დასავლელები ტყუვდებოდნენ პუტინის მოტივებისა და სულისკვეთების თაობაზე. ისინი დაბნეულნი იყვნენ საკუთარი კრიზისების გამო და ურთიერთგათიშულნი იყვნენ კრემლის საგაზო ხელშეკრულებების ეშხით. ამიტომაც მოხდა, ჟურნალის აზრით, რომ „დიდი რვეულის“ შარშანდელ სამიტზე პეტერბურგში პუტინმა „სასაცილოდ აიგდო“ ბუში და ბლეირი, ხოლო რუსეთის მიერ დემოკრატიის დარღვევის და რუსეთის ძირგამომრეცხავი საგარეო პოლიტიკის შესახებ თითქმის არაფერი თქმულა. ამისგან განსხვავებით, ბრიტანეთის ამჟამინდელი მყარი მოთხოვნა ლიტვინენკოს გადაცემის შესახებ (რომელსაც ბრალი ედება ინგლისის ტერიტორიაზე ჩადენილ მკვლელობაში. რედ.), მოწმობს კილოს გამკაცრებას, რაც სასურველია. ამიტომ, ჟურნალის აზრით, მომავალ სამიტზე დასავლეთის მხრიდან ბრტყელ დიპლომატიურ გამოთქმებს აჯობებს, თუ რუსეთს უფრო მკაცრად დაელაპარაკებიან იმაზე, რომ კრემლი ლახავს დასავლეთის ინტერესებსაც და საკუთარი მოქალაქეებისასაც (ენერგეტიკული სიმძლავრეების ხელყოფა ორივეს ინტერესებს ლახავს).

ბენაზირ ბჰუტო — პაკისტანის ყოფილი ლიდერი, შემდეგ პოლიტპატიმარი, მემუარების ავტორი და კვლავ პოლიტიკურ მოძღვაწეობაში დაბრუნების მგეგმავი, პაკისტანის მოკლული ლიდერის ქალიშვილი.

მაგრამ, ჟურნალის აზრით, სიმართლე ისაა, რომ რაგინდარა მკაცრი დატუქსვა რუსეთს, მისი დღევანდელი გუნებაგანწყობილების მიხედვით, ვერ შეაცვლევინებს მის ტრაექტორიას. დატუქსვა იმას მოიტანს, რომ რუსების უმრავლესობა მას არ შეისმენს. დიპლომატისადმი თავისი „ნულოვანი დამოკიდებულების“ წყალობით კრემლის ზოგი მოღვაწე ამ კრიტიკას გაიგებს, როგორც რუსეთის ძლიერების ნიშანს. მეორეს მხრივ, უფრო მკაცრი ნაბიჯებიც, რომელსაც ემხრობა ზოგი ამერიკელი — რუსეთის არშეშვებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მის „დიდ რვეულიდან“ გაგდებასაც კი — მეტი ზიანის მოტანა ძალუძს, ვიდრე სიკეთისა, რადგან ეს გააძლიერებს ვერსიას, თითქოს დასავლეთს მიზნად აქვს რუსეთის განდიდების არდაშვება. ეს, აგრეთვე, გააძლიერებს სტიმულებს დრაკონული ზომებისათვის რუსეთის შიგნით და შეამცირებს რუსეთის მხრიდან თანამშრომლობის ხალისს ისეთ ძნელ საკითხებზე, როგორიცაა კოსოვო ან ირანი“.

მაგრამ, ჟურნალის აზრით, დასავლეთს სხვა გზებიც მოეპოვება რუსეთთან ურთიერთობაში გარდა მონური დათმობისა და „პიროტექნიკური“ რისხვა-ქუხილისა. სახელდობრ, რუსეთს უნდა ნათლად ეთქვას, რომ მას არა აქვს ავტომატური ვეტო მსოფლიო დიპლომატიაში, თვით მისი გავლენის ყოფილ სფეროებშიც კი და თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ცდილობს ამ ვეტოს გამოყენებას გაეროში კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მეზობელ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო (უსამართლო სავაჭრო ემბარგოს მსხვერპლი), ესტონეთი (კიბერ-ომის ობიექტი) და, განსაკუთრებით უკრაინა, სადაც მოახლოებულია გადამწყვეტი მნიშვნელობის საპარლამენტო არჩევნები, დახმარება უნდა გაეწიოთ. გარდა ამისა, ჟურნალი ფიქრობს, რომ, რამდენადაც პუტინის ხელშია თავისი მემკვიდრის შერჩევა, დღეს საჭიროა პოზიციების გარკვევა უფრო შორ პოლიტიკურ საკითხებზეც (რუსეთის მედიისადმი დამოკიდებულება, რუსეთში ჯერ კიდევ არსებული განსხვავებული პოზიციებისადმი დამოკიდებულება და სხვა).

რედაქციისაგან. მკითხველი, უთუოდ, ითვალისწინებს, რომ The Economist-ი, მსოფლიოს ეს უდავოდ საუკეთესო ჟურნალი — თავის პუბლიკაციებში ემსახურება არა მხოლოდ ინფორმირებას და ანალიზს, არამედ, ამ უკანასკნელის საშუალებით, მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედებასაც. ამიტომ საინტერესო იქნება რეკომენდაციების უხვად შემცველი წერილის შედარება მიმდინარე სამიტის შედეგებთან, რომლებიც ძალიან მალე გამოჩნდება, ალბათ, მოვლენათა ხილულ ზედაპირზე.

ბრძოლა კოსოვოსთვის მიმდინარეობს

The Economist-ის სიტყვით, რიგითი ალბანელები, რომელნიც კოსოვოს მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ, მეტს მოელიან, ვიდრე მათ ლიდერებს ძალუძთ დღესვე მისცენ: ისინი მოელიან დამოუკიდებლობას, ანუ ამ ისტორიულად სერბული პროვინციის სრულ მოწყვეტას სერბეთისაგან და მისი სახით ახალი სახელმწიფოს შექმნას (დღეს იგი გაეროს იურისდიქციის ქვეშ იმყოფება). მაგრამ ლიდერებმა იციან, რომ კოსოვოსა და მისი სტატუსის გარშემო ჯერ კიდევ დიდი საერთაშორისო კამათი და დავა მიმდინარეობს. კოსოვოს მომავლის ერთი პროექტი გაეროს დავალებით შედგენილია ფინელი პოლიტიკოსის აჰთისაარის მიერ. იგი ითვალისწინებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, მაგრამ, იმის გამო, რომ სერბეთის პარლამენტმა კოსტიტუციით

კოსოვოს სიმშვიდე არ ელის

განსაზღვრა, რომ კოსოვო არის სერბეთის გარუყოფელი ნაწილი, აჰთისაარის პროექტის ეს დებულება შეფუთულია ფრაზეოლოგიაში, რომელიც ამას ერთგვარად ნიღბავს. გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა გააერცელეს აჰთისაარის გეგმისადმი ალტერნატიული პროექტებიც გაეროს მიერ მისაღები გადაწყვეტილებისა. შეერთებული შტატები და ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოები დღეისათვის იზიარებენ აჰთისაარის გეგმას, თუმცა ჟურნალი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ზოგ წევრს ამისთვის „დაყოლიება“ დასჭირდა (აჰთისაარის გეგმა მისი უკანასკნელი სახით ხასიათდება როგორც „პირობითად დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს შექმნის გეგმა). რუსები, ჟურნალის სიტყვით, „მყარად ეწინააღმდეგებიან ამ გეგმას. (ნუ დაგვავიწყდება. რომ წინა მოლაპარაკებებში ფაქტობრივად მოქმედ ძალებს — აშშ, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიასა და რუსეთს შორის — რუსეთი მხოლოდ მოჩვენებითად უჭერდა მხარს სერბულ პოზიციას, რეალურად კი იგი დათმობილი ჰქონდა. იხ. ბის საბჭომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ გადაუწყვიტა. დასავლელებს იმედი აქვთ, რომ რუსეთი უკან დაიხევს, ხოლო იმ შემთხვევისთვის, თუ მან არ დაიხია, მზად აქვთ სათადარიგო გეგმა, რომელსაც ეწოდება „აჰთისაარი მინუს სტატუსი“, რაც იგივე აჰთისაარის გეგმაა (და მოიცავს, სხვათა შორის, გაეროს წარმომადგენლობის შეცვლას კოსოვოში ევროკავშირის წარმომადგენლობით), მაგრამ სტატუსის განსაზღვრას გადაავადებს, ვთქვათ, ერთი წლით. ამერიკელი დიპლომატები „გაცოფებულ წინააღმდეგობას უწევენ“ ამ გადავადების იდეას.

რა მოხდება, რეალურად, თუ გაერო ვერ მიიღებს კოსოვოს დამოუკიდებლობის რეზოლუციას? მაშინ მას გამოაცხადებს თვით კოსოვოს ასამბლეა (საბჭო), თუმცა დღეს კოსოვოელი ლიდერები ამბობენ, რომ ამერიკელების უკითხავად ნაბიჯს არ გადადგამენ. მაგრამ თუ ეს მოხდება, გაეროს წარმომადგენელი კოსოვოში იძულებული გახდება გააუქმოს ეს გამოცხადება და მაშინ კოსოვოს ცნობა გაუჭირდებათ იმათ, ვინც დღეს მის ცნობას აპირებს. ამიტომ გაეროს მისია პრიშტინაში (კოსოვოს დედაქალაქში) ეკითხება ნიუიორკელ იურისტებს, თუ როგორ მოიქცეს.

თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებენ, მას არ ცნობს კოსოვოს მოსახლეობის სერბული 10%, რომელიც კომპაქტურად ცხოვრობს კოსოვოს ჩრდილო ნაწილში, დანარჩენი სერბეთის საზღვართან. ეს მოსახლეობა თავის იმედებს ამყარებს რუსეთზე, რომელიც ახლა აღორძინების სტადიაშია. ამგვარი იმედი დამახასიათებელია ბელგრადელი ლიდერებისთვისაც. მაგალითად, ერთერთი გავლენიანი რადიკალი ლიდერი გამოთქვამს სინანულს, რომ სერბეთის რუსეთის პროვინცია არაა.

რედაქციისაგან. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ ოცდაათი წლისა და მეტის წინ არსებობდა გეოსტრატეგიული პროგნოზი, რომ, თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, ეს მოხდება ან ბალკანეთში, ან კავკასიაში. ბალკანეთში ომი აქამდე არ დაიწყო იმიტომ, რომ რუსეთმა დღემდე ნებით დათმო თავისი პოზიცია ამ რეგიონში. დღეს თუ რუსეთი სერბეთის ინტერესებს არ დათმობს, როგორც თმობდა ამ ორი-სამი წლის წინ (არ დათმობს იმიტომ, რომ ნავთობის ექსპორტის წყალობით თავისი ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესა), ეს იმას ნიშნავს, რომ სერბეთი მას მადლიერ მოკავშირედ ურჩება და, მაშასადამე, მას რჩება ბალკანური საყრდენიც თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის. ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსეთის, როგორც სერბეთის მოკავშირისა და საყრდენის, ხატის მოშლა (როგორც ეს იყო ამ ორი-სამი წლის წინ) დღეს დასავლეთისთვის უფრო წონადი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს ბალკანეთში, ვიდრე კოსოვოს დროებითი „დაშოშმინება“ (ანუ დაშოშმინება მანამდე, სანამ წამოყენებული არ იქნება ალბანეთთან კოსოვოს შეერთების მოთხოვნა).

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.